საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№46 (422)
13 - 19 დეკემბერი, 2017

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

## მიშა, ცირკი და ბორდელი



„შესაძლოა, სააკაშვილი ვერ ხვდება, რომ არც ხალხი, არც ძლიერნი ამა ქვეყნისა ასეთ მდგომარეობამდე მისულ ადამიანს სახელისუფლო ბერკეტებამდე აღარ მიუშვებენ, ისე, როგორც შვეიცარი არ უშვებს გაბომჟებულ ლოთს ძვირად ღირებულ რესტორანში“. 4



## ყველა ელოდება, რომ ძალიან მალე თბილისის მერი დამოუკიდებელ თამაშს დაიწყებს და მის გუნდში «ქართული ოცნების» ოდიოზური ფიგურების ადგილი არ იქნება 11

## საახალწლო «კაკაფონია» და «სისტემის მსხვერპლები» 8



მამა გურამი (გამცემლიძე):

## მამათმავლობა, ნარკომანია, აბორტი, ქალის ქალზე და მამაკაცის მამაკაცზე ქორწინება არის ცოდვა და გარყვნილება! 10

## «ვაღიაროთ სოხუმისა და ცხინვალის დამოუკიდებლობა, ჩავატაროთ გეიაღლუმები, დავწეროთ მამაკაცს მამაკაცზე ჯვარი... ამის მერე მართლა იქნება მეტი ნატო საქართველოში და მეტი საქართველო ნატოში» 5



## ჰეგემონიის შესანარჩუნებლად ვაშინგტონი მსოფლიო ქაოსის შექმნასა და «ყველას ყველასთან» დაპირისპირებას ცდილობს 6



ვლადიმერ პუტინი და ბაშარ ასადი. სირია, ჰმეინიმის ავიაბაზა

## «იერუსალიმის თაობაზე ტრამპის გადაწყვეტილების მიზანი იყო ვითარების დესტაბილიზაცია და მან ამ მიზანს მიაღწია» 12

## «თეთრი ხმაური» და «ცისფერი ქაოსი» 2




## მავნებლური აქცია სიკვდილის ლეგალიზაციის მოთხოვნით

ახალი მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რთული სათქმელია, რას გულისხმობენ მარიხუანით გაბრუებული ახალგაზრდები წინააღმდეგობის დღეებში; ვისი დაკვეთითა და დაფინანსებით მოქმედებენ ადამიანები, რომლებიც დაუფარავად ეწევიან ნარკოტიკების პროპაგანდას და თავიანთი არაადეკვატური ქმედებებით ქვეყნისთვის ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწევიან.**

# «თეთრი ხმაური» და «ცისფერი ქაოსი»
## აქცია სიკვდილის ლეგალიზაციის მოთხოვნით
# ნარკომანია — გზა ჯოჯოხეთისკენ!

**ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციის მოთხოვნით, რომელიც ნარკოტიკების ლეგალიზაციას გულისხმობს, რამდენიმე დღის წინათ რესპუბლიკის მოედანზე აქცია გაიმართა. „თეთრი ხმაურის“ მიერ ორგანიზებულ აქციაზე ე.წ. ცნობილი სახეები და „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებიც გამოჩდნენ.**



ამ უპასუხისმგებლო, დამნაშავე პოლიტიკური ძალისა და ე.წ. ბომონდის: **ლელა კილაძის, თიკო სადუნიშვილის, ერეკლე დეისაძისა** და სხვათა (მათი გვარ-სახელების ჩამოთვლას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს) ბრძოლის ხაზი ახლა ნარკოტიკების ლეგალიზაციაზე გადის. სწორედ ამ დანაშაულებრივი პოლიტიკის დაკანონებით ცდილობენ, ქვეყანა საბოლოოდ გადაჩეხონ უფსკრულში. იმედია, საქართველოს პარლამენტი ამ უგუნურ გადაწყვეტილებას არ დააკანონებს და მომავალ თაობებს მაინც არ გაწირავს. უცვლელად გთავაზობთ ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციის მოთხოვნით გამართული აქციის დასასრულს „თეთრი ხმაურის“ აქტივისტის, **ბექა წიქარიშვილის,** მიერ წამოყენებულ მოთხოვნებსა და მუქარას მთავრობისა და კანონმდებლების მიმართ:

„**1.** მოვითხოვთ საქართველოს პარლამენტისგან, მიმდინარე წლის ბოლომდე დაჩქარებული რეჟიმში გადაწყდეს დეკრიმინალიზაციის კანონპროექტის დამტკიცების საკითხი. მოვითხოვთ, წლის ბოლომდე ინიცირებული კანონპროექტის პრინციპების დამტკიცებას და კენჭისყრაზე გატანას;

**2.** მოვითხოვთ საქართველოს მთავრობისგან, დაიწყოს პოლიციის რეფორმა და რეპრესიაზე ორიენტირებული სისტემის ყველა რგოლი ადამიანების კეთილდღეობაზე ორიენტიებული გახდეს. მოვითხოვთ მორატორიუმს ნარკოდანაშაულზე. ჩვენ, საზოგადოებას, რეალურ დანაშაულთან მებრძოლი და უსაფრთხოების დამცველი პოლიცია გვჭირდება და არა ადამიანების დევნა, ჩაგვრა, წამება და მკვლელობა. პოლიციის ჰუმანიზაციისა და სისტემური რეფორმირების პროცესში ერთ-ერთი აუცილებელი ცვლილება სწორედ ინიცირებული დეკრიმინალიზაციის კანონპროექტია;

**3.** მოვითხოვთ საქართველოს პრეზიდენტისგან, 2017 წლის დეკემბრის ბოლომდე სასწრაფო რეჟიმში ნარკოდანაშაულში მსჯავრდებული პირების მასობრივი შეწყალება უზრუნველყოს. საპატიმრო დაწესებულებებში დღემდე თვალით უხილავ ოდენობებზე მსჯავრდებული პირები რჩებიან, ყოველი მესამე პატიმარი ნარკოდანაშაულისთვის იხდის სასჯელს. ჩვენ მათ გათავისუფლებამდე არ შევწყვეტთ ბრძოლას.

მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში „თეთრი ხმაურის მოძრაობა“ გაემიჯნება პროცესს და ალტერნატიული ბრძოლის მეთოდებს მიმართავს. ახალი წლის საზეიმო განწყობა წინააღმდეგობის დღეებით შეიცვლება. მოვუწოდებთ პარლამენტის წევრებს, გაიაზრონ დაპირებული ცვლილებები და წერტილი დაუსვან ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკას მომხმარებლებისა და ადამიანების მიმართ. ჩვენი აზრით, ის პარლამენტარები, რომლებიც დადებით გადაწყვეტილებას მიიღებენ, ქვეყნის საპარლამენტო (და არამარტო) ისტორიაში შევლენ, როგორც პროგრესულ, ჰუმანური ღირებულებების მატარებელ, მოქალაქეების კეთილდღეობაზე პასუხისმგებელ ადამიანებად. პარლამენტის ის წევრები, რომლებიც კანონპროექტის წინააღმდეგ წავლენ, ფაშისტებად, ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის ქომაგებად, ხალხის მტრებად შეირაცხებიან. კენჭისყრის მონაცემები საჯაროა. პარლამენტარები, რომლებიც სესიაზე არ მივლენ და საკუთარ პოზიციას არ დააფიქსირებენ, იმ პარლამენტარებზე უარეს პირებად ჩაითვლებიან, რომლებიც ხმას წინააღმდეგ მისცემენ. მათაც იგივე ბედი ელით, რაც მოწინააღმდეგეებს. მხოლოდ ორი არჩევანია, მხოლოდ ერთი გადაწყვეტილება, ჰუმანური ნარკოპოლიტიკისთვის, ხალხთან ომი დასრულდეს. ჩვენ ვითვლით წამებს“.

წიქარიშვილის განცხადებას აქციიაზე მყოფი ეგზალტირებული მასის ოვაციები მოჰყვა.

„თეთრი ხმაურის“ აქტივისტის ამ თავხედური ტონისა და მოთხოვნების გაცნობისას ცნობილი ქართული ფილმის — „თეთრი ბაიარაღების“ ერთ-ერთი გმირის, ტიგრანას, სიტყვები გამახსენდა: აი, ახლა, ეს რომ ექიმს გაასინჯო, კაცო, ჯანმრთელიაო, — იტყვის, თუმცა საკითხავია, იტყვის კი?! **ნამდვილად არ უნდა იყოს მარტივი, ამ ყმაწვილზე კვალიფიციურმა მედიკოსმა თქვას, რომ ის ჯანმრთელი და ფსიქიკურად გაწონასწორებულია.**

როგორც ხედავთ, „თეთრი ხმაური“ რისხვის ქარცეცხლში გატარებას უპირებს დეპუტატებს, რომლებიც ზარ-ზეიმით არ მიიღებენ ნარკოლიბერალიზაციის შესახებ კანონში ცვლილებებს. **„თეთრი ხმაურია“ თუ „ცისფერი ქაოსი“, ულტიმატუმის ენით ელაპარაკება მთავრობას და მოითხოვს პოლიციის სასწრაფო რეფორმასა და ჰუმანიზაციას.** რაც მთავარია, ეს გაუგებარი ჰაბიტუსისა და ინტერესების მქონე ადამიანების ერთობა პრეზიდენტს მოუწოდებს, წლის ბოლომდე სასწრაფოდ უზრუნველყოს ნარკოდანაშაულში მსჯავრდებული პირების მასობრივი შეწყალება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი „ახალი წლის საზეიმო განწყობის წინააღმდეგობის დღეებით შეცვლას“ აანონსებენ. **რთული სათქმელია, რას გულისხმობენ მარიხუანით გაბრუებული ახალგაზრდები წინააღმდეგობის დღეებში; ვისი დაკვეთითა და დაფინანსებით მოქმედებენ ადამიანები, რომლებიც დაუფარავად ეწევიან ნარკოტიკების პროპაგანდას და თავიანთი არაადეკვატური ქმედებებით ქვეყნისთვის ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწევიან.**

აქციაზე, რომელიც „თეთრი ხმაურის“ ორგანიზებით რამდენიმე დღის წინათ გაიმართა, ერთ-ერთი მთავარი ფიგურა და სპიკერი ვახტანგ რჩეულიშვილის შვილი, **გურამ რჩეულიშვილი,** იყო. სწორედ ის გვევლინება ნარკოტიკების ლეგალიზაციის ერთ-ერთ აქტიურ დამცველად და ამ იდეისთვის მებრძოლად. **რაც ავნეთ იმ ოჯახებს, რომელთა ფულითაც მუცელი ამოიყორეთ და გაუბედურებული თანამოქალაქეები ღია ცისქვეშ დატოვეთ, არ კმარა თქვენთვის?! ახლა ნარკოტიკების ლეგალიზაციისთვის იბრძვით, უდარდელად რომ განაგრძოთ „კაიფში“ ცხოვრება?!** ეს ხომ ისედაც ასეა?! თქვენს საქციელში დარდი და განცდა არ იკითხება... **თუ მარიხუანა არ ვნებს ადამიანს (როგორც ამას თქვენი თანამოაზრეები ამტკიცებენ) და მისი მოხმარება ადამიანის გონებაზე ნეგატიურად არ მოქმედებს, მაშ, რით შეიძლება აიხსნას გურამ (გუკა) რჩეულიშვილის როკვა აქციაზე? კაცს, რომელმაც მამა ცოტა ხნის წინ მიაბარა მიწას, რომელსაც დედა პატიმრობაში ჰყავს და ამდენი გაუბედურებული ადამინის ცოდვა ადევს კისერზე, ნარკოპოლიტიკის ლიბერეალიზაციისთვის გამართულ აქციაზე ტინგიცის განწყობა უნდა ჰქონდეს?! ნამდვილად არ აქვთ რჩეულიშვილებს გასართობად საქმე, სულ მცირე, მანამ, სანამ მათ მიერ ქუჩაში უსინდისოდ დატოვებული თანამოქალაქეები უმძიმეს სოციალურ პირობებს ებრძვიან.** ასე რომ, ვიდრე იმ დეპუტატებს შერაცხავთ ფაშისტებად, რომლებიც მხარს არ დაუჭერენ პარლამენტში ინიცირებულ ნარკოპოლიტიკის კანონპროექტს, **იქნებ ჯერ საკუთარ ოჯახი შერაცხოთ ფაშისტად, ოჯახი, რომელმაც ასობით ოჯახი დატოვა უსახლკაროდ და ამ ადამიანებს ცხოვრება ჯოჯოხეთად უქცია.** თვითონაც კარგად იცით, რამდენი ადამიანი შეეწირა ამაზე ნერვიულობას. ახლა კი მავნებლური პოლიტიკით უთხრით ძირს სამშობლოს, მავნებლური პოლიტიკით, რომელიც კიდევ არაერთ ოჯახს გააუბედურებს...

აქციაზე, სადაც ადამიანების ერთი ჯგუფი ნარკოტიკების ლეგალიზაციას ითხოვდა, სასულიერო პირებიც გამოჩნდნენ და მდუმარე აქცია გამართეს. მათ თავიანთი სათქმელი ტრანსპარანტებით გამოხატეს და მედიასთან კომენტარების გაკეთება არ ისურვეს. ტრანსპარანტებზე კი ეწერა: „ნარკომანია — გზა ჯოჯოხეთისკენ“, „ნარკომანია სიკვდილია“.

**ის, რისთვისაც საქართველოს მტრები «თეთრი ხმაურის», «გირჩის», «ნაციონალური მოძრაობის», ე.წ. ცნობადი სახეების ხელით იბრძვიან «ეს ჩვენ გვეხება», ჩვენ შვილებს, საქართველოს მომავალ თაობას ეხება, თაობას, რომლის გადარჩენაც დღეს იმ პარლამენტარების ხელშია, რომლებსაც ფაშისტებად გამოცხადებით ამუნათებენ გრანტებზე გაყიდული გაუგებარი ჰაბიტუსისა და მორალის ადამიანები. ეს თქვენ, თქვენს შვილებს, თქვენი დის, ძმის, მეგობრის შვილებს ეხება, ქალბატონო სახალხო დამცველო! ასე რომ, დაიცავით ჩვენი შვილების, მომავალი თაობის უფლება, არ მოახვიონ თავს ნარკომანია ფსევდოლიბერალებმა. დიახ, «ეს ჩვენ გვეხება» და ჩვენი ვალია, არ დავუშვათ ქვეყანაში ნარკოტიკების ლეგალიზაცია**

**P.S. საზოგადოებას კარგად ახსოვს აქციების ციკლი „ეს შენ გეხება“, რომლის ერთ-ერთი ორგანიზატორიც დღეს უკვე სახალხო დამცველად წოდებული ნინო ლომჯარია იყო. ის, რისთვისაც საქართველოს მტრები „თეთრი ხმაურის“, „გირჩის“, „ნაციონალური მოძრაობის“, ე.წ. ცნობადი სახეების ხელით იბრძვიან „ეს ჩვენ გვეხება“, ჩვენს შვილებს, საქართველოს მომავალ თაობას ეხება, თაობას, რომლის გადარჩენაც დღეს იმ პარლამენტარების ხელშია, რომლებსაც ფაშისტებად გამოცხადებით ამუნათებენ გრანტებზე გაყიდული გაუგებარი ჰაბიტუსისა და მორალის ადამიანები. ეს თქვენ, თქვენს შვილებს, თქვენი დის, ძმის, მეგობრის შვილებს ეხება, ქალბატონო სახალხო დამცველო! ასე რომ, დაიცავით ჩვენი შვილების, მომავალი თაობის უფლება, არ მოახვიონ თავს ნარკომანია ფსევდოლიბერალებმა. დიახ, „ეს ჩვენ გვეხება“ და ჩვენი ვალია, არ დავუშვათ ქვეყანაში ნარკოტიკების ლეგალიზაცია...**

**ნაკლებად სარწმუნოა, ბატონო მერო, რომ პენსიონერები, სოციალურად დაუცველები, მარტოხელა დედები, რომლებმაც, შესაძლოა, ერთი კილოგრამი ტკბილეულის ყიდვაც კი ვერ მოახერხონ შვილებისთვის, ბედნიერებით ანთებული თვალებით შეჰყურებდნენ მერიის მიერ სამ მილიონად შეძენილ ილუმინაციებს... ასე რომ, თუ მთავარი საზოგადოებაა და ხალხზე ზრუნვა, მათ, ვინც უკიდურეს გაჭირვებაში ცხოვრობს, ვისთვისაც სადღესასწაულო დღეებშიც კი საკვები სანატრელია, ახალი ილუმინაციებით ნამდვილად ვერ მოხიბლავთ.**

ახალი გლუკოზა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ოპოზიციის ბოლმისგან დახრჩობა და მერიის მიერ 3 მილიონად შეძენილი ილუმინაციები

**„ძალიან მინდა, ოპოზიცია ბოლმით არ დაიხრჩოს და მიაღწიოს ახალ წლამდე. კიდევ ერთხელ ვიმედოვნებ, წლევანდელი თბილისი იქნება საუკეთესოდ განათებული. მე მესმის, რომ ეს პარტიულ ტელევიზიას და გაკოტრებულ პარტიას არ სიამოვნებს, მაგრამ ჩემთვის მთავარი და მნიშვნელოვანია საზოგადოება, ძალიან მნიშვნელოვანია ხალხი. შესაბამისად, თბილისი არის კმაყოფილი და გაძლევთ პირობას, რომ ქალაქი იქნება საუკეთესოდ განათებული. მომავალ წლებში კი უკეთესი იქნება, რადგან დრო იყო ძალიან ცოტა. სულ რაღაც, ერთი თვეა, დავიწყეთ მუშაობა, რაც მოვახერხეთ ეს იყო“, — ასე გამოეხმაურა კახა კალაძე ოპოზიციის განცხადებებს იმის შესახებ, რომ რუსთაველის გამზირზე დამონტაჟებულ განათებებს ნაწილები სცვივა.**



შეგახსენებთ, რომ საახალწლო განათებებზე თბილისის ბიუჯეტიდან გაწეული დანახარჯის მიზნობრიობის გამოძიების მოთხოვნით გენერალურ პროკურატურას მიმართა საკრებულოს წევრმა **ლევან ხაბეიშვილმა**, რომელიც ეჭვობს, რომ პირდაპირი შესყიდვის წესით, ტენდერის გარეშე, მილანური კომპანიისგან ილუმინაციების შეძენა კორუფციული გარიგებით მოხდა.

თბილისის მერი ამბობს, რომ მომავალში უკეთესად გაანათებს თბილისს და დასძენს, წელს ცოტა დრო იყო, ერთი თვის წინ დავიწყეთ მუშაობა და, რაც მოვახერხეთ, სულ ეს იყოო. კი მაგრამ, **კახა კალაძის მერად არჩევამდე თბილისს მერი არ ჰყავდა და მერია არ არსებობდა?!** თუ ამით კალაძე მისი წინამორბედის უუნარობას უსვამს ხაზს?! ან იქნებ, სააკაშვილის მსგავსად, რომელიც ხშირად გვიკიჟინებდა მის მიერ განხორციელებულ პროექტებზე „პირველად საქართველოს ისტორიაში“, კალაძის ათვლის წერტილიც (სულ მცირე, თბილისის განვითარების თვალსაზრისით) მისი მერობიდან იწყება?! არადა, ეს ილუმინაციები უტენდეროდ, პირდაპირი შესყიდვის წესით, სწორედ ნარმანიას მერობის პერიოდში იქნა შეძენილი. ასე რომ, წესით, **სამტრედიელ კალაძეს არაფერი უნდა აკავშირებდეს მილანურ კომპანიასთან, რომლისგანაც კოკელმა ნარმანიამ საახალწლო ილუმინაციები შეიძინა.**

## კახა კალაძის მერად არჩევამდე თბილისს მერი არ ჰყავდა და მერია არ არსებობდა?!

შეგახსენებთ, რომ ახალი საახალწლო განათება თბილისის მერიას 3 მილიონი ლარი დაუჯდა, დაახლოებით სამჯერ მეტი, ვიდრე ოდესმე დახარჯულა განათებაზე. თბილისის მერმა კი ბრძანა, ხალხი კმაყოფილია და ოპოზიცია **გადაშენდით აქედანო** (ეს სიტყვები კალაძემ ოპოზიციაში ყოფნისას უთხრა ჟურნალისტებს, თუმცა არსებულ ვითარებასაც მშვენივრად ესადაგება), მაგრამ საეჭვოა, მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფი ხალხი აღტაცებული იყოს ახალი საახალწლო განათებით. **ნაკლებად სარწმუნოა, ბატონო მერო, რომ პენსიონერები, სოციალურად დაუცველები, მარტოხელა დედები, რომლებმაც, შესაძლოა, ერთი კილოგრამი ტკბილეულის ყიდვაც კი ვერ მოახერხონ შვილებისთვის, ბედნიერებით ანთებული თვალებით შეჰყურებდნენ მერიის მიერ სამ მილიონად შეძენილ ილუმინაციებს...** ასე რომ, თუ მთავარი საზოგადოებაა და ხალხზე ზრუნვა, მათ, ვინც უკიდურეს გაჭირვებაში ცხოვრობს, ვისთვისაც სადღესასწაულო დღეებშიც კი საკვები სანატრელია, ახალი ილუმინაციებით ნამდვილად ვერ მოხიბლავთ... იქნებ, სჯობდა, ეს სამი მილიონი უფრო ისეთ პროექტებზე მიემართა მერიას, რომლითაც ამ უკიდურეს გაჭირვებაში მყოფ ადამიანებს გაუსაძლის ყოფას შეუმსუბუქებდა...

**P.S ოპოზიციის ბოლმისგან დახრჩობა-სიკვდილისა რა მოგახსენოთ, მაგრამ უკვე ნაწილები სცვივა ამ 3-მილიონიან ილუმინაციებს. იმედია, ახალ წლამდე არ დაიშლება და თბილისი საახალწლო განათების გარეშე არ დარჩება...**

# 90 დღეში 3-ჯერ დედამიწის გარშემო

**საქართველოს პარლამენტმა ახალი ავტომობილების შესაძენად ტენდერი გამოაცხადა. დეპუტატებს მომავალი წლიდან 19 ახალი ავტომობილი მოემსახურებათ, რაც ბიუჯეტს 855 ათასი ლარი დაუჯდება. ცხრამეტივე მანქანა აუცილებლად 2017 წლის მოდელი უნდა იყოს, ვერცხლისფერი და შავი სალონით.**



**სამი თვის განმავლობაში პარლამენტართა პირველი ხუთეულის დანახარჯი საწვავზე ასეთია: ირაკლი კობახიძე — 2078 ლიტრი; დავით ბაქრაძე — 1900 ლიტრი; ირაკლი ტრიპოლსკი — 1850 ლიტრი; ილია ნაკაშიძე — 1817 ლიტრი და სერგი კაპანაძე — 1708 ლიტრი. თუ დახარჯული საწვავის მიხედვით ვიმსჯელებთ, გამოვა, რომ ერთობლივად მათ, საშუალოდ, გაიარეს 105 ათასი კმ, რაც დედამიწის ეკვატორის სიგრძეზე დაახლოებით 3-ჯერ მეტია და ნიშნავს, რომ დეპუტატებმა 3 თვეში, ანუ 90 დღეში დაახლოებით 3-ჯერ შემოუარეს დედამიწას(!)**

„ქართული ოცნებისა“ და მასთან კოაბიტირებული ოპოზიციის რამდენიმე წევრი ახალ ავტომობილში გადაბრძანდება. ისინიც უფრო კომფორტულად იმგზავრებენ და, შესაძლოა, ჩვენც. დიახ ჩვენც, ვინ იცის, ვის და როდის გაგვიღიმებს ბედი ისე, როგორც ცოტა ხნის წინათ ორ ქალბატონს? შეგახსენებთ, უმრავლესობის ლიდერმა **ვახტანგ თალაკვაძემ**, რომელიც ქუთაისში სესიაზე მიემგზავრებოდა, რიკოთის უღელტეხილზე მგზავრები ჩაისვა მაქანაში (როგორც თვითონ წერს სოციალურ ქსელში, ხელი დაუქნიეს) და ზესტაფონამდე ერთად იმგზავრეს. შემდეგ სელფიც გადაიღო მათთან და თავისი კეთილშობილებით აღფრთოვანებულმა „ფეისბუქზე“ პოსტიც გამოფინა, თან ისიც აღნიშნა, „ეს ავტომობილიც მათი ნაყიდიაო“... ასე რომ, ჩვენი გადასახადებით კიდევ 19 დეპუტატს რომ ვუყიდით მანქანას, 19-ჯერ გაიზრდება შანსი, მათი კეთილშობილებით ვისარგებლოთ და, თუ გზაზე გადაგვეყრებიან და ხელსაც დავუქნევთ, მათთან ერთად ჩვენც უფრო კომფორტულად ვიმგზავრებთ.

**პარლამენტის აპარატში განმარტავენ, რომ თითო ავტომობილის შესაძენად საჭირო 45 ათასი ლარი, არც ისე ძვირია. მათი თქმით, საუბარი არ არის ფუფუნებაზე და ავტომობილები, რომელთა შეძენასაც პარლამენტი გეგმავს, საშუალო კლასისაა. 45 ათასი ლარი არათუ ფუფნება მოსახლეობის უდიდესი ნაწილისთვის, არამედ ოცნება, რომელსაც „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში მოსვლამდე ჰპირდებოდა მათ.**

მონიტორინგის ცენტრ „მედიატორის“ ინფორმაციით, პარლამენტის ბალანსზე 94 ავტომობილი ირიცხება. სამი თვის განმავლობაში, პირველი იანვრიდან 30 მარტის ჩათვლით, საწვავის ხარჯმა პარლამენტში 92 690 ლიტრი შეადგინა. სამ თვეში საწვავის ყველაზე დიდი დანახარჯი ჰქონდათ დეპუტატებს: **ირაკლი კობახიძეს, სერგი კაპანაძეს, ილია ნაკაშიძეს, ირაკლი კოვზანაძეს, მარიამ ჯაშს, არჩილ თალაკვაძეს, სიმონ ნოზაძეს, ზვიად კვაჭანტირაძეს, გიორგი ჟორჟოლიანს, ირაკლი ტრიპოლსკისა და დავით ბაქრაძეს.**

სამი თვის განმავლობაში პარლამენტართა პირველი ხუთეულის დანახარჯი საწვავზე ასეთია: ირაკლი კობახიძე — 2078 ლიტრი; დავით ბაქრაძე – 1900 ლიტრი; ირაკლი ტრიპოლსკი — 1850 ლიტრი; ილია ნაკაშიძე — 1817 ლიტრი და სერგი კაპანაძე — 1708 ლიტრი. თუ დახარჯული საწვავის მიხედვით ვიმსჯელებთ, გამოვა, რომ ერთობლივად მათ, საშუალოდ, გაიარეს 105 ათასი კმ, რაც დედამიწის ეკვატორის სიგრძეზე დაახლოებით 3-ჯერ მეტია და ნიშნავს, რომ დეპუტატებმა 3 თვეში, ანუ 90 დღეში დაახლოებით 3-ჯერ შემოუარეს დედამიწას(!).

რადგან ხალხის რჩეულები ხალხის კეთილდღეობისთვის დღედაღამ გზაში არიან, რა თქმა უნდა, მათ მგზავრობისას მეტი კომფორტი სჭირდებათ და, თუ ახლა ნაკლებად კომფორტული მანქანებით სასწაულებს ახდენენ (მოხმარებული საწვავის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სამ თვეში 5 დეპუტატს შეეძლო დედამიწისთვის 3-ჯერ შემოევლო), წარმოიდგინეთ, რამდენ კილომეტრს დაფარავენ ისინი უფრო კომფორტული ავტომობილებით. იმედია, საბოლოოდ ასტრალში არ გავლენ...

თვითმმართველობის არჩევნებიდან ერთი თვის შემდეგ ავტოპარკის განახლება ერთდროულად რამდენიმე მუნიციპალიტეტმაც გადაწყვიტა. მაგალითად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატმა მსუბუქი გამავლობის ავტომობილის შესყიდვაზე ელექტრონული ტენდერი გამოაცხადა და ერთი „სედანის“ შესაძენად მთავრობის აპარატს 48 700 ლარი აქვს გათვალისწინებული. ბოლნისის მუნიციპალიტეტი კი 5 ავტომობილის შესაძენად 100 ათას ლარზე მეტს დახარჯავს. ელექტრონული ტენდერი გამოაცხადა სამეგრელო ზემო-სვანეთის გუბერნატორის ადმინისტრაციამაც. გუბერნატორ **ლევან შონიასთვის** ახალ ჯიპს იქ 115 ათას ლარად შეიძენენ.

რადგან მაღალჩინოსნების კომფორტისთვის ავტოპარკების განახლება გარდაუვალია, ისღა დაგვრჩენია, ვიკითხოთ: ტენდერში ისევ ხელისუფლებასთან დაახლოებული ბიზნესმენები გაიმარჯვებენ თუ სხვა კომპანიები, რომლებსაც „ოცნება“ არ „კრიშავს“?

გვერდები მოამზადა **ნიკა გელაშვილმა**

დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**შესაძლოა, სააკაშვილი ვერ ხვდება, რომ არც ხალხი, არც ძლიერნი ამა ქვეყნისა ასეთ მდგომარეობამდე მისულ ადამიანს სახელისუფლო ბერკეტებამდე აღარ მიუშვებენ, ისე, როგორც შვეიცარი არ უშვებს გაბომჟებულ ლოთს ძვირად ღირებულ რესტორანში.**

# სააკაშვილი, ცირკი და ბორდელი

**გასულ კვირას უკრაინის დედაქალაქი ისე გამოიყურებოდა, თითქოს იქ ერთდროულად ტარდებოდა მოხეტიალე ცირკების ფესტივალი და ბორდელების მეპატრონეთა კონგრესი, ხოლო განვითარებული მოვლენების მთავარ სიმბოლოდ სახურავზე ამძვრალი მიხეილ სააკაშვილი იქცა. ბევრმა, პოლიტიკასა და კლინიკურ ფსიქიატრიაში (მოკლედ რომ ვთქვათ, კლინიკურ პოლიტიკაში) ჩახედულმა დამკვირვებელმა განაცხადა, რომ ეს ლოგიკური ფინალია, თუმცა ეს ნამდვილად არ იყო ფინალი, კულმინაციის წერტილიც კი.**



**უკრაინის დედაქალაქი ისე გამოიყურებოდა, თითქოს იქ ერთდროულად ტარდებოდა მოხეტიალე ცირკების ფესტივალი და ბორდელების მეპატრონეთა კონგრესი, ხოლო განვითარებული მოვლენების მთავარ სიმბოლოდ სახურავზე ამძვრალი მიხეილ სააკაშვილი იქცა**

ცირკის ხსენება მხოლოდ ხუმრობა როდია. 7 დეკემბერს უკრაინულმა გამოცემა gazeta.ua-მ გამოაქვეყნა ინფორმაცია, რომლის თანახმად, მოხეტიალე ცირკმა საქართველოდან ტერნოპოლის ოლქში აქლემი მიატოვა. როგორც ჩანს, ცირკმა დაკარგა არა მხოლოდ აქლემი და არა მხოლოდ ტერნოპოლის ოლქში. იმავე დღეს სააკაშვილის მომხრეთა „კარვების ქალაქში“ მივიდა შიშველი მანდილოსანი ორგანიზაცია „ფემენიდან“. მას ხელში ნავის ნიჩაბი ეკავა, ხოლო სხეულზე წარწერა ჰქონდა, რომელიც, მისი თქმით, წარმოადგენდა მიმართვას სააკაშვილისა და პოროშენკოსადმი: „პეტია! მიხო! (პირველის სახელი მარჯვენა ძუძუზე ეწერა, მეორის — მარცხენაზე) გაცურეთ (უცენზურო სიტყვა)-ზე!“ (ეს კი მუცელზე ეწერა). ქალბატონი თავგანწირულად იცავდა თავს ნიჩბით, მაგრამ საბოლოოდ პოლიციამ დააკავა.

სააკაშვილის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს ამ დღეებში ახალი არაფერი უთქვამთ, ხოლო ყველაზე საინტერესო იმ ადამიანების კომენტარები იყო, რომლებიც 2011 წლიდან დაბალანსებული პოზიციის დაკავებას ცდილობდნენ. ზოგი მათგანი სააკაშვილის მიმართ დროდადრო სიმპათიასაც კი გამოხატავდა, მაგრამ გასულ კვირას მათმა აბსოლუტურმა უმრავლესობამ მედიასა და სოციალურ ქსელებში გამოხატა თავისი აზრი, რომ ამ ადამიანის ხილვა ქართულ პოლიტიკაში აღარ სურს. ეს ძალზე საგულისხმო ცვლილება იყო – ე.წ. შუაშისტებიც კი მივიდნენ დასკვნამდე, რომ სააკაშვილს, ძალაუფლებისა და საკუთარი თავის გარდა, არაფერი აინტერესებს; უბრალოდ, უცნაურია, რატომ დასჭირდათ ამისთვის ამდენი დრო.

**თუ უკრაინის პროკურატურის მიერ გამოქვეყნებული ჩანაწერები ავთენტურია, ეს ნიშნავს, რომ მიხეილ სააკაშვილი იაფფასიან პოლიტიკურ მეძავად ჩამოყალიბდა. მას და მის მომხრეებს ადანაშაულებენ იმაში, რომ იანუკოვიჩთან დაახლოებულ მილიონერს, სერგეი კურჩენკოს, ხელისუფლების საწინააღმდეგო აქციების მოსაწყობად ნახევარი მილიონი დოლარი გამოართვეს.** ყველაზე მძიმე ბრალდებას ვინმე სივერიონ დანგაძეს უყენებენ (მას უკვე მიუსაჯეს ორთვიანი წინასწარი პატიმრობა, გირაოს შეტანის უფლების გარეშე), ხოლო სააკაშვილი ეჭვმიტანილია სსკ კოდექსის 256-ე მუხლში აღწერილი დანაშაულის ჩადენაში:

„დანაშაულებრივი ორგანიზაციების წევრების ხელშეწყობა, რომელიც წინასწარ დაპირებული არ იყო, და მათი დანაშაულებრივი საქმიანობის დაფარვა... ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე“.

სერგეი კურჩენკო იანუკოვიჩის დამხობის შემდეგ უკრაინიდან რუსეთში გაიქცა. 2014-ში აშშ-მა და ევროკავშირმა მის წინააღმდეგ პერსონალური სანქციები შემოიღეს. სააკაშვილის მომხრეები ირწმუნებიან, რომ სატელეფონო ჩანაწერის გამოქვეყნებას, რომელშიც ერთმანეთს, პროკურატურის მტკიცებით, მათი ბელადი და კურჩენკო ესაუბრებიან, უკრაინაში ნეგატიური რეაქცია არ მოჰყოლია, მაგრამ ეს ასე არ არის. შედარებისთვის შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რა მოხდებოდა, თუ 2007 წლის ნოემბრის აქციების წინ ხელისუფლება გამოაქვეყნებდა ოპოზიციის ლიდერების სატელეფონო საუბრებს, მაგალითად, ასლან აბაშიძესთან, ლევან მამალაძესთან ან იგორ გიორგაძესთან. საზოგადოებას, როგორც მინიმუმი, ეჭვნარევი კითხვები გაუჩნდებოდა. სწორედ ამიტომ სააკაშვილის ძველი მეგობარი, ჟურნალისტი **მატვეი განაპოლსკი**, რომელმაც თავის დროზე „ნაციონალების“ რეჟიმს არაერთი დანაშაული „გაუპრავა“, დღეს დაჟინებით მოუწოდებს სააკაშვილს, პროკურატურის კითხვებს პასუხი გასცეს და ეჭვები გაფანტოს. **„ბატონ სააკაშვილს დესტაბილიზაცია შეაქვს უკრაინაში. მას არ აქვს კონკრეტული დღის წესრიგი. მას ამოძრავებს პირადი ამბიციები, პიროვნული ზიზღი და სიძულვილი“**, — განუცხადა ტელეკომპანია „იმედს“ სააკაშვილის კიდევ ერთმა ძველმა მეგობარმა „ჯეიმსტაუნის ფონდის“ ანალიტიკოსმა **ვლადიმერ სოკორმა**. ევროდეპუტატ **რებეკა ჰარმსის** აზრით, „სააკაშვილმა ახლა უნდა უპასუხოს პროკურორის ბრალდებებს. თუ ყველაფერი სიმართლეა, მაშინ ეს საშინელი ისტორიაა“ (ინტერპრსენიუსი).

ეჭვების გაჩენის მეორე, ირიბი დადასტურება ისაა, რომ მომხრეებმა, მას შემდეგ, რაც დაკავებული სააკაშვილი სამართალდამცველების ავტობუსიდან „დაიხსნეს“ და სამთავრობო კვარტალისკენ დაიძრნენ, მოუწოდეს კიეველებს, ქუჩაში გამოსულიყვნენ, მაგრამ ვერც იმ და ვერც მომდევნო დღეებში 3-4 ათასზე (კი ბატონო, 4-5 იყოს) მომიტინგე ვერ მოაგროვეს, რაც უკრაინისთვის მიზერია. მათ უმრავლესობას სააკაშვილის პარტიის აქტივისტები და დაქირავებული ბოევიკები (სემენჩენკოს ჯგუფი) წარმოადგენენ. რამდენიმე ასეული გზააბნეული პენსიონერი სახალხო მხარდაჭერის ილუზიას ვერ ქმნის. ადრე სააკაშვილის აქციებზე მეტი ადამიანი მიდიოდა და ეს მიანიშნებს იმაზე, რომ ეჭვები კურჩენკოს თაობაზე ნამდვილად გაჩნდა.

**სააკაშვილის გარშემო, როგორც ჩანს, უაღერესად ბინძური ხალხი ერთიანდება. 7 დეკემბერს ისტორიკოსმა და ჟურნალისტმა ისრაელიდან — შიმონ ბრიმანმა გამოცემა „ებრაულ სამყაროში“ გამოაქვეყნა სტატია სააკაშვილის მომხრეების ანტისემიტიზმზე და იმ ანტისემიტური პლაკატების ფოტოები დაბეჭდა, რომლებიც მათ კიევის ცენტრში გამოფინეს.**

მსჯელობა სააკაშვილის ურთიერთობაზე იანუკოვიჩის გარემოცვასთან ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როდესაც მან სცადა, ტელეარხ „ზიკ“-ის წამყვანი გამხდარიყო, რომელსაც ყოფილი „რეგიონალები“ აკონტროლებდნენ. საზღვრის „გარღვევის“ პერიოდში კი ბევრს საუბრობდნენ მის კავშირზე ცნობილ ოლიგარქ იგორ კოლომოისკისთან. პრინციპში, ერთი მეორეს ხელს არ უშლის — **ვერ გამოვრიცხავთ, რომ სააკაშვილი ემსახურება ყველას, ვინც ფულს უხდის.** რაც შეეხება მის სპონსორებს, მათ, სავარაუდოდ, სურთ, რომ მან მოახდინოს მოქმედი ხელისუფლების უუნარობის დემონსტრირება და არაპროპორციული ძალის გამოყენებისკენ უბიძგოს. დასკვით ეტაპზე კი ის შეიძლება „რეჟიმის მსხვერპლად“ წარმოაჩინონ და ციხის ან სასაფლაოს გზას გაუყენებენ. გამორიცხული არც „შუალედური“ ვარიანტია — სააკაშვილს შეიძლება მოდელირებული თავდასხმა მოუწყონ, რომელსაც „სასწაულებრივად“ გადაურჩება.

**პოროშენკოს ხელისუფლება, სავარაუდოდ, აცნობიერებს, რომ მას ძალადობისკენ უბიძგებენ, რასაც მოწინააღმდეგეების მომდევნო, კარგად გათვლილი სვლა მოჰყვება, ამიტომ სააკაშვილის საქმეში ის ნელა და მოუქნელად მოქმედებს. წარმოვიდგინოთ, რომ ადამიანი ტყეში შევიდა და საშიშ ცხოველს – მგელს, ტურას ან დათვს გადაეყარა. ისინი ერთმანეთს აკვირდებიან და ბრძოლისთვის ემზადებიან და ამ დროს ადამიანს კოღო კბენს — ერთხელ, მეორედ... ადამიანის მხრიდან უგუნურება იქნება, ყურადღება კოღოზე გადაიტანოს და მას „ბრძოლა“ გაუმართოს. უკრაინულ პოლიტიკაში სააკაშვილი სწორედ ასეთი „კოღოს“ როლში გვევლინება, მიუხედავად იმისა, რომ მომხრეები ლამის ტირანოზავრად თვლიან.**

მთავრობა მკვეთრ ნაბიჯებს ერიდება, თუნდაც ის ასგზის ლეგიტიმური იყოს, რადგან წინა ხელისუფლების დამხობის ერთ-ერთი მთავარი საბაბი სწორედ საპოლიციო ძალის არამართებული გამოყენება გახდა. სააკაშვილის ზოგიერთ თანაპარტიელს ჰგონია, რომ ივანიშვილთანაც იგივე გაუვათ, თუმცა ეს, სავარაუდოდ, დიდი შეცდომაა. არა მხოლოდ იმიტომ, რომ ივანიშვილმა კრიტიკულ სიტუაციაში შეიძლება გაცილებით ხისტი გადაწყვეტილებები მიიღოს, ვიდრე პოროშენკომ და სახელისუფლო ვერტიკალს უფრო მყარად აკონტროლებს. საქმე ისაა, რომ **საქართველოში ცხოვრობს, ათიათასობით თუ არა, ასიათასობით ადამიანი, რომელთათვის ნაციონალების ხელისუფლებაში დაბრუნების მინიმალური შანსიც კი სასიკვდილო საფრთხის ტოლფასია.** როგორც კი თბილისში (მაგალითად, სააკაშვილის ექსტრადიციის შემთხვევაში) იდენტური პროცესი დაიწყება, ისინი აქტიურად ამოქმედდებიან. უკრაინაში ასე არაა, იქ სააკაშვილს ჯერჯერობით ამდენი არ დაუშავებია.

„თუ პოროშენკო სააკაშვილს საქართველოში გაგზავნის, იქ ჩვენი მეგობრები არიან მობილიზებულები. ისინი იქ საბურავებსა და მოლოტოვის კოქტეილებს ამზადებენ“, — განაცხადა დავით საყვარელიძემ კიევში 11 დეკემბერს. შესაძლოა, მას არ ესმის, რაოდენ ცუდად შეიძლება დამთავრდეს ეს სცენარი ნაციონალებისთვის.

არსებობს კიდევ ერთი, კონსპიროლოგიური ვერსია იმის თაობაზე, რომ პოროშენკო სააკაშვილს მართული ოპოზიციის შესაქმნელად იყენებს, რომელიც ბევრს იხმაურებს და „იხტუნავებს“, მაგრამ რეალურ საფრთხეს არ შეუქმნის, რადგან მისი რადიკალიზმი საშუალო ამომრჩევლისთვის მიუღებელი იქნება. ამ ვერსიის განხილვა ფაქტების გარეშე შეუძლებელია, თუმცა არსებითად ეს ვარიანტი არაფერს ცვლის — „ნაცმოძრაობის“ ბელადი ამ შემთხვევაშიც ობიექტია და არა სუბიექტი, ინსტრუმენტი და არა არქიტექტორი.

**ძალაუფლება ნარკოტიკია. იშვიათია, ვინმემ მასზე უარი ნებაყოფლობით თქვას. სააკაშვილს, სავარაუდოდ, არ აწუხებს, რომ მას სახურავებზე მორბენალ გიჟად ან იაფფასიან პოლიტ-მეძავად თვლიან და ფიქრობს, რომ, როდესაც ხელისუფლებას დაიბრუნებს (უკრაინაში თუ საქართველოში, რა მნიშვნელობა აქვს), ეს ყველა გამოყენებულ საშუალებას გაამართლებს. შესაძლოა, სააკაშვილი ვერ ხვდება, რომ არც ხალხი, არც ძლიერნი ამა ქვეყნისა ასეთ მდგომარეობამდე მისულ ადამიანს სახელისუფლო ბერკეტებამდე აღარ მიუშვებენ, ისე, როგორც შვეიცარი არ უშვებს გაბომჟებულ ლოთს ძვირად ღირებულ რესტორანში.** როდესაც ამას გააცნობიერებს, ეს შეიძლება მის ცხოვრებაში ყველაზე ძლიერი სტრესი გახდეს.

ყველაზე სამწუხარო ამ ისტორიაში, ალბათ, ისაა, რომ სააკაშვილი ფორმალური თვალსაზრისით ქართველია, მაგრამ კრიტიკულ მომენტებში ღირსებას ვერ ინარჩუნებს და საბაბს აძლევს სხვებს, რომ შესაბამისად მოექცნენ. ვინმე მოსიჩუკმა მას, როგორც ძაღლს, სატელევიზიო სტუდიაში ყავარჯენი მოუქნია, ხოლო უკრაინის გენპროკურორმა ლუცენკომ, ჯერ კიდევ დაკავება-გამოშვებამდე (ასეთი ახლო მომავალში, სავარაუდოდ, ბევრი იქნება) ასე მიმართა: „თუ ის მართლა მამაკაცია, მივიდეს ჩვენების მისაცემად... ის უკრაინელების ზურგს უკან იმალება...“. როგორც ჩანს, სააკაშვილმა უკრაინაშიც ლაჩრის სახელი დაიმკვიდრა და შესაბამისად ეპყრობიან, რაც საქართველოს იმიჯზე ფრიად ნეგატიურ გავლენას ახდენს.

**„ტრამპის ეს გადაწყვეტილება მიმართულია რელიგიური ომისა და დაძაბულობისკენ, რომელსაც ახლო მომავალში აუცილებლად მოჰყვება სერიოზული რყევები. საქართველოს ხელისუფლების სათავეში არიან ადამიანები, რომლებიც მზად არიან, სამარეში ჩაჰყვნენ და საქართველოც ჩააყოლონ ამერიკას“.**

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# ჰამლეტ ჭიპაშვილი: ვაღიაროთ სოხუმისა და ცხინვალის დამოუკიდებლობა, ჩავატაროთ გეიაღლუმები, დავწეროთ მამაკაცს მამაკაცზე ჯვარი... ამის მერე მართლა იქნება მეტი ნატო საქართველოში და მეტი საქართველო ნატოში

**ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა რექს ტილერსონმა ეუთოს მინისტერიალზე სიტყვით გამოსვლისას აღმოსავლეთ ევროპასა და პოსტსაბჭოთა სივრცეში არსებულ კონფლიქტურ რეგიონებზე ისაუბრა. მისი თქმით, დასავლეთმა უნდა შეძლოს დაპირისპირებების დასრულება, როგორც საქართველოსა და მოლდოვაში, ისე მთიან ყარაბაღში, რათა აღნიშნულ რეგიონებში ერთხელ და სამუდამოდ დაისადგუროს მშვიდობამ. მისივე განმარტებით, ამისთვის უფრო ქმედითი და პრინციპული ნაბიჯების გადადგმაა აუცილებელი, ხოლო არსებითი პროგრესის მიღწევა შესაძლებელი მას შემდეგ იქნება, რაც იარსებებს ამ ყველაფრის პოლიტიკური ნება...**

**შეგახსენებთ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების წინა ადმინისტრაციაც, ვიცეპრეზიდენტის, სახელმწიფო მდივნის, მისი მოადგილეებისა თუ სენატორების დონეზე აცხადებდა, რომ დასავლეთის პოლიტიკური ძალისხმევა, დემოკრატიისა და სამართლიანობის დასაცავად აგრესორი სახელმწიფოების წინააღმდეგ უნდა ყოფილიყო მიმართული. ამის მიუხედავად, ვაშინგტონის ნაბიჯები მსოფლიოში არც დემოკრატიისთვის აღმოჩნდა სასარგებლო და არც სამართლიანობის დაცვის თვალსაზრისით. პირიქით — 2008 წლის აგვისტოს ომმა ცხადყო, რომ საქართველო, თავისი კონფლიქტური რეგიონებით, დიდ გეოპოლიტიკურ თამაშებში მხოლოდ მანიპულაციის საშუალებაა; დაპირისპირების დასრულება კი რეალურად არც ამერიკისთვისაა პრიორიტეტი და არც ევროკავშირისთვის... რას ნიშნავდა ამ შემთხვევაში ტილერსონის განცხადება კონფლიქტების დასრულებაზე და ვაშინგტონმა რა ფორმით შეიძლება სცადოს ამის განხორციელება? რა საფრთხეებს შეიცავს ჩვენთვის ეს ყველაფერი და ხომ არ არის მოსალოდნელი „თეთრი სახლისგან“ კიდევ ერთი შეიარაღებული დაპირისპირების პროვოცირება რუსეთ-საქართველოს შორის? — ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე გვესაუბრება პოლიტოლოგი ჰამლეტ ჭიპაშვილი.**

**— ბატონო ჰამლეტ, რა დასკვნების გამოტანა შეიძლება რექს ტილერსონის განცხადებიდან, რომელიც კონფლიქტების დასრულებას შეეხებოდა საქართველოში, მოლდოვასა და ყარაბაღში, რა შეიძლება იდგეს ამის უკან?**

— ეს განცხადება **ტილერსონმა** რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ **ლავროვთან** შეხვედრისას გააკეთა და ამით შეერთებულმა შტატებმა, ფაქტობრივად, კრემლს წაუყენა პრეტენზიები, თუმცა, თავის მხრივ, ლავროვმა რუსეთის სახელმწიფოებრივი პოზიციიდან ადეკვატური პასუხი გასცა. მან განაცხადა, რომ მოსკოვი პატივს სცემს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, ისევე, როგორც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას. სხვათა შორის, იქ ასევე იყო საუბარი იმაზე, რომ ეუთომაც უნდა დაგმოს საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია. ამაზე **ლავროვმა მოკლედ უპასუხა: ტილერსონის მოწოდება ეკუთვნის ეუთოს, თქვენ დაგმეთ, ჩვენ განვაგრძობთ ჩვენს გზას...** მორჩა. ეს ნიშნავს იმას, რაც არის რეალურად და რის შეცვლასაც რუსეთს, დასავლეთი კი არა, ალბათ, მამაზეციერიც ვერ აიძულებს, ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, ერთი სახელმწიფოს მხრიდან მეორე სახელმწიფოსადმი ასეთი ზედაპირული და ქარაფშუტული პრეტენზიების წაყენება, მით უმეტეს, როცა საუბარია ორ სუპერსახელმწიფოზე, კარგს არაფერს მოიტანს. ისე, პრეტენზიების წაყენებაზე თუ მიდგება საქმე, რუსეთს ძალიან ბევრი პრეტენზია შეიძლება ჰქონდეს შეერთებულ შტატებთან.

**— მაგალითად?**

— დავიწყოთ იმით, რომ ამერიკის შეერთებული შტატები უხეშად ერევა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების საშინაო საქმეებში. მეტიც, ის უკვე, ფაქტობრივად, არც კი ცდილობს, თავისი კოლონიური პოლიტიკის შეფუთვას ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისადმი, თუნდაც საქართველოა ამის მაგალითი. ახლა უკრაინა ავიღოთ, **რუსეთს აქვს სათქმელი, რომ რამდენიმე წლის წინანდელი მაიდნის რევოლუცია ამერიკელების მოწყობილი იყო, რომ მათი ხელშეწყობითა და დაფინანსებით მოვიდა იქ ხელისუფლების სათავეში, ფაქტობრივად, ფაშისტური ძალები და ა.შ. არაფერს ვამბობ იმაზე, რომ სწორედ ამერიკა აწვდის დღეს უკრაინას ლეტალურ იარაღს, რაც საერთაშორისო სამართლის უხეში დარღვევაა.** არაფერს ვამბობ იმაზე, რომ რუსეთისა და უკრაინის კონფრონტაცია ამერიკელების ინსპირირებულია. ცალკე საუბრის თემა შეიძლება იყოს ის გადაწყვეტილება, რომელიც ტრამპმა ახლახან მიიღო, მხედველობაში მაქვს იერუსალიმის გამოცხადება ისრაელის დედაქალაქად, რაც ასევე არის გაეროს მთელი რიგი საერთაშორისო გადაწყვეტილებების დარღვევა. ანუ, რის თქმა მინდა: ქვეყანას, რომელმაც შექმნა „ისლამური სახელმწიფო“ და მსოფლიოში ტერორიზმს გაუხსნა ახალი გზა, რა თქმა უნდა, უამრავი პრეტენზია შეიძლება წაუყენოს როგორც რუსეთმა, ისე ნებისმიერმა სხვა სახელმწიფომ, ხოლო ამის ფონზე ტილერსონის განცხადება ოკუპაციაზე, უბრალოდ, სასაცილოა და სხვა არაფერი.

რაც შეეხება საქართველოს, **ჩვენმა პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ ვერა და ვერ გაიგო ან გაიგო, მაგრამ ხალხს არ უნდა გააგებინოს, რომ, რაც უნდა კრიტიკული განცხადება გააკეთოს რომელიმე დასავლელმა მძიმეწონიანმა პოლიტიკოსმა რუსეთის მისამართით, რაც უნდა მუქარები და თითის ქნევა იყოს, ეს ყველაფერი განცხადებებს ვერ გასცდება.** ეს ერთი. მეორე — რუსეთს სანქციების არ ეშინია, ვინაიდან ამ სანქციებმა ის არათუ ვერ დაასუსტა, პირიქით, ამის ხარჯზე რუსეთის შიგა ბაზარზე, რომელიც უზარმაზარია, ადგილობრივი წარმოების პროდუქციის წილმა საგრძნობლად მოიმატა. ახლა დასკვნები თვითონ გამოიტანოს საზოგადოებამ, რა ინტერესები ამოძრავებს ვაშინგტონს და რას შეიძლება გულისხმობდეს ტილერსონი კონფლიქტების დასრულებაში. დარწმუნებული ვარ, ჩვენთვის სასიკეთო ამაში არაფერი იგულისხმება, ისევე, როგორც არ იგულისხმებოდა **ჯორჯ ბუშის** განცხადებებში, როცა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში უპირობო მხარდაჭერას გვიცხადებდნენ და შედეგად მივიღეთ 2008 წლის აგვისტოს ომი...

**— პრემიერმა კვირიკაშვილმა ერთ-ერთ შეხვედრაზე განაცხადა: „დღეს საქართველოში არის უფრო მეტი ნატო და ნატოში უფრო მეტი საქართველოა“. ფაქტია, რომ ტილერსონის განცხადება და, საერთოდ, მსგავსი რიტორიკა, რომელიც მაღალი რანგის დასავლელი პოლიტიკოსებისგან მოდის, ჩვენს ხელისუფლებას ადეკვატურობას აკარგვინებს...**

— სიმართლე გითხრათ, კვირიკაშვილის განცხადება ისეთია, რომ მსგავს ტექსტებს, ალბათ, მხოლოდ კომედიური ჟანრის ფილმში ან მხიარულ სკეტჩში თუ მოისმენ. საქართველოში უფრო მეტი ნატო და ნატოში — უფრო მეტი საქართველო რას გახსენებთ? მე მაგალითად, ქართველი რომ არ ვიყო, ბევრს ვიცინებდი, მაგრამ საუბედუროდ, ეს ტრაგიკომედია ჩვენ გვეხება.

რაც შეეხება კონკრეტულ მიზეზებს, რომელთა გამოც საქართველო ვერასოდეს გახდება ალიანსის წევრი: ჯერ ერთი, **ნატოს წესდებით, ვერავითარ შემთხვევაში ვერ გაერთიანდები ამ ორგანიზაციაში, თუ ტერიოტორიული დავა გაქვს რომელიმე სახელმწიფოსთან და ვერ ახერხებ მის მოგვარებას. მეორე, თვითონ დასავლეთის, უწინარესად, შეერთებული შტატების, პოლიტიკური ხელმძღვანელობის შეფასებით, ჩვენს ქვეყანას აქვს უამრავი პრობლემა ადამიანის უფლებების დაცვისა და სასამართლოს სისტემის კუთხით, ეკონომიკური, სოციალური და სხვა თვალსაზრისითაც. ეს, პრაქტიკულად, გამორიცხავს ჩვენს ევროატლანტიკურ პერსპექტივას და, თუ გვინდა იქ შესვლა, ყველა ამ პრობლემის გადაჭრა მოგვიწევს: უნდა ვაღიაროთ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დამოუკიდებლობა, დავიწყოთ კოლჯოტებით სირბილი, ჩავატაროთ გეიაღლუმები და მამაკაცს მამაკაცზე დავწეროთ ჯვარი...** ამის მერე შეიძლება მართლა იყოს საქართველოში მეტი ნატო და ნატოში — მეტი საქართველო, მაგრამ ერთი რამ მაინტერესებს: **ქართველ ხალხს, საზოგადოებას არ ეკითხებიან, არის თუ არა ეს მისი არჩევანი?!**

**— თქვენ ტრამპის მიერ ისრაელის დედაქალაქად იერუსალიმის გამოცხადება ახსენეთ. არიან საქართველოშიც გარკვეული სუბიექტები, რომლებიც ფიქრობენ, რომ საქართველოც უნდა შეუერთდეს „თეთრი სახლის“ ამ გადაწყვეტილებას. რას მოუტანს ეს ჩვენს ქვეყანას?**

— უწინარესად, ვთქვათ, რატომ მიიღო ტრამპმა ეს გადაწყვეტილება. მან ჯერ კიდევ წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში თქვა, რომ, პრეზიდენტად მისი არჩევის შემთხვევაში, იერუსალიმს აღიარებდა ისრაელის დედაქალაქად და საელჩოსაც იქ გადაიტანდა. ეს ერთი. მეორეც, ამით მან ერთგვარი კოჭი გაუგორა ებრაულ ლობის, რომელსაც აქვს ძალიან დიდი გავლენა არა მხოლოდ ამერიკის, არამედ მსოფლიო პოლიტიკურ ასპარეზზე. რაც შეეხება საქართველოს, ტრამპს, გასაგებია, რომ ვილაცის მომადლიერება სჭირდება და ასევე უნდა ცხელი კერების გაჩენა ახლო აღმოსავლეთში, მაგრამ ჩვენ ჩვენი ინტერესები გვაქვს. ბუნებრივია, ჩნდება შეკითხვა: იმ პირობებში, როცა ქვეყანა იმყოფება ერთგვარ ისლამურ რკალში და, როგორც გაირკვა, მსოფლიოში ძებნილი ტერორისტები აქ თავისუფლად დაშლიგინებენ, გვაძლევს კი ხელს, შევუერთდეთ იმ გადაწყვეტილებას, რომელმაც უკვე გამოიწვია ისლამური ქვეყნების მძაფრი უკმაყოფილება? ჩემი აზრით, ტრამპის ეს გადაწყვეტილება მიმართულია რელიგიური ომისა და დაძაბულობისკენ, რომელსაც ახლო მომავალში აუცილებლად მოჰყვება სერიოზული რყევები. **საქართველოს ხელისუფლების სათავეში არიან ადამიანები, რომლებიც მზად არიან, სამარეში ჩაჰყვნენ და საქართველოც ჩააყოლონ ამერიკას.** აი, ეს არის უბედურება! არ გამოვრიცხავ, რომ ძალიან მალე ამერიკელებმა საქართველოს, უკრაინას, პოლონეთს, ბალტიისპირეთს ოფიციალურად მოსთხოვოს იერუსალიმის აღიარება ისრაელის დედაქალაქად.

> **«არ გამოვრიცხავ, რომ ძალიან მალე ამერიკელებმა საქართველოს, უკრაინას, პოლონეთს, ბალტიისპირეთს ოფიციალურად მოსთხოვონ იერუსალიმის აღიარება ისრაელის დედაქალაქად»**

**— თუ ხელისუფლება შეასრულებს ამერიკის მითითებას, რა მოჰყვება ამას?**

— ამით ჩვენ აღმოვჩნდებით იმ ქვეყნებისა ჩამონათვალში, რომლებსაც ისლამური სამყარო კარგი თვალით არ უყურებს. ნუ დაგვავიწყდება, რამდენი მუსლიმანი ცხოვრობს დღეს საქართველოში, აჭარაში, სამცხე-ჯავახეთში და საერთოდ ქვეყანაში.

სხვათა შორის, ამას წინათ თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდორანმა განაცხადა, რომ საჭიროა, გადაიხედოს ლოზანის ხელშეკრულება, რომლის თანახმად მე-20 საუკუნის დასაწყისში მოხდა თანამედროვე თურქეთის საზრღვრების ფორმირება. შეგახსენებთ, რომ ლოზანის ხელშეკრულება იყო დოკუმენტი, რომლითაც იურიდიულად გაფორმდა ოსმალეთის იმპერიის დაშლა. ახლა რას ნიშნავს ლოზანის ხელშეკრულების გადახედვა: ამით ერდოლანი მიანიშნებს თავის იმპერიალისტურ ზრახვებსა და მისწრაფებაზე, რომ თურქეთის საზღვრები გააფართოოს. ეს გაფართოება კი, როცა იქნება, ცხადია, საქართველოს ხარჯზეც მოხდება, იმიტომ, რომ, იცით უკვე, რა მდგომარეობაა აჭარაში... ჩემი აზრით, ძალიან დიდი შეცდომა იყო, როცა ჩვენმა ე.წ. პატრიოტებმა აჭარიდან ამოძირკვეს რუსული გავლენა, ვინაიდან მხოლოდ რუსეთს შეეძლო დაპირისპირება თურქეთთან. მეტიც, ისტორიულად ეს რეგიონი იყო რუსეთის მიერ თურქეთისთვის მოგებული ომის ნადავლი, რომელიც ჩვენ შეგვხვდა და დღეს ისევ რუსეთი თუ მოახერხებს მის დაცვას ხელახალი თურქული ექსპანსიისგან. თუმცა ეს ახლა წარსულია და დღეს მის ნაცვლად გვაქვს ძალიან მძიმე რეალობა: სრულიად უქომაგო, უმოკავშირეო და ურესურსო ქვეყანა მოყოლილია დიდი სახელმწიფოების გაშმაგებულ ჭიდილში. ამ დროს არ გვაქვს ეკონომიკა, არც თავდაცვა, არც განვითარების პერსპექტივა... ერთადერთი, რაც იმედისმომცემი შეიძლებოდა ყოფილიყო, ადეკვატური პოლიტიკის გამტარებელი ხელისუფლება იქნებოდა, მაგრამ ეს, საერთოდ, მოწყვეტილია რეალობას...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

გეოპოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**2-წლიანი ომის შედეგად რუსეთმა გადაარჩინა არა მხოლოდ სირიის არაბული რესპუბლიკა, არამედ შეძლო შეეჩერებინა ე.წ. არაბული გაზაფხულის პროცესი, რომელსაც ქვეყნები არა ლიბერალიზაციის, არამედ რადიკალური ისლამიზაციისა და გაპარტახებისკენ მიჰყავდა. ამის ნათელი მაგალითია ამჟამინდელი ლიბია. ამას გარდა, რუსეთმა დაიცვა საერთაშორისო სამართლის ნორმები, რითაც ამერიკის შეერთებულ შტატებს მისი შესაძლებლობების საზღვრები დაანახვა მსოფლიოს სისტემის დესტაბილიზაციის საქმეში.**

# ჰეგემონიის შესანარჩუნებლად ვაშინგტონი მსოფლიო ქაოსის შექმნასა და «ყველას ყველასთან» დაპირისპირებას ცდილობს

**მიმდინარე წლის 19 ნოემბერს რუსეთის სამხედრო ძალების მიერ „ისლამური სახელმწიფოს" უკანასკნელი საყრდენი პუნქტის (აბუ-ქემალის) გათავისუფლებისა და სირიის ტერიტორიის ტერორისტებისგან გაწმენდის შემდეგ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი 11 დეკემბერს სირიაში, ჰმეიმიში განლაგებულ რუსეთის ავიაბაზაში ჩავიდა. მან სირიაში სამხედრო ოპერაციის დასრულების შესახებ განაცხადა და თავდაცვის მინისტრსა და გენშტაბის უფროსს უბრძანა, დაეწყოთ რუსეთის სამხედრო დაჯგუფებების გაყვანა დისლოკაციის ადგილებიდან, მაგრამ რამდენიმე ქვედანაყოფი და ავიაციის ნაწილი კვლავ დარჩება ამ ქვეყანაში სამშვიდობო მისიის შესასრულებლად.**





ვლადიმერ პუტინი და ბაშარ ასადი. სირია, ჰმეინიმის ავიაბაზა

**«მსოფლიოში ლიდერობის შესანარჩუნებლად, გაკოტრების თავიდან ასაცილებლად, ევროპელი მარიონეტების მუდამ დასამორჩილებლად, რუსეთისა და ჩინეთის დასასუსტებლად ამერიკას სჭირდება ომები, ქაოსი მსოფლიოში; მას სჭირდება «ყველას ყველასთან» დაპირისპირება. შეერთებული შტატები მოძებნის საბაბს და დაბომბავს ყველა ქვეყანას, რომლებსაც აქვს განვითარებისა და რესურსების საკუთარი მოსახლეობის სასარგებლოდ გამოყენების პრეტენზია»**

„სირია, როგორც სუვერენული და დამოუკიდებელი რესპუბლიკა, შენარჩუნებულია. თავიანთ სახლებში ბრუნდებიან დევნილები, შექმნილია პირობები გაეროს ეგიდით სირიის საკითხის პოლიტიკური მეთოდებით მოსაგვარებლად", — განაცხადა **ვლადიმერ პუტინმა.**

რუსეთი ამერიკელებისა და მისი მოკავშირეების მიერ მხარდაჭერილი სირიის ე.წ. ზომიერი ოპოზიციისა და ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფოს" მიერ ქვეყნის კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ გაჩაღებულ ომში 2015 წლის 30 სექტემბერს ჩაება.

„რუსეთის სამხედრო ძალებმა ორი წლის განმავლობაში გაანადგურეს ტერორისტების 900-ზე მეტი საწვრთნელი ბანაკი, საომარი მასალების დამამზადებელი 660 ქარხანა და 1,5 ათასი ერთეული სამხედრო ტექნიკა. კონფლიქტში რუსეთის ჩართვამდე „ისლამური სახელმწიფო" აკონტროლებდა სირიის ტერიტორიის 78 პროცენტს. მას შემდეგ გათავისუფლებულია 998 ქალაქი და დასახლებული პუნქტი, განადგურებულია „ბოევიკების" უმრავლესობა. დაიწყო მშვიდობიანი ცხოვრების აღდგენა. რუსეთის სამხედრო ძალების მიერ 2015 წლის ოპერაციის დაწყებიდან მშობლიურ კერას დაუბრუნდა 1,12 მლნ ადამიანი, მხოლოდ 2017 წელს — 660 ათასი", — განაცხადა რუსეთის თავდაცვის მინისტრმა **სერგეი შოიგუმ.**

**2-წლიანი ომის შედეგად რუსეთმა გადაარჩინა არა მხოლოდ სირიის არაბული რესპუბლიკა, არამედ შეძლო შეეჩერებინა ე.წ. არაბული გაზაფხულის პროცესი, რომელსაც ქვეყნები არა ლიბერალიზაციის, არამედ რადიკალური ისლამიზაციისა და გაპარტახებისკენ მიჰყავდა. ამის ნათელი მაგალითია ამჟამინდელი ლიბია. ამას გარდა, რუსეთმა დაიცვა საერთაშორისო სამართლის ნორმები, რითაც ამერიკის შეერთებულ შტატებს მისი შესაძლებლობების საზღვრები დაანახვა მსოფლიოს სისტემის დესტაბილიზაციის საქმეში.**

სირიის შემდეგ ვლადიმერ პუტინი ეგვიპტეში ჩავიდა ამ ქვეყნის პრეზიდენტ **აბდელ ფათაჰ ას-სისისთან** მოსალაპარაკებლად ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში სტაბილურობისა და უსაფრთხოების საკითხებზე. შემდეგ კი რუსეთის ლიდერი თურქეთის პრეზიდენტს შეხვდება. აღსანიშნავია, რომ **რუსეთს უკვე მოუწოდებენ, დაიწყოს ანტიტერორისტული კამპანია ლიბიაში და, როგორც ჩანს, რუსეთის ხელისუფლება დათანხმდება.** სირიის სახელმწიფოებრიობის გადარჩენით რუსეთმა მსოფლიოს დაანახვა, რომ კატეგორიული წინააღმდეგია სუვერენული სახელმწიფოების კანონიერად არჩეული ხელისუფლების დამხობისა „ფერადი" თუ „გაზაფხულის" რევოლუციებით და ამის აღკვეთის ძალაც შესწევს. დღეს რეგიონის ქვეყნების (ეგვიპტე, საუდის არაბეთი, ყატარი, თურქეთი, ირანი) მიერ რუსეთი, აშშ-ისგან განსხვავებით, განიხილება, როგორც უსაფრთხოების ეფექტიანი და საიმედო გარანტი, რომელიც არ მიისწრაფვის ამ ქვეყნების ნავთობსაბადოების ხელში ჩაგდებისკენ, თავს არ ახვევს მათ თავის თვალსაზრისს ქვეყნის მოწყობაზე და პატიოსნად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს.

**რუსეთის მიერ სირიაში ტერორისტების განადგურებამ და სირიის, როგორც სახელმწიფოს, შენარჩუნებამ მძლავრი დარტყმა აგემა აშშ-ს, მის ზრახვებს — დაეპირისპირებინათ ყველა ყველასთან და ებატონათ მსოფლიოზე, მაგრამ აშშ, სახელმწიფო, რომელიც უმწეო და უიარაღო ერების ძვლებზეა აგებული და რომლის ავიადარტყმებს სირიაში, ოფიციალური ცნობით, 801 მშვიდობიანი მოსახლე შეეწირა (სხვა მონაცემებით — 6000-მდე), კვლავაც ცდილობს, მსოფლიოში დაძაბულობის ახალი კერების, ქაოსის შექმნით, ხელში ჩაიგდოს ნავთობსაბადოები და სხვა სასარგებლო წიაღისეული.**

სირიაში მოვლენების ასეთ განვითარებას ჯერ კიდევ 2013 წელს, რუსეთის მიერ სირიაში სამხედრო ოპერაციის დაწყებამდე 2 წლით ადრე, პროგნოზირებდა ცნობილი ქართველი პოლიტოლოგი **ალექსანდრე ჭაჭია.** აი ამონარიდი გაზეთ „საქართველო და მსოფლიოსთვის" მიცემული მისი ინტერვიუდან:

**„ამერიკელები სირიას ახალ-ახალ მოთხოვნებს წაუყენებენ, მათ მიერვე დაფინანსებული ისლამისტი ტერორისტების ხელით ახალ-ახალ სისხლიან სპექტაკლებს გაუთამაშებენ, რათა სირიის ხელისუფლება „საკუთარი ხალხის წინააღმდეგ მხეცურ მოპყრობაში" დაადანაშაულონ, მოაწყობენ ათეულობით პროვოკაციას, მაგრამ მაინც აუცილებლად „იპოვიან" საბაბს, თუნდაც ამისთვის ბაშარ ასადის ყურის ფორმის „ანტისაკაცობრიოდ" და „ბარბაროსულად" გამოცხადება დასჭირდეთ. მსოფლიოში ლიდერობის შესანარჩუნებლად, გაკოტრების თავიდან ასაცილებლად, ევროპელი მარიონეტების მუდამ დასამორჩილებლად, რუსეთისა და ჩინეთის დასასუსტებლად ამერიკას სჭირდება ომები, ქაოსი მსოფლიოში, მას სჭირდება „ყველას ყველასთან" დაპირისპირება. შეერთებული შტატები მოძებნის საბაბს და დაბომბავს ყველა ქვეყანას, რომლებსაც აქვს განვითარებისა და რესურსების საკუთარი მოსახლეობის სასარგებლოდ გამოყენების პრეტენზია. მრავალრიცხოვანი ომებიდან, რომლებსაც აშშ აწარმოებდა ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში, ყველა მათ მიერვე ორგანიზებული პროვოკაციების, ინსინუაციების, უტიფარი ტყუილის შედეგად იწყებოდა... გაიხსენეთ კოსოვოში ბოსნიელების „მასობრივი მკვლელობებისა" და „ალბანელთა გენოციდის" დადგმული ვიდეოკადრები, რომელსაც სერბი მოსახლეობის უმოწყალო დაბომბვა მოჰყვა. შედეგი კი იუგოსლავიის დანაწევრება, შემდეგ სერბეთის დაშლა და ევროპის ცენტრში მუსლიმანური ანკლავის შექმნაა, რომლის ამოქმედებაც ნებისმიერ წუთს შეიძლება, თუკი ევროპელები ურჩობას გაბედავენ და დამოუკიდებელ პოლიტიკას წამოიწყებენ. გაიხსენეთ „უტყუარი მონაცემები" ერაყში მასობრივი განადგურების იარაღის არსებობაზე და კოლინ პაუელი რაღაც კოლბით ხელში. შედეგი — მილიონობით დახოცილი ერაყელი... განვითარებადი ქვეყანა შუა საუკუნეებში დააბრუნეს, სამაგიეროდ, ნავთობკომპანიებმა, მათ შორის, ბუშისა და ჩეინის, მუქთა ნავთობი მიიღეს. მოგვიანებით აღიარეს, რომ მასობრივი განადგურების იარაღი უტიფარი სიცრუე იყო, მაგრამ მოსახდენი უკვე მომხდარი იყო, საქმე — გაკეთებული. გაიხსენეთ ლიბია, დაქირავებული ტერორისტები რომ შეაგზავნეს და ამ ყველაზე თანამედროვე იარაღით კბილებამდე შეიარაღებულმა „დისიდენტებმა" „დემოკრატიისა და თავისუფლების" მოთხოვნა დაიწყეს. შედეგი — მოსახლეობის კეთილდღეობის ყველაზე მაღალი დონის მქონე ქვეყანა აღარ არსებობს, ადგილობრივი კლანები ერთმანეთს ეომებიან, იღუპება ასობით მშვიდობიანი მოქალაქე. სამაგიეროდ, ნავთობი შეუფერხებლად გადაედინება საერთაშორისო კორპორაციების კუთვნილ ტანკერებში. გაიხსენეთ ეგვიპტე, ტუნისი, იემენი, სადაც ამერიკული სპეცსამსახურების პოლიტტექნოლოგებმა უკრაინული „ნარინჯისფერი" და ჩვენებური „ვარდების" მსგავსი „რევოლუციები" მოაწყვეს. ამ ქვეყნების განვითარება შეჩერებულია, ისინი დენთის კასრებად იქცნენ, რომლებმაც ნებისმიერ წუთს შეიძლება ააფეთქონ რეგიონი"** („საქართველო და მსოფლიო" №34, 2013 წელი).

***** ბევრი ანალიტიკოსის აზრით, აშშ-მა სწორედ იმიტომ შექმნა და შეაიარაღა ჯერ „ალ ქაიდა", შემდეგ „ისლამური სახელმწიფო" და სირიის ე.წ. ოპოზიცია, რომ მათ კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ დაეწყოთ ბრძოლა, გამოეწვიათ ქაოსი, მშობლიური კერიდან აეყარათ მკვიდრი მოსახლეობა და დევნილები ევროპის ქვეყნებისთვის შეესიათ. ამით ამერიკა სარგებელს იღებს: ევროპას აიძულებს, მისი უსაფრთხოების დამცველი და, შესაბამისად, ამერიკის ინტერესების გამტარებელი იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში კიდევ უფრო მეტ ლტოლვილს შეუსევს ევროპას, ამასთანავე, ამ ქაოსსა და არეულობაში ხელთ იგდებს ნავთობსაბადოებს და გააძლიერებს თავის ვალუტას, რომელიც ჰაერისგან არის შექმნილი და არაფრით არის გამყარებული.

აი რას ამბობდა **ალექსანდრე ჭაჭია** 2013 წელს:

**„ყველა ევროპულ ქვეყანაში ფუნქციონირებს ორი-სამი ძირითადი პოლიტიკური პარტია, რომელთა უკანაც დგას მსხვილი კაპიტალი. ეს ფორმალურად ადგილობრივი კაპიტალიც რომ იყოს, იგი მაინც აფილირებულია უმსხვილეს საერთაშორისო კორპორაციებთან. მსოფლიო კაპიტალისთვის ევროპა არის მოგების ამოღების ზონა... თუ გამოჩნდება სახელმწიფო, რომელსაც სურს, საკუთარი რესურსები გამოიყენოს თავისი ხალხის და არა საერთაშორისო კაპიტალის სასარგებლოდ, იქ მაშინვე ამერიკული ბომბდამშენები მიფრინავენ"** („საქართველო და მსოფლიო" №31, 2013 წ).

***** ამიტომ არ აძლევს ხელს აშშ-ს ეროვნული სახელმწიფოების არსებობა, რადგან, თუ სახელმწიფო ეროვნული ინტერესების გამტარებელია, მან თავისი სიმდიდრე — მიწა, წყალი, სასარგებლო წიაღისეული და ა.შ. ხალხს, ამ ქვეყნის ერს უნდა მოახმაროს.

**აი როგორ აფასებდა ალექსანდრე ჭაჭია აშშ-ის სამხედრო-პოლიტიკურ კურსს 5 წლის წინათ:**

**„არის ერთი აქსიომა, რომელიც აშშ-ისა და, საზოგადოდ, დასავლეთის სამხედრო-პოლიტიკური კურსის საფუძველში დევს: იმისთვის, რომ „ოქროს მილიარდის" ქვეყნებში ახლანდელი მოხმარების მაღალი დონე შეინარჩუნონ, დანარჩენი კაცობრიობა სიღატაკეში უნდა ამყოფონ. პლანეტის რესურსები შეზღუდულია, ყველას კარგი ცხოვრებისთვის არ ეყოფა. დასავლეთს მოხმარების შემცირება არ უნდა. სცადეთ, ამერიკელებს შესთავაზოთ, მოიხმარონ იმაზე ნაკლები, ვიდრე ისინი მიეჩვიენ, — ისინი ნებისმიერ მთავრობას წალეკავენ. რა გამოსავალი აქვს ამერიკის მმართველ ელიტას? — ომი, დიდი ომი, რა თქმა უნდა, ამერიკის ფარგლებს გარეთ. ომი, რომელიც მსოფლიოს მნიშვნელოვან ნაწილს გამოფიტავს, ხოლო შემდეგ იქ მივლენ ამერიკელები თავიანთი დოლარით და ისევ ჩვეულ და ძალიან სარფიან საქმეს მიჰყოფენ ხელს — დოლარების გაყიდვას. ასე გამოვიდნენ ისინი კრიზისიდან მეორე მსოფლიო ომის წყალობით, ასე მოვიდნენ ისინი გამოფიტულ ევროპაში ომის შემდეგ"** („საქართველო და მსოფლიო", 2012 წლის მაისი).

▶

**„რუსეთთან უკიდურესად გავართულეთ ურთიერთობა ნატოსკენ ჩვენი „განუხრელი“ სწრაფვით. ნატოს რაკეტა დაგვიცავს, აქ რომ დაგვიყენებენ?! ის რაკეტა, სანამ მოწინააღმდეგემდე მიაღწევს, ადგილზე აფეთქდება და ჩვენ დაგვღუპავს. არ მჭირდება მე აქ არც რუსეთის ჯარი, არც ნატოს და არც თურქეთის!“**

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ * სწორედ ომებითა და ქაოსის შედეგად მოიპოვა აშშ-მა გავლენა ერაყზე, ლიბიაზე, უკრაინაზე, საქართველოზე; ამას ცდილობდა სირიაშიც, მაგრამ არაფერი გამოუვიდა.

რა შეიძლება დაუპირისპიროს კაცობრიობამ აშშ-ის ექსპანსიას, რომელიც მსოფლიოსთვის დესტაბილიზაციის მთავარი საფრთხეა? — ამ კითხვაზე **ალექსანდრე ჭაჭიამ** 4 წლის წინათ ასე უპასუხა:

**„ბოლო ათწლეულებში ამერიკა, სამწუხაროდ, თანამედროვე მსოფლიოსთვის დესტაბილიზაციის მთავარ ძალად, ხოლო ამერიკული არმია კბილებამდე შეიარაღებული მკვლელებისა და მოძალადეთა ბანდად იქცა. ერთადერთი ხსნა ამ ბანდიტებისგან არის ბირთვული იარაღი. ამიტომაც ის ქვეყნები, რომლებსაც არ აქვთ ასეთი იარაღი, მაგრამ სურთ, დარჩნენ დამოუკიდებელ სახელმწიფოებად და განვითარდნენ, ფორსირებული ტემპით ცდილობენ ბირთვული იარაღის შექმნას. ამერიკამ მათ სხვა გამოსავალი არ დაუტოვა. სააკაშვილის საყვარელი მასწავლებლის, სენატორ მაკეინის, მოსმენისას ნორმალური ადამიანი ფიქრობს, რომ სისხლით გაუმაძღარ მანიაკს უსმენს და აშშ-ში არსებობენ ძალები, რომლებსაც შეუძლიათ მისი აგრესიის მოთოკვა. სამწუხაროდ, სწორედ ასეთი სისხლმოწყურებული კაციჭამიები და მათ ზურგს უკან მდგარი გაუმაძღარი კორპორაციები განაგებენ ამერიკას და ეს შეიძლება ძალიან ცუდად დამთავრდეს არა მხოლოდ შეერთებული შტატების, არამედ მთელი კაცობრიობისთვის“** („საქართველო და მსოფლიო“ №34, 2013წ.).

სირიაში დამარცხების, შესაბამისად, ამ ქვეყნის სიმდიდრეების სრულად ხელში ჩაგდების უპერსპექტივობის კომპენსაციას აშშ ახლა ახალი ომებითა და ქაოსის შექმნით ცდილობს.

ამის მაგალითია კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკასთან აშშ-ის დაპირისპირება, რომელმაც, არ არის გამორიცხული, მესამე მსოფლიო ომი გამოიწვიოს, რადგან ჩრდილოეთი კორეა თავისი სუვერენიტეტის დათმობას არ აპირებს; ამის კიდევ ერთი მაგალითია აშშ-ის პრეზიდენტის, **დონალდ ტრამპის**, გადაწყვეტილება ისრაელის დედაქალაქად იერუსალიმის გამოცხადების შესახებ, რომელმაც არაბული სამყარო ყალყზე შეაყენა. ამის ნათელი მაგალითია ქაოსის გამოწვევა უკრაინაში სააკაშვილის მიერ, რომელიც, როგორც აშშ-ის 32-ე პრეზიდენტმა **ფრანკლინ რუზველტმა** თქვა ნიკარაგუის დიქტატორ **სამოსაზე** (უფროსზე), ძაღლიშვილია, მაგრამ ამერიკელების ძაღლიშვილი...

როდემდე გაგრძელდება აშშ-ის ასეთი პოლიტიკა სხვა ქვეყნების მიმართ, როდემდე დაიმორჩილებს ის ევროპისა და სხვა კონტინენტების ქვეყნების მარიონეტულ ხელისუფლებებს თავისი ინტერესების გასატარებლად, ახლო მომავალში გამოჩნდება, მაგრამ დღეს უკვე ნათელია, რომ რეპუტაციაშერყეული აშშ-ის ჰეგემონიას მსოფლიოზე ბოლო მოეღო.

მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძე**

**რომან რურუა:**

# რუსეთი აფხაზეთში შევიდა იმ მიზნით, რომ ექსტრემისტებს გამოაცალა დასაყრდენი და შავ ზღვაზე გასასვლელი

## მუსლიმურ ექსტრემიზმს, ჩრდილოეთ კავკასიის ერთიან სახალიფოში გაერთიანება სურდა, აფხაზეთიც ამ ახალ წარმონაქმნში განიხილებოდა



**რომან რურუა, სახელგანთქმული ქართველი სპორტსმენი, კლასიკურ ჭიდაობაში ოლიმპიური თამაშების, საბჭოთა კავშირისა მსოფლიოს მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი მაინცდამაინც სპორტზე „ჩაციკლული“ არ არის. ბეჭდაუდებელი ფალავანია რომან რურუა და, ამასთანავე, მოღვაწე კაცი, გონებაგახსნილი მეწარმე, ჭკვიანი და ალღოიანი ორგანიზატორი, განათლებული პიროვნება, პრინციპული. გაბედულია დღეს საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე. როგორიც იყო ჭიდაობაში.
ბოროტებას გულში არ ჩაიდებს,
ბოლმას თავს არ შეაჭმევინებს. კეთილია.
მწარე სიმართლეს რომ ამბობს, სიკეთეს უფენს ფიანდაზად. ეს თვისება მისი კუთხის შვილებს ახასიათებთ განსაკუთრებით.
მოკლედ, მრავალპლანიანი ქართველია:
სამყაროს იტევსო, ასეთებზე იტყვიან.
შეთანხმებისამებრ, ინტერვიუ აფხაზეთში ახლახან მისი ჩასვლის თემაზე ავაგეთ.**

— **რატომ გადაწყვიტეთ აფხაზეთში ჩასვლა?**

— გადავწყვიტე, უპირველესად, იმიტომ, რომ მაინტერესებდა, რა მდგომარეობა იყო აფხაზეთში. მინდოდა, გამეგო, როგორ აფასებენ აფხაზები ჩვენი ნამოქმედარის შედეგს. რას ფიქრობენ, რისი იმედი აქვთ, რა სურთ? შევხვდი სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს. ვისაუბრეთ გულახდილად. მათ თავიანთი გულისნადები გამიზიარეს, მე ჩემი ვთქვი. არავითარი დაპირისპირება, არავითარი საყვედური.

— **აფხაზეთში ჩასვლა დღეს ძნელია, როგორ მოახერხეთ?**

— ძნელია მათთვის, ვისაც დანაშაული აქვს ჩადენილი იმ არეულ დროში, როცა შეგნებულად ჩაგვითრიეს იმ უბედურებაში, რომელიც ჩვენსა და აფხაზებს შორის დატრიალდა. აფხაზეთის ომში მე არ ვმონაწილეობდი, ხელებიც და სინდისიც სუფთა მაქვს, კეთილგანწყობა არ მაკლია, მაშასადამე, მორალური უფლება მქონდა, მომენახულებინა ჩვენი აფხაზი ძმები.

— **დასკვნა, რომელიც აფხაზებთან შეხვედრების შემდეგ გამოიტანეთ, როგორია?**

— მოკლედ გეტყვით. ზიზღის მსგავსი რამ ჩვენ მიმართ არ აქვთ. მენდეთ, მართალს გეუბნებით! მგონი, **ისინი ჩვენსავით აფასებენ აფხაზეთში დატრიალებულ ამბებს: ეს იყო ინტერესთა კონფლიქტი და არავითარი დაპირისპირება ქართველებსა და აფხაზებს შორის ეთნიკურ ნიადაგზე. აფხაზებიც მოტყუვდნენ და ჩვენ ხომ მოვტყუვდით და მოვტყუვდით.**

ყველამ ვიცით, რომ **კონსტანტინე ოზგანის** მიერ წარმართულ სეპარატისტულ პროცესებს მხარი დაუჭირეს ჩრდილოეთ კავკასიის კონფედერატებმა ჩეჩნების მეთაურობით. მაშინ ამ ალიანსს ხსნიდნენ იმით, რომ მოსკოვის დავალებით იყო შექმნილი და ჩვენ წინააღმდეგ დაძრული. დღევანდელი გადასახედიდან ამ პრობლემას ცოტა სხვა კუთხით ვხედავ. მუსლიმურ ექსტრემიზმს, ჩრდილოეთ კავკასიის ერთიან სახალიფოში გაერთიანება სურდა. აფხაზეთიც ამ ახალ წარმონაქმნში განიხილებოდა, სოხუმი კი — ამ ისლამური გაერთიანების დედაქალაქად. რუსეთი აფხაზეთში შევიდა იმ მიზნით, რომ ექსტრემისტებს გამოაცალა დასაყრდენი და შავ ზღვაზე გასასვლელი. იმჟამინდელი საქართველო ამ სტრატეგიულ ამოცანას ვერ შეასრულებდა, რადგან საამისოდ სამხედრო ძალა არ ჰქონდა.

— **შედეგად, ქართველები აფხაზეთიდან გამოძევებული ვართ, რუსეთი კი იქ დამკვიდრდა.**

— დიახ, დამკვიდრდა, მაგრამ **რუსეთმა დაგვიტოვა შესაძლებლობა, დაგვებრუნებინა საქართველოს ეს ძირძველი კუთხე, რაზეც არაერთხელ მიგვანიშნა, მაგრამ ჩვენ არათუ გამოვიყენეთ ეს შემოთავაზებები, არამედ სააკაშვილის პრეზიდენტობის წლებიდან მოყოლებული დღემდე მშვიდობიანი მოლაპარაკების ყველა გზა გადავკეტეთ, ყველა ხიდი დავწვით; რუსეთთან კი უკიდურესად გავართულეთ ურთიერთობა ნატოსკენ ჩვენი „განუხრელი“ სწრაფვით. ნატოს რაკეტა დაგვიცავს, აქ რომ დაგვიყენებენ?! ის რაკეტა, სანამ მოწინააღმდეგემდე მიაღწევს, ადგილზე აფეთქდება და ჩვენ დაგვღუპავს.**

არ მჭირდება მე აქ არც რუსეთის ჯარი, არც ნატოს და არც თურქეთის!

**რუსეთს რომ ვუკიჟინებთ ოკუპირებული ტერიტორიის გამო, სხვა მეზობლებთან, მიტაცებული რომ აქვს ჩვენი მიწა-წყალი, რატომ ვართ ენაჩაგდებულები?**

ამერიკა რომ კარნახობს, იმიტომ ხომ არა? ჰოდა, ვართ ბრმა იარაღი სხვის ხელში, რომელმაც შეიძლება ჩვენვე გაგვანადგუროს. ასეთ ვითარებაში საქართველოს დამოუკიდებლობა ფიქციაა. რუსეთსაც ბევრი რამ შეეშალა ჩვენთან ურთიერთობის მოგვარების თვალსაზრისით. 2008 წლის ომის მიზეზებს არ შევეხები, რადგან ეს ძალიან შორს წაგვიყვანს, თანაც არ მაქვს პრეტენზია, დავიჩემო, რომ ბოლო ინსტანციის ჭეშმარიტებას ვქადაგებ.

— **აფხაზებთან შეხვედრები სად გაიმართა?**

— სოხუმში. საბჭოთა კავშირის თავდაცვის სამინისტროს ყოფილ საუწყებო სანატორიუმში, რომელიც დღეს კვლავ აფხაზეთს დაუბრუნეს, მაგრამ ვერ უვლიან, სახსრები არ აქვთ, ამიტომ ეს ობიექტი არ მუშაობს.

— **ვის ელაპარაკეთ?**

— მათ, ვინც აფხაზეთის პატრიოტებად დარჩნენ. ჩვენი მხრიდან მხოლოდ მე ვიყავი, დანარჩენები აფხაზები გახლდნენ — დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლები, ყოფილი შეიარაღებული ფორმირებების ყოფილი მებრძოლები. სუფრაც გაიშალა, მაგრამ ქეიფი, ცხადია, არ ყოფილა. გულახდილად ვილაპარაკეთ და, მგონი, გავუგეთ ერთმანეთს.

— **ხომ არ შემოუთავაზებიათ უფუნქციოდ დარჩენილი სანატორიუმების, საწარმოების ალსადგენად ინვესტიციების ჩადება, ამ მიმართულებით თანამშრომლობა?**

— ისეთი საუბარი იყო, სადაც პირდაპირ თქმაზე უფრო მნიშვნელოვანია ქვეტექსტი, მინიშნება. რაც არ ითქვა, იმაზე ლაპარაკს არ დავიწყებ. ყველამ, მათ შორის ხელისუფლებამაც და კერძო მეწარმეებმაც, თავის დროზე რაც არ გააკეთეს, გააკეთონ ახლა! გადადგან ეს ნაბიჯი.

— **როგორია დღეს აფხაზეთი, ერთ დროს შავი ზღვის სანაპიროს მარგალიტი და ყოფილი საბჭოეთის „ჯანმრთელობის კერა“?**

— ლესელიძემდე ჩამიყვანეს, ყველაფერი დამათვალიერებინეს და, რაც იქ ვნახე, იმას ჩვენი ნამოქმედარი დავარქვი: **გადამწვარ-გადაბუგულია აფხაზეთი, სახლს ვერ იპოვი, ხელუხლებელი რომ იყოს. სანატორიუმები, დასასვენებელი სახლები განადგურებულია. ერთადერთი, რაც გაკეთებულია, სამანქანო გზაა, ისიც რუსებმა აღადგინეს.**

სხვა — არაფერი!

გასხლული ხე, აკრული ვაზი, მოხნული მიწა ვერსად ვნახე. არავინ იფიქროს, რომ თავზე ფერფლს ვიყრი — ომში ორივე მხარეა დამნაშავე: ჩვენნაირი „მხედრიონელები“ იმათაც ჰყავდათ. ვთქვათ ეს ყველამ! მარტო მე რატომ მათქმევინებთ, ჩემთან ერთად სხვებმაც თქვით!

— **სპორტსმენებს თუ შეხვდით?**

— რა თქმა უნდა. ჭიდაობის დარბაზები გვაქვსო. ავარჯიშებენ ახალგაზრდებს. უმაღლეს სპორტულ დაოსტატებაზე როგორ ზრუნავენ? ვწვალობთო რაღაცას. ზოგს ჩრდილოეთ კავკასიაში ვგზავნით, ზოგს — რუსეთში და გვეკარგება ნიჭიერი ბავშვებიო.

— **საქართველოში?**

— გლდანის სკოლა-ინტერნატში გამოუგზავნიათ. ორი ბავშვის მეტი არ მიიღესო. რატომ არ მიიღეს-მეთქი, რომ შევეკითხე, კონკურსში ვერ გავიდნენო(!). წესისა და დებულების დაცვის კუთხით, ყველაფერი სწორია, მაგრამ მორალს რას უშვები, მოვალეობას, ქვეყნის ინტერესებს, ბოლოს და ბოლოს?! რა კონკურსი აგიტყდათ, ბატონებო, აფხაზი ბიჭების მიმართ, რომელ პოდიუმზე გასასვლელად ამზადებთ? ერთი და ორი ბავშვი კი არა, რამდენსაც სურს, თუნდაც ჭიდაობის ნიჭის ნასახიც არ გააჩნდეს, უნდა მიიღო და გაზარდო! მხოლოდ სპორტსმენად კი არა, კაცად უნდა გაზარდო!

— **ხომ არ დაჰპირებიხართ, რომ ჩაერეოდით და მოაგვარებდით ამ საკითხს?**

— ვისთან უნდა ჩავერიო, ვის აინტერესებს ეს საკითხი?!

— **უნდა აინტერესებდეს. ამხელა სამინისტრო გვაქვს.**

— არ აინტერესებთ და რა ვქნა?

— **უნდა მიხვიდეთ და უთხრათ.**

— მე კი არ უნდა მივიდე, ის უნდა მოვიდეს აქეთ. მე საქმის საინტერესო მიმართულებით წარმართვის პერსპექტივა ჩამოვუტანე. დაინტერესდნენ. ვეტყვი ყველაფერს.

— **აფხაზებთან მომავალ შეხვედრებზე ხომ არ შეთანხმებულხართ?**

— ორჯერ დამირეკეს: სხვებსაც უნდათ თქვენთან შეხვედრაო. ხელცარიელი ხომ არ ჩავალ?! თუნდაც ეს თემა — **აფხაზი ახალგაზრდა სპორტსმენების აღზრდა-დაოსტატებით არის ვინმე დაინტერესებული თბილისში?!**

ერთი თუ ორი მივიღეთო. კარგი, რა!

ალბათ, შემეკითხებით, რა არის გასაკეთებელი, აფხაზეთი რომ დავიბრუნოთო.

თქვენ არა, მათ ვუპასუხებ, ვისი მოვალეობაცაა ამ პრობლემის მოგვარება:

თქვენ, ბატონო პოლიტიკოსებო, ჩემზე კარგად იცით, რა არის გასაკეთებელი აფხაზეთის დასაბრუნებლად. რა გინდა ამ პოლიტიკაში, ჩემო ძმაო, თუ სიმართლეს არ იტყვი? გეშინია? — კი, გეშინია, ამიტომ არ ამბობ!

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

**P.S. მივმართავთ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა, ასევე, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა რეფორმირებული სამინისტროების ხელმძღვანელებს: იკადრეთ რომან რურუასთან მოსვლა, ბევრ საინტერესოს შეიტყობთ, ამოუდექით მხარში. მე თქვენ გეტყვით, ყოველდღე ხელს ართმევთ საბჭოთა კავშირის, მსოფლიოს, ოლიმპიური თამაშების მრავალგზის ჩემპიონს.**

**დავიჯეროთ, რომ, მიხეილ სააკაშვილისა არ იყოს, თქვენც არ კითხულობთ გაზეთებს?!**

**ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი**



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რამდენადაც პასუხისმგებლიანი ფეხბურთელი იყო კალაძე, იმდენად უპასუხისმგებლო სახელმწიფო მოღვაწეა და აშკარად სჯობდა, ნაყიდი უმაღლესი განათლების დიპლომით კი არ მოსულიყო ხელისუფლებაში, არამედ „მილანელოს“ ბაზის დატოვებისა და ფეხბურთისთვის თავის დანებების შემდეგ, 5 წელი მაინც ესწავლა, პატიოსნად აეღო დიპლომი და მერე ეცადა სახელმწიფო თანამდებობის დაკავება.**

# საახალწლო «კახაფონია» და «სისტემის მსხვერპლები»

**საქართველოში დამნაშავე და უზნეო ადამიანი რომ არ არსებობს და ეს ქვეყანა მხოლოდ „სისტემის მსხვერპლებითაა“ სავსე, ბიძინა ივანიშვილმა გვითხრა მას შემდეგ, რაც 2012 წლის არჩევნებში გამარჯვება დაიბევა. მანამდე „სიცრუის მანქანა“ და „ბოროტების მსახურნი“, ალბათ, იმიტომ უწოდა ნაცების მსახურ ტელევიზიებსა და იქ მომუშავე ხალხს, რომ მათზე გავლენა მოეპოვებინა და გადმოებირებინა. სინამდვილეში კი, ჩვენი „კეთილი“ ბიძინა სულ სხვანაირად ფიქრობდა და, როდესაც უკვე დაამარცხა პირადი მტერი (დიახ პირადი) მიხეილ სააკაშვილი, უმალ შემწყნარებელი გახდა მათ მიმართ, ვინც წინა ბატონს უარყოფდა და „დიად“ ბიძინას აღიარებდა.**

ასე გაჩნდა ცნება „სისტემის მსხვერპლები“ და მარტივი დაყოფა — ამ „შეწყნარებულთა“ კლასს მიეკუთვნებოდა ყველა, ვინც ბიძინასა და „ქოცების“ სამსახურში ჩადგებოდა, ხოლო, ვინც ერთგულებდა ნაცებსა და მიშას, ისინი დღემდე „ბოროტების მსახურნი“ და „მიუტევებლად დამნაშავენი“ არიან.

ყოველივე ზემოთქმულმა, თავის მხრივ, განაპირობა თბილისის ახალარჩეული მერის, **კახა კალაძის**, მოქმედების ტაქტიკაც. ეს ახალგამოჩეკილი „მოღვაწე“, მას შემდეგ, რაც ბურთის გორიალს თავი ანება, იმწამს მინისტრის სავარძელში აღმოჩნდა და, შესაბამისად, ვერც ვერანაირი საკუთარი უნარები ექნება გამომუშავებული მართვისა და საქმის გაძღოლისა. ამიტომ, რაც შეუძლია, ბაძავს თავის ბატონს — **ბიძინა ივანიშვილს.** ასე და ამგვარად, კაცი, რომელიც ხუთიოდე წლის წინათ მედიის წარმომადგენლებსა და ყველას, ვინც ნაცების ხელისუფლებას ემხრობოდა, უყვიროდა: „გადაშენდით აქედანო!“, ახლა ბატონის მიბაძვით უცებ მოგვევლინა „მშვიდობის მტრედად“ და „შემწყნარებელ“ პოლიტიკოსად.

**„ჩვენ უნდა დავანგრიოთ ის სტერეოტიპი, რომ რაღაც გარკვეული პოლიტიკური შეხედულებების გამო ხდებოდა მომღერლების არჩევა მთავარი საახალწლო კონცერტისთვის“,** — განაცხადა კახა კალაძემ. ამით თვითონაც კმაყოფილი დარჩა და თავისი „ფანებიც“ კმაყოფილი დატოვა. თუმცა რა, „ფანები“ ხომ იმის „ფანები“ არიან, საკუთარი ბელადით მუდამ კმაყოფილი იყვნენ. სამწუხაროდ, კახა კალაძეს ამჯერად არა საფეხბურთო, არამედ ტვინდახშული „პოლიტიკური“ ფანები ჰყავს, რაც უკვე პირდაპირი მონობის სტადიაა და გულისამრევს ხდის ადამიანს. თუმცა ამაზე — მოგვიანებით. ახლა კი იმაზე გავამახვილოთ ყურადღება, **როგორი მეტამორფოზი განიცადა დედაქალაქის მერის აზროვნებამ და როგორ უცებ იქცნენ „გადასაშენებელი“ ადამიანები „რაღაც პოლიტიკური შეხედულების“ მქონე ადამიანებად.**

ყველაზე დიდი ნაძირალობა აქ ის არის, რომ ჯიუტად მიმდინარეობს ასეთი ტრენდის დამკვიდრება: თითქოს ჩვენ (ანუ მე და ჩემნაირი აზროვნების ადამიანები) ვართ ცუდები, შეუგნებლები, ბოროტები, ბოღმიანები და პოლიტიკური შეხედულებების გამო გადავეკიდეთ მომღერლებს, ჟურნალისტებს და სხვა პროფესიის კონკრეტულ პიროვნებებს; ხოლო კალაძე, ივანიშვილი და სხვა „ჰუმანისტები“ არიან კეთილი ბიძიები, რომლებიც პოლიტიკური შეხედულებების გამო ადამიანების დაჩაგვრას არ ამართლებენ და „სტერეოტიპებს ანგრევენ“.

კი მაგრამ, **ან ჩემგან, ან ვინმესგან ოდესმე გსმენიათ, რომ „პატრიოტთა ალიანსის“, „დემოკრატიული მოძრაობის“, ლეიბორისტების, „ახალი მემარჯვენეების“, „თავისუფალი საქართველოს“ და საქართველოში რეგისტრირებული სხვა უამრავი პოლიტიკური პარტიის მხარდამჭერი მომღერლები არ ამღეროთო?**

მაშ, როგორღა არის ეს „პოლიტიკური შევიწროება“?!

**საქმე ის არის, ჩემო „ძაან ჰუმანურებო“, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდაჭერა იმ „კოშმარული“ 9 წლის განმავლობაში იყო არა „რაღაც პოლიტიკური შეხედულებები“, არამედ მანიაკობის, ადამიანთა წამების, კაცისკვლის მხარდაჭერა და ამას არანაირი კავშირი პოლიტიკასთან არ აქვს.**

ასე რომ, **ბატონო მერო, თქვენ „სტერეოტიპს“ კი არ „ანგრევთ“, როგორც გსურთ, დახატოთ, არამედ ამკვიდრებთ უზნეობას საზოგადოებაში და ცდილობთ, წარმოაჩინოთ, რომ „პოლიტიკური ჩაგვრის მსხვერპლებს“ ექომაგებით. ეს, პირდაპირ გეტყვით, დიდი უზნეობაა თქვენი მხრიდან. თუკი საზოგადოებამ მანიაკების მხარდამჭერებს, სხვა ადამიანების წამების ფაქტებზე ტაშის დამკვრელებსა და მკვლელების უკანალში ძრომით დაკავებულ ადამიანებს შესაბამისი პასუხი არ მოსთხოვა, მაშინ ამ ქვეყანას უზნეობისა და უსამართლობის მორევი წალეკავს!**

„აბა, რა ვქნათ, დავხვრიტოთ ეს ხალხი?“ — შესძახებს ახლა „ქოცური კოაბიტაციის გაპრავებაში“ გაწაფული რომელიმე „ფანატი“. არა, ბატონო, არ უნდა დავხვრიტოთ, მაგრამ არც „პოლიტიკური შეხედულებების გამო შევიწროებულები“ უნდა ვუწოდოთ.

თუ მაინცდამაინც გვსურს, რომ დაძაბულობა მოვხსნათ და ისინი საზოგადოებაში დავაბრუნოთ, მაშინ ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაერქვას და ბატონმა მერმა უნდა სთხოვოს საზოგადოებას, რომ ვაპატიოთ ამ უნამუსო ადამიანებს მკვლელებისა და მანიაკების მხარდაჭერა. დიახ, **აქეთ კი არ უნდა გვლანძღავდეს ბატონი მერი და ნათქვამი ისე კი არ უნდა გამოუვიდეს, თითქოს თვითონ „კარგი და კეთილი ბიჭია“, რომელიც „პოლიტიკურ შეხედულებებს“ მნიშვნელობას არ ანიჭებს, ჩვენ კი — „ბოროტი საზოგადოება“, რომელიც „პოლიტიკის გამო“ ვჩაგრავთ მომღერლებსა და სხვა პროფესიის წარმომადგენლებს.** ჭკუას კი არ უნდა გვარიგებდეს, არამედ უნდა გვთხოვოს, რომ ამ ადამიანებს ვაპატიოთ დანაშაული და მივილოთ ისინი.



**ბატონო მერო, თქვენ «სტერეოტიპს» კი არ «ანგრევთ», როგორც გსურთ, დახატოთ, არამედ ამკვიდრებთ უზნეობას საზოგადოებაში და ცდილობთ, წარმოაჩინოთ, რომ «პოლიტიკური ჩაგვრის მსხვერპლებს» ექომაგებით. ეს, დიდი უზნეობაა თქვენი მხრიდან. თუკი საზოგადოებამ მანიაკების მხარდამჭერებს, სხვა ადამიანების წამების ფაქტებზე ტაშის დამკვრელებსა და მკვლელების უკანალში ძრომით დაკავებულ ადამიანებს შესაბამისი პასუხი არ მოსთხოვა, ამ ქვეყანას უზნეობისა და უსამართლობის მორევი წალეკავს**

თუმცა, ვის რა გინდა უთხრა, როდესაც **ადამიანების გარკვეულ ნაწილს მიდრეკილება აქვს მონობისკენ. მაგალითად, როდესაც დაახლოებით იმავე შინაარსის პოსტი გამოვაქვეყნე „ფეისბუქზე“, რამდენიმე ადამიანმა ასეთი კომენტარი დაწერა: „ადამიანი ასეთ ქველმოქმედებას ეწევა და თქვენ კიდე აკრიტიკებთ, არა გრცხვენიათ?“**

აქვეა სათქმელი, რომ ეს „ქველმოქმედება“ კიდევ ერთი უაზრო და შტერული კლიშეა, რომლის დამკვიდრებასაც ცდილობენ ქართველ საზოგადოებაში, ანუ, **თუკი ვინმემ რაიმე ქველმოქმედება გასწია ან ჯერაც ეწევა, მასზე არაფრის თქმა აღარ შეიძლება და მისი კრიტიკა ცუდი საქციელია?!**

მინდა, ასეთ ადამიანებს ვუთხრა: **ქველმოქმედებას ეწეოდა მსოფლიოში ყველა მეტნაკლებად ფულიანი პერსონა. ვერ დამისახელებთ თვით ყველაზე ბოროტ და ცუდი რეპუტაციის მქონე მილიონერს, ბანდიტს, მაფიოზის, რომელსაც რაიმე ქველმოქმედება არ ჰქონდეს ოდესმე გაწეული. მაშ, მათზე არაფრის თქმის უფლება აღარ გვაქვს? რაც უნდა ჩაიდინონ, რაც უნდა არასწორად მოიქცნენ, ხმა არ უნდა ამოვიღოთ?**

სხვათა შორის, ქველმოქმედებით ნაციონალების ბევრი ლიდერი და მხარდამჭერიც იყო დაკავებული. მაგალითად, იმავე თბილისის ყოფილ ნაციონალ მერს, **გიგი უგულავას**, უამრავი ადამიანი ემადლიერება, რადგან მან სამედიცინო ოპერაციები დაუფინანსა არასაბიუჯეტო თანხებით. ასევე, ძალიან ბევრს გაუმართა ხელი სააკაშვილის „პირად მოლარედ“ წოდებულმა „ოქროს ბიჭმა“ **კობა ნაყოფიამ.** ეს ჩამონათვალი შემიძლია გავარძელო. მაშ, რა ვქნათ, ხმა არ ამოვიღოთ, როდესაც საქმე მათ მიერ ჩადენილ არასწორ საქციელს შეეხება?

იცით თუ არა, რომ თვით **თენგიზ კიტოვანს** აქვს რამდენიმე ადამიანისთვის სერიოზული თანხა სამკურნალოდ მიცემული? **ჯაბა იოსელიანი** რომ უამრავ გაჭირვებულს ეხმარებოდა? ჩემი თუ არ გჯერათ, მობრძანდით და თვითონ ამ ხალხთან დაგალაპარაკებთ. **რა, ეს საკმარისია იმისთვის, რომ მათგან ნაკეთებ უარყოფით საქმეებზე ხმა აღარ ამოვიღოთ?**

თუმცა, ვისზე რა გინდა თქვა, როდესაც თვითონ კალაძე უჭერდა მხარს მანიაკებსა და მკვლელებს 2011 წლამდე, ანუ მაშინ, როდესაც უკვე **გირგვლიანის** ამბავიც მომხდარი იყო, 7 ნოემბერიც და უამრავი ადამიანის ციხეებში წამების შესახებაც ყველამ ყველაფერი ვიცოდით. ფაქტია, ნაცებმა და პირადად მიშა სააკაშვილმა კალაძე დააგოიმეს: შეჰპირდნენ მას მისი გაუმართლებლად დიდი ამბიციის შესაბამის თანამდებობას და „ქველმოქმედმა კახამაც“ განაგრძო ნაცების მხარდაჭერა. **მხოლოდ მას შემდეგ, რაც ცხადი შეიქნა, რომ „გადააგდეს“, დაბოღმილმა კალაძემ უკვე, როგორც პირად მტერს, ისე „დაარტყა“ სააკაშვილს. შეიძლება ითქვას, აქაც მიბაძა თავის „დიად ბატონს“ — ბიძინა ივანიშვილს.** თორემ კალაძე რომ დაენიშნა მიშას მინისტრის პოსტზე ან თბილისის მერად წარედგინა მისი კანდიდატურა, კახა ყოველივე ამას შეიფერებდა, ნაცების მაღალჩინოსანი გახდებოდა და საერთოდაც აღარ შეაწუხებდა არც გირგვლიანის ბედი და არც არავისი წამება-მკვლელობა.

ასე რომ, **თბილისში მოსალოდნელ საახალწლო კაკაფონიას არანაირი „ქველმოქმედის“ იმიჯი აღარ ამართლებს.**

მით უმეტეს ძალიან დიდი უპასუხისმგებლობაა კალაძის თავდაჯერებული განცხადება: წელს თბილისში საახალწლო განათებებზე ყველაზე მეტი — 3 მილიონი ლარი დაიხარჯებაო. აქამდე, არც ერთ წელს განათებებზე ამის ნახევარიც არ დახარჯულა. არავის აქვს იმის დამადასტურებელი ფაქტები, რომ ხალხმა უკვე საჭმელ-სასმელი იშოვა და აღარავინ კვდება უსახსრობით, **ამიტომ ერთადერთი „არგუმენტი“, რატომაც წელს ყველაზე მეტი (3 მილიონი) უნდა დაიხარჯოს განათებებში, არის დედაქალაქის ზედმეტად ამბიციური მერის „მე ასე მინდა“!**

კალაძის ასეთი ჯიუტი პიროვნული მიდგომები საფუძველს გვაძლევს, ამ „კაკაფონიებს“ ანი „კახაფონიები“ დავარქვათ. სერიოზულად კი, ასეთი მიდგომები, როგორც წესი, ძალიან ცუდად უმთავრდება ხოლმე ნებისმიერ სახელმწიფო მოხელეს.

მე არ მივეკუთვნები ისეთ ადამიანებს, რომლებიც კალაძის ძირითად ნაკლად ორ ავტოგოლს მიიჩნევენ, და მუდამ ვამბობ, რომ ეს ავტოგოლები არ იარსებებდა, კალაძე პასუხისმგებლობის მქონე ფეხბურთელი რომ არ ყოფილიყო, და საკუთარი კარის გადარჩენა უიმედო სიტუაციაშიც არ ეცადა, ასეთ შემთხვევაში ის გოლები მაინც გავიდოდა და კალაძესაც ვერავინ წამოაძახებდა ავტოგოლებს.

მაგრამ, **რამდენადაც პასუხისმგებლიანი ფეხბურთელი იყო კალაძე, იმდენად უპასუხისმგებლო სახელმწიფო მოღვაწეა და აშკარად სჯობდა, უმაღლესი განათლების ნაყიდი დიპლომით კი არ მოსულიყო ხელისუფლებაში, არამედ „მილანელოს“ ბაზის დატოვებისა და ფეხბურთისთვის თავის დანებების შემდეგ, 5 წელი მაინც ესწავლა, პატიოსნად აეღო დიპლომი და მერე ეცადა სახელმწიფო თანამდებობის დაკავება.**

დღეს კი, როგორც ვხედავთ, მის მომხრეთა ერთადერთი არგუმენტი კალაძის კარგ სახელმწიფო მოღვაწედ წარმოსაჩენად მხოლოდ ისაა, რომ „კახა ქველმოქმედია“.

ეს კი ზუსტად ისევე გამოდგება მის სასარგებლო არგუმენტად, როგორც ის ორი ავბედითი ავტოგოლი მის დასაკნინებლად...

თუმცა ყოველგვარი საუბარი და განხილვა ფუჭია, რადგან საქმე გვაქვს ძალიან ამბიციურ, ჯიუტ, უწიგნურ და ფულით გატუტუცებულ ადამიანთან, რომელმაც გადაწყვიტა, თავისი ფულით და გავლენით იქაც „შეეტენოს“, სადაც მისნაირ ადამიანს არაფერი ესაქმება. მოგეხსენებათ, სანამ კისერს არ წაიმტვრევს, სანამ საზოგადოებას ყელში არ ამოუვა და პანღურით არ გადმოაგდებს თავისი დაუმსახურებლად დაკავებული სავარძლიდან, ასეთი ადამიანის აზრზე მოყვანა შეუძლებელია. ისღა დაგვრჩენია, დაველოდოთ თბილისის პირველ საახალწლო „კახაფონიას“ და საზოგადოების რეაქციას ყოველივე ამაზე.

**დასავლეთი (აშშ) ზუსტად ისევე ცდილობს ნეოლიბერალური პოლიტიკური ძალების გაძლიერებას რუსეთში, როგორც საქართველოში, მაგრამ, თუ ჩვენში, ამ მხრივ, მეტ-ნაკლებად მიაღწიეს წარმატებას (ეკლესიის დისკრედიტაცია, პატრიოტული სულის ჩაკვლა ახალგაზრდებში და ა.შ.), რადგან საქართველოს არ ჰყავს ეროვნული ხელისუფლება (პარლამენტის სპიკერი რომ იტყვის: არ მესმის ქართული ცნობიერება რას ნიშნავსო, საერთოდ, რომელ ეროვნულ ხელისუფლებაზეა საუბარი?!), რუსეთში უკუშედეგი მიიღეს, რადგან კრემლში რუსეთის პატრიოტი ხელისუფლება ზის, რომელსაც ეროვნული ლიდერი ვლადიმერ პუტინი უდგას სათავეში.**



ავი მესაიფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ისლამის გარემოცვაში მოქცეულ საქართველოს მხოლოდ ებრაელებთან სამიათასწლიანი ძმობა ვერ დაგვიცავს

**გასულ კვირაში რუსეთის პრეზიდენტის ოფიციალურმა განცხადებამ მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის შესახებ ის მოჩვენებითი ინტრიგაც მოკლა, რომელიც, ასე თუ ისე, სუფევდა „ლიბერალური რუსეთის“, ანუ იქაური მეხუთე კოლონის ოცნებებში. პუტინის ეს გადაწყვეტილება ნამდვილად არ არის სულერთი დასავლეთისთვის, რადგან ე.წ. არასისტემური, გნებავთ, პროდასავლური, ნეოლიბერალური ოპოზიციის საპრეზიდენტო კანდიდატების — გრიგორი იავლინსკისა და ქსენია სობჩაკის — მონაწილეობა საპრეზიდენტო არჩევნებში, რბილად რომ ვთქვათ, ღიმილის მომგვრელია, რადგან იავლინსკისა და სობჩაკს, რომელთა წინასაარჩევნო სლოგანი უკრაინისთვის ყირიმის დაბრუნებაა, არათუ გამარჯვების, არამედ მეორე ადგილზე გასვლის თეორიული შანსიც არ აქვთ.**



## რუსეთი, რომელიც სირიაში სამხედრო-პოლიტიკური გამარჯვებით ტრიუმფით დაბრუნდა გეოპოლიტიკაში, სამომავლოდ ნამდვილად აღარ აპირებს, არც კორეაში და არც სხვაგან შორიდან დამკვირვებლის პოზაში ყოფნას

გაცილებით უარესადაა ძია სემის საქმე რუსეთში რევოლუციური და საპროტესტო მუხტით ვითარების დესტაბილიზაციის მხრივ, რადგან ამ ურეიტინგო (მათი რეიტინგი დაახლოებით ისეთია რუსეთში, როგორიც ჩვენში — რესპუბლიკელების) კანდიდატების მონაწილეობა მომავალ არჩევნებში მხოლოდ ერთგვარი რეფერენდუმი იქნება, რომლის შედეგებით გაირკვევა, რფ-ის მოსახლეობის რამდენი პროცენტი უჭერს მხარს ყირიმის უკრაინისთვის დაბრუნებას, ერთი და იმავე სქესის პირთა შორის ქორწინების დაკანონებას და სხვა ნეოლიბერალურ „ღირებულებებს“...

სიტყვამ მოიტანა და, ქართველი საზოგადოების უმრავლესობისთვის „უხსენებელი“ რესპუბლიკური პარტია ვახსენე, რითაც გარკვეულწილად პარალელი გავავლე ჩვენსა და რუსეთს შორის და, აჰა, კიდევ ერთი — დასავლეთი (აშშ) ზუსტად ისევე ცდილობს ნეოლიბერალური პოლიტიკური ძალების გაძლიერებას რუსეთში, როგორც საქართველოში, მაგრამ, თუ ჩვენში, ამ მხრივ, მეტ-ნაკლებად მიაღწიეს წარმატებას (ეკლესიის დისკრედიტაცია, პატრიოტული სულის ჩაკვლა ახალგაზრდებში და ა.შ), რადგან საქართველოს არ ჰყავს ეროვნული ხელისუფლება (პარლამენტის სპიკერი რომ იტყვის: არ მესმის ქართული ცნობიერება რას ნიშნავსო, საერთოდ, რომელ ეროვნულ ხელისუფლებაზეა საუბარი?!), რუსეთში უკუშედეგი მიიღეს, რადგან კრემლში რუსეთის პატრიოტი ხელისუფლება ზის, რომელსაც ეროვნული ლიდერი **ვლადიმერ პუტინი** უდგას სათავეში.

აქედან გამომდინარეა, რომ **ეკონომიკურმა, აგრეთვე, დოპინგსანქციამ (თუ შეიძლება ასე ითქვას), რომლის ძალითაც რუსეთის ნაკრები სამხრეთ კორეაში გასამართი ზამთრის ოლიმპიური თამაშებიდან მოკვეთეს, რაც, ალბათ, უპრეცედენტო ფაქტია, არათუ დასცა ვლადიმერ პუტინის რეიტინგი, არამედ პირიქით — ეკონომიკური სანქციების გამო შეჭირვებული მოსახლეობა, არათუ ქუჩაში გამოვიდა იაფი ძეხვის მოთხოვნით, რისი დიდი იმედიც ჰქონდათ სანქციების დამწესებელთ, არამედ ლიდერის გარშემო უფრო მეტად შეიკრა.** ამას მოწმობს დასავლეთის ავტორიტეტული ორგანიზაციების მიერ ჩატარებული გამოკითხვების შედეგები, რომელთა მიხედვით რუსეთის ფედერაციის მოსახლეობის დიდი უმრავლესობა ენდობა და მხარს უჭერს პრეზიდენტ პუტინს და, რაც მთავარია, **ახალგაზრდებს შორის გამოკითხულთა 70%(!) მხარს უჭერს რუსეთის პრეზიდენტის საშინაო თუ საგარეო პოლიტიკას.**

რუსი ხალხი მშვენივრად ხვდება, რომ რუსეთისთვის ბოლო პერიოდში დაწესებული ეკონომიკური სანქციები სინამდვილეში პირადად ვლადიმერ პუტინთან ბრძოლაა მომავალი საპრეზიდენტო არჩევნების კონტექსტში და ამიტომ არ გამოდის წითელ მოედანზე პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნით. ხატოვნად თუ ვიტყვით, კუჭმა ვერ აჯობა გონებას... ეს — რაც შეეხება რუსეთში არსებულ პოლიტიკურ მოცემულობას და ახლა ვნახოთ, როგორ გეოპოლიტიკურ ფონზე განაცხადა ვლადიმერ პუტინმა პრეზიდენტობის კიდევ ერთ ვადაზე კენჭისყრის სურვილი: უაღრესად დაძაბული ვითარება ჩრდილოეთ კორეაში — აშშ-ის ქორი პოლიტიკოსები თუ სამხედროები, სრული სერიოზულობით განიხილავენ ამ სახელმწიფოს განადგურების ვარიანტებს, მათ შორის, ტაქტიკური ბირთვული იარაღის გამოყენებით; რუსეთის სამხედრო სარდლობის პატაკი მთავარსარდალ ვლადიმერ პუტინს, რომ მისი ბრძანება სირიის ტერიტორიაზე ისლამისტი ტერორისტების განადგურების შესახებ შესრულებულია. რუსეთის იარაღისა და პოლიტიკის გამარჯვება რეგიონში ავტომატურად აშშ-ის მარცხს ნიშნავს და იქნებ სწორედ ამიტომ „ააფეთქა“ **დონალდ ტრამპმა ახლო** აღმოსავლეთი, როცა იერუსალიმი ისრაელის დედაქალაქად გამოაცხადა, რათა სირიაში განცდილი პოლიტიკურ-სამხედრო მარცხის ნიველირება პალესტინა-ისრაელის მრავალწლიანი კონფლიქტის ექსკლუზიურად დაშოშმინებით შეძლოს დასავლური სამყაროს თვალში, რომლის უპირობო ლიდერობაზე აშშ-ის პრეტენზიას ბოლო პერიოდში, რომ იტყვიან, წყალი შეუდგა.

ვინც ოდნავ მაინც იცნობს უახლეს ისტორიას, დამეთანხმება, რომ მსგავს „გადათამაშებას“ ახლო აღმოსავლეთში ნულოვანი პერსპექტივა აქვს, რადგან მას შემდეგ, რაც მეორე მსოფლიო ომში ყოფილ მოკავშირეებზე **იოსებ სტალინის** აშკარა ზემოქმედებით ისრაელის სახელმწიფო შეიქმნა (1947 წელს), ისრაელში მშვიდობა, როგორც ასეთი, 70 წელიწადია, ერთობ პირობითი ცნებაა — პატარ-პატარა შეტაკებები არაბთა და ებრაელთა შორის ლამის ყოველდღიური „რუტინაა“, რომლებიც ორჯერ გადაიზარდა ე.წ. ინტიფადაში, ანუ მრავალწლიან პერმანენტულ სისხლიან შეტაკებებში, ტერორისტულ აქტებში, პრაქტიკულად, ომში (პირველად — 1987-1993 წლებში, ხოლო მეორედ — 2000-2005 წლებში) და ახლა პალესტინელები მესამე ინტიფადათი იმუქრებიან, რაც, ანალიტიკოსთა აზრით, რეალური პერსპექტივაა საპროტესტო აქციებით მოცულ ისრაელსა და პალესტინაში.

ზემორე თქმულთან კონტექსტშია განსახილველი დაუგეგმავი შეხვედრა პუტინსა და ჩინეთის სამხედრო ხელმძღვანელობას შორის, რომელიც 8 დეკემბერს გაიმართა კრემლში, სადაც, სავარაუდოდ, რუსეთ-ჩინეთის პოლიტიკურ-სამხედრო ერთობლივ ქმედებებზე იქნებოდა საუბარი აშშ-ის მიერ ჩრდილოეთ კორეაში სამხედრო ინტერვენციის დაწყების შემთხვევაში. ცხადია, რომ ერთი მხრივ, ჩინეთს, როგორც კორეასთან ტერიტორიულად ახლო მყოფი ქვეყნის ინტერესებს ეწინააღმდეგება აშშ-ის შესაძლო სამხედრო ინტერვენცია ჩრდილოეთ კორეაში, მიუხედავად იმისა, ბირთვული იქნება ინტერვენცია თუ არაბირთვული, და, მეორე და მთავარი კი გახლავთ რუსეთი, რომელიც სირიაში სამხედრო-პოლიტიკური გამარჯვებით ტრიუმფით დაბრუნდა გეოპოლიტიკაში, სამომავლოდ ნამდვილად აღარ აპირებს, არც კორეაში და არც სხვაგან შორიდან დამკვირვებლის პოზაში ყოფნას.

ამ უმნიშვნელოვანეს შეხვედრაზე ჩინეთის სამხედრო დელეგაციის ხელმძღვანელმა, ჩინეთის ცენტრალური სამხედრო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, გენერალ-პოლკოვნიკმა **ჩჟან იუსიამ** რუსეთის პრეზიდენტს ეროვნული გმირი უწოდა და აღნიშნა, რომ 2013 წლიდან დღემდე რუსეთის პრეზიდენტი და ჩინეთის პირველი პირი **სი ძინპინი** 24-ჯერ(!) შეხვდნენ ერთმანეთს.

ეს — რაც შეეხება ლამის 1,5-მილიარდიან ჩინეთს, ამას დავუმატოთ დაახლოებით ამდენივე მოსახლეობის მქონე ინდოეთი, რომელთანაც რუსეთს კარგი ურთიერთობა აქვს, და ისიც, რომ რუსეთი დედამიწის ხმელეთის 1/8-ზეა გადაჭიმული და ეს ყველაფერი მცირე ლირიკული გადახვევა გამოვა რუსეთის პოლიტიკურ-ეკონომიკურ იზოლაციში მოქცევაზე მეოცნებეთა საყურადღებოდ. პოლიტიკაში არ არსებობს შემთხვევითი ქმედებები, მით უმეტეს, ჟესტები, რადგან მათ, როგორც წესი, სიმბოლური დატვირთვა აქვს და, ამ მხრივ, მართლაც სიმბოლურია, რომ ვლადიმერ პუტინმა კიდევ ერთ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობაზე ნიჟნი-ნოვგოროდიდან განაცხადა. სწორედ ნოვგოროდიდან დაიწყეს **დიმიტრი პოჟარსკიმ** და **კუზმა მინინმა** 400 წლის წინათ მოსკოვზე მსვლელობა, საიდანაც კინწისკვრით გაყარეს პოლონელი ინტერვენტები, დაასრულეს „ველიკაია სმუტად“ წოდებული მრავალწლიანი განუკითხაობა რუსეთში და დასაბამი მისცეს იმ ძლევამოსილი სახელმწიფოს შექმნას, რომელიც დღეს რუსეთის იმპერიად არის ცნობილი.

ისტორია მეორდება — 2000 წელს რუსეთის პრეზიდენტად ახალარჩეულმა ვლადიმერ პუტინმა შეძლო სსრკ-ის დაშლის შემდეგ რუსეთში შექმნილი „ველიკაია სმუტას“ დასრულება, რომელსაც საპრეზიდენტო პირველი ვადა მთლიანად მოუნდა; შემდეგ, 2007 წელს, მეორე ვადით არჩეულმა, მიუნხენში განაცხადა, რომ რუსეთი ერთპოლუსიან მსოფლიოში აშშ-ის პარპაშის გულხელდაკრეფილი ყურებას აღარ აპირებდა, და ბოლოს, მესამე საპრეზიდენტო ვადის მიწურულს, მთავარი დაპირება შეუსრულა რუს ხალხს — მისი უსაფრთხოება დაცულია. და ახლა, გეოპოლიტიკაში ღირსეულად დაბრუნების შემდეგ და მეოთხე ვადით არჩევის წინ, ვლადიმერ პუტინისთვის მთავარი გამოწვევა რუსეთის ეკონომიკური პრობლემების მოგვარებაა.

პრეზიდენტობის მეოთხე ვადის მიწურულს პუტინი 72 წლის იქნება, ანუ პოლიტიკოსისთვის გაფურჩქვნის ასაკში და, თუ რუსეთის ეროვნულმა ინტერესებმა მოითხოვა, სრულიად შესაძლებელია, მეხუთე ვადითაც აირჩიონ. მით უმეტეს, რომ მსგავსი „არადემოკრატიული“ ნაბიჯის მაგალითი დემოკრატიის მამა აშშ-მა მოგვცა, როდესაც გასულ საუკუნეში **ფრანკლინ დელანო რუზველტი** ოთხჯერ აირჩიეს აშშ-ის პრეზიდენტად. ჰოდა, სადაც ოთხი, იქ მეხუთეც — ვლადიმერ პუტინს, მის მიერვე აღმოჩენილი სუვერენული დემოკრატიის დოქტრინის მიხედვით, არც მეხუთე ვადაზე წასვლა გაუჭირდება.

**დავით მხეიძე**

**P.S. ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ სად არის ჩვენი ინტერესი და ადგილი ამ უსწორმასწორო გეოპოლიტიკაში? ყოველ შემთხვევაში, არა იქ, რომელზეც ერთმა ქოცმა დეპუტატმა მიგვითითა და გვირჩია, ჩვენი „სტრატეგიული მოკავშირე“ აშშ-ის პრეზიდენტის კვალად, სასწრაფოდ გველიარებინა იერუსალიმი ისრაელის დედაქალაქად. არადა, ამის გამო აშშ-ის ვასალმა ევროპამაც კი გაბედა უკმაყოფილების გამოხატვა. აქეთ ისლამური სამყარო დრტვინავს, თურქეთის მეთაურობით. არც აზერბაიჯანი და რფ-ის სუბიექტი ჩრდილოეთი კავკასია დაგვავიწყდეს. ისლამის გარემოცვაში მოქცეულ საქართველოს მხოლოდ ებრაელებთან სამიათასწლიანი ძმობა ვერ დაგვიცავს. მით უმეტეს, რომ ამას წინათ შუაგულ თბილისში ვნახეთ, როგორი დაცულებიც ვართ ისლამისტი ტერორისტებისგან. ადრეც მითქვამს და ახლაც ვიმეორებ: ერთადერთი, რისი და ვისი აღიარებაც გვარგებს ქართველებს, ყირიმის რუსეთის შემადგენლობაში შესვლაა, რაც ხვალ თუ ზეგ უთუოდ წაგვადგება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საქმეში.**

**ხოლო, თუ რუსეთის ფარვატერში ყოფნის სურვილი ან ერთი უხერხული ადგილი არ გვაქვს, მაშინ ამ უხერხული ადგილის თამაშს მაინც დავანებოთ თავი...**

ხმა ბერისა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ნარკომანი ვინც არის რეალურად, ძალიან კარგად ხვდება, რომ მისი საქმე ცუდადაა და, თუ ოდნავ მაინც შერჩენია საღი აზროვნების უნარი, ეს აწუხებს; ხოლო, ვინც ლეგალიზაციას ითხოვს, მას ნარკომანების ბედი კი არ აწუხებს, საკუთარი ინტერესები ამოძრავებს. ნარკოტიკებით ვაჭრობაში, მოგეხსენებათ, უზარმაზარი ფული ტრიალებს“.



## მამა გურამი (გამცემლიძე):

# მამათმავლობა, ნარკომანია, აბორტი, ქალის ქალზე და მამაკაცის მამაკაცზე ქორწინება არის ცოდვა და გარყვნილება!

**რამდენიმე დღის წინათ საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა ერთ-ერთ ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა, რომ ქართველი საზოგადოება, თავისი კულტურითა და მენტალობით, ძალადობისკენაა მიდრეკილი. მისი თქმით, ეს საზოგადოება რელიგიას, რომლის მთავარი ამოსავალი ღირებულება სიყვარულია, თავში „ტაბურეტკის“ ჩარტყმის საშუალებად აქცევს, ხოლო აგრესიას, როგორც ერთმანეთთან ურთიერთობის ფორმას, ნორმად მიიჩნევს: „რელიგიას, რომლის ორი ამოსავალი ძირითადი ფუნდამენტური ღირებულება არის ის, რომ გიყვარდეს მტერი შენი და ნუ გაკიცხავ სხვა ადამიანს, ჩვენ ვაქცევთ ერთმანეთისთვის თავში „ტაბურეტკის“ ჩარტყმის საშუალებად. ის ადამიანებიც, რომლებიც ამის წინააღმდეგ გამოდიან, ხშირად სავსე არის აგრესიით“...**



## «საქართველოს პრეზიდენტი არ ჰყავს»

**მარგველაშვილი, რომელიც დღეს ძალადობისა და აგრესიის წინააღმდეგ გამოდის, ჯერ კიდევ გაპრეზიდენტებამდე რამდენიმე წლით ადრე ქართველ საზოგადოებას კიდევ უფრო მწვავედ, შეურაცხმყოფელი ფორმით აკრიტიკებდა. ის წერდა, რომ ქართველი ერი გონებრივად სუსტია და „ზრდასრული ინტელექტის საფეხურს ვერ აღწევს“: „დიაგნოზი ერთმნიშვნელოვანია: გონებრივი სისუსტე მსუბუქი დებილობის ფორმით, ანუ ფაქტობრივი მდგომარეობა, როდესაც ადამიანის ფსიქიკური განვითარება ჩერდება გარკვეულ ადრეულ ეტაპზე და არ აღწევს ზრდასრულ ასაკამდე. ზრდასრული ადამიანის ტანი და სუსტი, ადრეული ასაკისთვის შესაფერისი აზროვნება — აი, საქართველოს მოსახლეობის, ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა...“ როგორც ჩანს, პრეზიდენტისთვის ქართული ეროვნული ფასეულობები და მენტალობა დღემდე აგრესიასთან, ძალადობასა და გონებრივ სისუსტესთან ასოცირდება. მისთვის ეს ყველაფერი ისევ კრიტიკისა და ქილიკის საგანია, ხოლო ჭეშმარიტ ქრისტიანულ სწავლებას ამ ქილიკის ინსტრუმენტად აქცევს...**

**რა ნიშნავს რეალურად ქრისტიანული მოძღვრება, „გიყვარდეს მტერი შენი“ და „ნუ განიკითხავ სხვას“, რა მორალი დგას ამის მიღმა და რა იარაღად ცდილობს „ლიბერალური“ პროპაგანდა მის გამოყენებას? — „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება დიღმის სამი მღვდელმთავრის ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი გურამი (გამცემლიძე).**

**— მამაო, უწინარესად, განვუმარტოთ საზოგადოებას, მათ შორის, პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლებსაც, რას გულისხმობს ქრისტიანული სწავლება „გიყვარდეს მტერი შენი“ და „ნუ განიკითხავ სხვას“.**

— თუ ადამიანს ცხოვრებაში სიყვარული არ გამოუცდია, ვერავინ აუხსნის, რა არის ეს განცდა, აზრი არ აქვს. სიყვარული არის უფალი და მე შემიძლია, ავუხსნა, როგორ მივიდეს ეკლესიაში, რომ დაუახლოვდეს ღმერთს. სხვანაირად ვერ წარმომიდგენია.

რაც შეეხება იმას, რომ არ უნდა განვიკითხოთ, რა თქმა უნდა, მსაჯული არის მხოლოდ უფალი და არავინ, გარდა უფლისა, არ უნდა განიკითხავდეს ადამიანის საქციელს, მაგრამ აქ საქმე სხვა რამაა: იმ ხალხს, რომელიც თითქოს ქრისტიანულ სწავლებას იშველიებს და ამით ცდილობს, გარკვეული გავლენა იქონიოს საზოგადოებაზე, ერთმანეთში ერევა განკითხვა და მხილება. **ის, რომ სოდომია ცოდვაა და კაცის კაცზე ან ქალის ქალზე ქორწინება — გადახრა; ის, რომ ნარკომანია ადამიანის დეგრადაციას ნიშნავს და ამას უნდა ვებრძოლოთ, რა თქმა უნდა, ჰუმანური გზებით; ის, რომ ნარკოტიკების ლეგალიზება კარგს არაფერს მოიტანს და, რაც მეტი ადამიანი იქნება ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებელი, საზოგადოება გაფუჭდება; ის, რომ ოჯახის ინსტიტუტის დისკრედიტება და რაღაც ჩაგვრის ინსტრუმენტად გამოცხადება ქვეყნისთვის დამღუპველია; ის, რომ ეროვნული ფასეულობებისა და მენტალობის გამოცხადება ძალადობრივ კულტურად პირდაპირ იერიშია ქართულ იდენტობაზე, არ უნდა ვთქვათ?!** და განკითხვაზე თუ საუბრობენ ვიღაცები, თვითონ მეტს რას აკეთებენ, **განკითხვა არ არის, ქართველებს და ქართულ ტრადიციებს კრიჭაში რომ უდგანან?!**

**— პრეზიდენტმა მარგველაშვილმა რამდენიმე დღის წინათ განაცხადა, რომ ქართველი საზოგადოება ძალადობისკენაა მიდრეკილი...**

— ამას ბევრი ამბობს, მოხდება რაღაც კონკრეტული შემთხვევა, მიდის პროპაგანდა, რომ ქართული კულტურა ძალადობრივია, ჩაგრავს, ამცირებს, რომ ეკლესია ამის მაპროვოცირებელია და ა.შ. ანუ შანსს არ უშვებენ ხელიდან, რომ ეროვნულ ფასეულობებზე იერიში მიიტანონ. თანაც, რაც ყველაზე საინტერესოა: ხშირად ეს ყველაფერი კეთდება ქრისტიანობის სახელით. მაგალითად, **თუ შენთვის, როგორც მორწმუნე მართლმადიდებლისთვის, სოდომია მიუღებელია, გეუბნებიან, რომ ქრისტიანულ სწავლებას ეწინააღმდეგები, რადგან უფალი გეუბნება: გიყვარდეს მტერი შენი, ნუ განიკითხავ...** თითქოს ისეთი მორწმუნეები არიან, ვერ წარმოიდგენ. არადა, სხვა დროს ეს ადამიანები ეკლესიისა და სარწმუნოების ქილიკის მეტს არაფერს აკეთებენ. ეს ერთი, და მეორეც — როგორც დასაწყისში გითხარით, **ცოდვის მიუღებლობა და დაგმობა, განკითხვა კი არა, მხილებაა და ქრისტიანობაც ზუსტად ამას გვასწავლის.** ჩვენ უნდა ვამხილოთ და ფარდა ავხადოთ ნებისმიერ ცოდვას, სოდომია იქნება, ნარკომანია თუ სხვა, მაგრამ ეს, კიდევ ვიმეორებ, არ ნიშნავს, რომ ადამიანები უნდა გავრიყოთ ან ვდევნოთ. უბრალოდ, სახელი უნდა დაერქვას ყველაფერს შესაბამისი: ცოდვას — ცოდვა, გადახრას — გადახრა, ავადმყოფობას — ავადმყოფობა.

რაც შეეხება **მარგველაშვილს,** მე მას საერთოდ არ ვაღიარებ. საქართველოს პრეზიდენტი არ ჰყავს და ვირტუალურზე კიდევ ვერ ვისაუბრებ. ჩვენ უნდა ვისაუბროთ იმაზე, რაც რეალურია, და რეალური დღეს საქართველოში არის ის, რომ **მიდის გაშმაგებული შეტევა ადამიანების, თითოეული მოქალაქის ცნობიერებაზე, მენტალობაზე...** კიდევ ვიმეორებ: ჩვენ არ განვიკითხავთ არავის, ჩვენ ვამხელთ. ჩვენ ვამბობთ, რომ მამათმავლობა ცოდვაა, ნარკომანია, აბორტი, ქალის ქალზე და მამაკაცის მამაკაცზე ქორწინება გარყვნილებაა. ახლა ვიღაც თუ ამას არ ეთანხმება და თვლის, რომ ეს ყველაფერი, გადახრა კი არა, სრულიად ნორმალურია, ეს მისი პრობლემაა. ჩვენ, უბრალოდ, უნდა ვამხილოთ და ვებრძოლოთ ცოდვას...

**— ნარკოტიკები ახსენეთ და, მიუხედავად იმისა, რომ ეკლესია მუდმივად ამხელს ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციის მომხრეთა ავ ზრახვებს, მათ საკმაოდ მრავალრიცხოვანი მხარდამჭერები ჰყავთ. ამის ნათელი მაგალითი იყო წინა კვირას ვარდების მოედანზე გამართული აქციაც. რა აზრის ხართ ამ ყველაფერზე?**

— სიმართლე გითხრათ, იმ აქციაზე ნარკომანი საერთოდ არ იყო. იქ იყვნენ „არასამთავრობო ორგანიზაციები“, „გირჩები“, ციყვები და ვიღაცები, ანუ ისინი, ვინც ამით ფულს აკეთებს, თორემ ნარკომანი ვინცაა რეალურად, ძალიან კარგად ხვდება, რომ მისი საქმე ცუდადაა და, თუ ოდნავ მაინც შერჩენია საღი აზროვნების უნარი, ეს აწუხებს; **ხოლო, ვინც ლეგალიზაციას ითხოვს, მას ნარკომანების ბედი კი არ აწუხებს, საკუთარი ინტერესები ამოძრავებს. ნარკოტიკებით ვაჭრობაში, მოგეხსენებათ, უზარმაზარი ფული ტრიალებს... აი, ეს არის სიმართლე და ესენი, ეს ჩვენი ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციები, ხელისუფლებასთან შეხმატკბილებულად, პირნათლად ასრულებენ ნაციონალების გეგმას, რომელიც გულისხმობდა და გულისხმობს ქვეყნის განადგურებას, საზოგადოების დაცემასა და დეგრადირებას, თუმცა ნაციონალები ამათთან შედარებით მონაგონია, ესენი გაცილებით მოხერხებულად აკეთებენ ყველაფერს,** იგივე ანტიდისკრიმინაციული კანონი რომ ავიღოთ ან თუნდაც ეს ლეგალიზაცია ნარკოტიკების.

**— მიუხედავად ამისა, დღეს საზოგადოება ვერ ერთიანდება და ერთობლივად ვერ გამოხატავს თავის უკმაყოფილებას. ეს ვერც ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებისას მოხერხდა და ვერც მაშინ, როცა მილიარდერმა ბიძინა ივანიშვილმა ქვეყნის სადავეები ხალხისთვის მიუღებელ ოდიოზურ ფიგურებს გადააბარა. არადა, წინა ხელისუფლების მმართველობის პერიოდში მოსახლეობა ყველაფერზე რეაგირებდა, ყველა მიუღებელ ნაბიჯზე, ყველა გადაწყვეტილებაზე. როგორ ფიქრობთ, რამ გამოიწვია საზოგადოების ასეთი ინერტულობა?**

— მე ერთი რამ ვიცი დანამდვილებით: **ის ხელისუფლება, რომელიც ხელს შეუწყობს და დააკანონებს მამათმავლობას, ნარკომანიას, სხვა ათასგვარ გარყვნილებასა და ამორალურობას, დღეგრძელი ვერ იქნება. ასეთ ხელისუფლებას ხალხმა შეიძლება ვერ მოსთხოვოს პასუხი ისე, როგორც საჭიროა, მაგრამ ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი მას აუცილებლად მოაშორებს.** ასე დაემართა წინა ხელისუფლებას და იგივე დაემართებათ ამათაც, თუ, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, გონს არ მოვლენ და არ შეწყვეტენ უზნეობის დაკანონებას, თუმცა რაღა შეწყვეტა, უკვე მიიღეს ყველაფერი, რის მიღებაც სურდათ და მომავალშიც, ალბათ, ასე მიიღებენ დანარჩენ კანონებსაც, რასაც ამერიკა და ევროპა ავალებთ თავიანთი პირადი ხელშეუხებლობის, კეთილდღეობისა და პოლიტიკური დღეგრძელობის სანაცვლოდ...

**«ცოდვის მიუღებლობა და დაგმობა, განკითხვა კი არა, მხილებაა და ქრისტიანობაც ზუსტად ამას გვასწავლის. ჩვენ უნდა ვამხილოთ და ფარდა ავხადოთ ნებისმიერ ცოდვას, სოდომია იქნება, ნარკომანია თუ სხვა, მაგრამ ეს, კიდევ ვიმეორებ, არ ნიშნავს, რომ ადამიანები უნდა გავრიყოთ ან ვდევნოთ. უბრალოდ, სახელი უნდა დაერქვას ყველაფერს შესაბამისი: ცოდვას — ცოდვა, გადახრას — გადახრა, ავადმყოფობას — ავადმყოფობა»**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**ყველასთვის ცნობილია, რომ ნარკოტიკების ლეგალიზაციის წინააღმდეგია კონსერვატორების ფრაქცია, მაგრამ ის კი არ არის ცნობილი, რომ ფრაქციის თავმჯდომარე გიგა ბუკიამ დახურულ სხდომაზე ამის გამო ხმამაღლა იგინა და დეპუტატებს კანონპროექტის ჩაგდებისკენ მოუწოდა, რასაც „ოცნების“ ლიდერთა მწვავე რეაქცია მოჰყვა, აქაოდა, — ამ ყველაფერს ევროკავშირი გვთხოვსო.**

კულისები

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ყველა ელოდება, რომ ძალიან მალე თბილისის მერი დამოუკიდებელ თამაშს დაიწყებს და მის გუნდში «ქართული ოცნების» ოდიოზური ფიგურების ადგილი არ იქნება

**ნაციონალების მმართველობის პერიოდშიც ასე იყო — ფორმალურად ყველაფერი რიგზე ჩანდა და ნაცების ერთ გუნდად გვაჩვენებდნენ თავს, თუმცა შიგა დაპირისპირება ისე დიდი იყო, რომ საქმე ხშირად მუშტი-კრივამდე მიდიოდა. ამბობენ, რომ ამ დაპირისპირებებმაც მიიყვანა „ნაციონალური მოძრაობა“ კრახამდე და ახლა ანალოგიურ შეცდომებს „ქართული ოცნება“ იმეორებს. იმის მიუხედავად, რომ მმართველი გუნდის ლიდერები გვარწმუნებენ, ერთ სულ და ერთ ხორც ვართო, ცხადია, ასე არ არის და ხელისუფლებაში დიდი ბზარია გაჩენილი.**



არაერთხელ ითქვა, რომ **კახა კალაძე** ერთადერთია, რომელსაც იმდენი ფული აქვს, **ბიძინა ივანიშვილისგან** დამოუკიდებლად შეუძლია პოლიტიკურ ველზე დარჩენა. შესაბამისად, კალაძის გუნდი თითქოს ყოველთვის ცალკე იყო, მხოლოდ კახას უსმენდა და აკი კალაძემაც არ მიატოვა მეგობრები — სადაც წავიდა, წაიყვანა, თუმცა, თუ საპარლამენტო არჩევნებზე კახას არაერთი მეგობარი გაიყვანეს დეპუტატად, თვიმმართველობის არჩევნებში მისი გუნდი აშკარად დაჩაგრეს. მიზეზი მარტივია — **ყველა ელოდება, რომ ძალიან მალე თბილისის მერი დამოუკიდებელ თამაშს დაიწყებს და მის გუნდში „ქართული ოცნების“ ოდიოზური ფიგურების ადგილი არ იქნება.** მმართველობის მეხუთე წელს „ქართულმა ოცნებამ“ იმდენი მოახერხა, რომ გუნდში ყოფილი ნაციონალების მთელი არმია ჰყავს, თანაც — ყოფილი ზონდერები და, რაც მთავარია, ამ ყველაფერს „აპრავებს“. როგორც გვითხრეს, სწორედ ეს ვერ აიტანა კალაძემ და უთანხმოებაც ამის შემდეგ დაიწყო. ისიც შევიტყვეთ, რომ **„ოცნების“ კოჰორტა წინააღმდეგი იყო, თბილისის მერობის კანდიდატად კალაძე დასახელებულიყო, მაგრამ კახამ პირობა დადო, რომ კენჭს დამოუკიდებლად იყრიდა და ეს უკვე „ოცნების“ დასასრულის დასაწყისი იქნებოდა.** შედეგად მივიღეთ რეალობა, რომელსაც ქვეყანა კატასტროფამდე მიჰყავს. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, **ასეთი ნიჰილიზმი ერში ნაციონალების პერიოდშიც არ ყოფილა, იბრძოდა, იმედი ჰქონდა. ახლა კი ბრძოლაც შეწყვეტილია, რადგან არავინ ჩანს ისეთი, ვისაც შეიძლება ქვეყანა ანდო, რეალური ძალა არ არის და მმართველი გუნდი ამას სათავისოდ იყენებს.** ისინი გვიმტკიცებენ, რომ ეროვნული ვალუტის გაუფასურებამ დიდი სარგებელი მოგვიტანა, რადგან თურმე ნაციონალების პერიოდში ქართველი ემიგრანტების მიერ გამოგზავნილი 100 დოლარი 170 ლარი იყო, ახლა კი ასი ლარით მეტია...

„ქართულ ოცნებაში“ რამდენიმე დაჯგუფებაა და გასაკვირი არ არის, რომ ყველაზე მძლავრად ის ითვლება, ვისაც მეტი ფული აქვს. არის ბიძინა ივანიშვილი, რომლის აზრს თითქმის ყველა ითვალისწინებს, მაგრამ ეს ერთი შეხედვით. არიან დეპუტატები, რომლებიც ურჩობენ და იმუქრებიან, რომ, მათი სურვილების დაუკმაყოფილების შემთხვევაში, პარტიას დატოვებენ, რაც საკონსტიტუციო უმრავლესობის დაკარგვას ნიშნავს. ეს კი ხელს არ აძლევს ხელისუფლებას. ე.წ. „ბლატნოი“ პარლამენტარების რიგში პირველი ნომერი საავთიაქო მაგნატი **კახა ოქრიაშვილია.** მას საკუთარი ფრაქცია აქვს, მისი ქონება ნახევარ მილიარდ დოლარზე მეტია და, შესაბამისად, ოქრიაშვილი ცხვირს ჰყოფს ყველაფერში. სწორედ მისი გაჯიუტების შემდეგ გადაწყდა, რომ მაჟორიტარული სისტემა 2020 წლამდე შენარჩუნდება. ოქრიაშვილს ვერ უბედავენ იმის თქმას, რომ წამლებზე კატასტროფული ფასები უნდა შემცირდეს და საქართველოში მედიკამენტები, ევროპასთან შედარებით, 300-400 პროცენტით ძვირი უნდა არ ღირდეს.

ერთი შეხედვით, მძლავრი იყო **არჩილ თალაკვაძის** დაჯგუფებაც. უმრავლესობის ლიდერმა გარშემო ახალგაზრდები შემოიკრიბა, მაგრამ მისი ავტორიტეტი მას შემდეგ შეილახა, რაც ოზურგეთში „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატი დამარცხდა. მოგეხსენებათ, თალაკვაძე სწორედ ოზურგეთის მაჟორიტარია და, თავის ოლქში რომ დამარცხდება უმრავლესობის ლიდერი, წესით, უნდა გადადგეს, მაგრამ თალაკვაძემ არც თანამდებობიდან წასვლა ისურვა და არც კალაძის გუნდში გადასვლა — თბილისის მერმა მას ვიცემერის პოსტი შესთავაზა, მაგრამ უარი მიიღო, რადგან თანხმობა მტრის ბანაკში გადაბარგებას ნიშნავდა. **კალაძე რომ მტერია, „ოცნებაში“ არავინ მალავს, და ერთი სული აქვთ, როდის გამოაცხადებს კახა ახალი პარტიის შექმნას, რათა ივანიშვილს ნიშნი მოუგონ, — შენი შვილობილი ნავიდან გადახტაო. არადა, კალაძე იყო ერთ-ერთი (თუ ერთადერთი არა), რომელიც ყოფილი ნაციონალების გაპარლამენტარებას ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ ვერაფერს მიაღწია.** ჰოდა, ახლა ყოფილ ნაციონალსა და ზონდერ **ვანო ზარდიაშვილს** თურმე საპრეზიდენტო ამბიცია აქვს, აქაოდა, ეგ თანამდებობა ჩემზეა ზედგამოჭრილიო. არადა, სწორედ ზარდიაშვილი იყო ის კაცი, 2012 წელს **ზურაბ ზვიადაურს** რომ დასდევდა და აქციებს უწყობდა. ჰოდა, თუ ეს ეჭვი გამართლდა, **„ოცნება“ იმდენს მოახერხებს, რომ 2018 წელს პრეზიდენტად ისევ ნაციონალს დასვამს...**

ჩვენი ინფორმაციით, კალაძეს ხელისუფლების უმაღლესმა პირებმა პირადად სთხოვეს თანამდებობაზე **გიგა ნიკოლეიშვილის** დატოვება, მაგრამ კახამ მერის მოადგილედ თავისი კადრი ისურვა და ნიკოლეიშვილი გაუშვა. ივანიშვილის მეგობარი, ბატონი გიგა ისევ ივანიშვილის მეგობარმა, **გიორგი გახარიამ,** შეიფარა და შსს-ში დაცვის პოლიციის უფროსობა უბოძა.

აღმასრულებელი ხელისუფლების წინააღმდეგ წინა კვირას საჯაროდ გაილაშქრა კიდევ ერთმა მილიონერმა დეპუტატმა — **შოთა შალელაშვილმა.** ბატონ შოთას მხოლოდ „ქართუ ბანკში“ 6 მილიონ დოლარზე მეტი აქვს დეკლარირებული. ამას ებრაულ ბანკებში გახსნილი ანგარიშებიც ემატება, რაც სრულ უფლებას აძლევს, რომ, სხვა მილიონერი დეპუტატების დარად, ხმამაღლა ისაუბროს. შოთა შალელაშვილმა ღია წერილით მიმართა ქვეყნის პრემიერს და ისრაელის მხარდაჭერისკენ მოუწოდა, რის გამოც **გიორგი კვირიკაშვილი** ისე გაღიზიანდა, რომ ამ თემაზე მთავრობის სხდომაზეც ისაუბრა და... **შალელაშვილი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურშიც დაიბარეს იმის ასახსნელად, რომ ერთი ადგილი უნდა დააყენოს, მაგრამ, როცა ანგარიშზე ძალიან ბევრი ფული გაქვს, ჩუმად ყოფნა ძნელია.** მით უმეტეს, რომ ირგვლივ ყველა გაღმერთებს, გისმენს და ამ დროს, პარლამენტში ცალ-ცალი კალოშით მოსულები შენზე მეტს საუბრობენ.

აჯანყებულთა რიგებშია მწვანეთა პარტიის თავმჯდომარე **გიორგი გაჩეჩილაძეც.** მისი გაღიზიანება გარემოს დაცვის სამინისტროს გაუქმებამ გამოიწვია. ისე გამოდის, რომ **გაჩეჩილაძეს დასაცავიც არაფერი ექნება და ისედაც უფუნქციო დეპუტატი ფუნქციას ქაღალდზეც კარგავს.** სწორედ ეს იყო მთავარი მიზეზი იმისა, რომ გარემოს დაცვის კომიტეტზე აღნიშნული კანონპროექტი ჩავარდა. პირველად მოხდა, რომ მმართველ გუნდს პარლამენტში წარდგენილი ინიციატივა ჩაუგდეს. ეს სახუმარო თემა არ არის, რადგან, თუ მთავრობამ თავისი ვერ გაიტანა, „გაჩეჩილაძეები“ შეიძლება ისე მომრავლდნენ, რომ, საერთოდ, ვეღარაფერი გაიტანოს და ამიტომ, ახლა კულუარულად ბატონი გიორგის დამუშავება მიმდინარეობს.

საზოგადოდ, კულუარებში იმდენი რამ დაგროვდა, რომ „შუბი ხალთაში აღარ იმალება“ და სააშკარაოზე გამოდის. **ყველასთვის ცნობილია, რომ ნარკოტიკების ლეგალიზაციის წინააღმდეგია კონსერვატორების ფრაქცია, მაგრამ ის კი არ არის ცნობილი, რომ ფრაქციის თავმჯდომარე გიგა ბუკიამ დახურულ სხდომაზე ამის გამო ხმამაღლა იგინა და დეპუტატებს კანონპროექტის ჩაგდებისკენ მოუწოდა, რასაც „ოცნების“ ლიდერთა მწვავე რეაქცია მოჰყვა, აქაოდა, — ამ ყველაფერს ევროკავშირი გვთხოვსო.**

ეს — რაც შეეხება პარლამენტს. ახლა მთავრობაზეც ვთქვათ. ოპტიმიზაციის შედეგად გათავისუფლებული მინისტრები ახალ სამსახურს ითხოვენ და ჯერჯერობით მხოლოდ **გიორგი მღებრიშვილი** დააკმაყოფილეს. მასაც სამსახური პრაქტიკულად შეუქმნეს, თორემ კრიზისების საბჭომ როგორი მუშაობა იცის, კი ვნახეთ ამ ზაფხულს, როცა ნახევარი საქართველო ხანძარმა გადაწვა. უსამსახურობას ეგუება, მაგრამ ტენდერები უნდა **ტარიელ ხეჩიკაშვილს.** ავტომობილების ქართველმა მაგნატმა ას მილიონიანი ხელშეკრულებები მინისტრობისას „გააპრავა“, ახლა კი არ სურს, საქმეს ჩამოშორდეს, მაგრამ... **ხეჩიკაშვილი კალაძის მეგობრად ითვლება და მომავალში, მერიას თუ დასტყუებს რამეს, თორემ საეჭვოა, მთავრობამ ცხვირი სადმე ჩააყოფინოს.** პრემიერმინისტრის პოსტზე მოიაზრებოდა გიორგი გახარია, მაგრამ ამ ეტაპზე შსს-ში გაუშვეს. როგორც ამბობენ, **გახარია ივანიშვილის ერთ-ერთი ფავორიტია და ამიტომ მას ჯერ კიდევ აქვს გაპრემიერმინისტრების შანსი, თუმცა ასეთ შემთხვევაში, ივანიშვილის კიდევ ერთი ფავორიტი რჩება უსამსახუროდ და, რას უზამენ გიორგი კვირიკაშვილს, ძნელი სათქმელია.**

თოჯინების თეატრის წარმოდგენები საქართველოში, აგერ უკვე მერამდენე წელია, წარმატებით მიმდინარეობს და ძია სემი თითებს აქტიურად ათამაშებს. ჰოდა, სანამ ძია სემს თითები (გნებავთ, ხელი) დაეღლება და ვინმე ახალს გამოიბამს თითზე (გნებავთ, შუა თითზე), გახსოვდეთ, რომ ყველაფერი კარგად არის — ასი დოლარით ლამის სამასი ლარის შეძენა შეიძლება. პრინციპში, რაღა ლამის, ცოტაც მოვიცადოთ და ეგებ მეტიც შევიძინოთ... მთავარია, რომელ თითს გაიქნევს თოჯინების თეატრის სამხატვრო (მუსიკალურიც) ხელმძღვანელი.

**ბესო ბარბაქაძე**

**კალაძე რომ მტერია, «ოცნებაში» არავინ მალავს, და ერთი სული აქვთ, როდის გამოაცხადებს კახა ახალი პარტიის შექმნას, რათა ივანიშვილს ნიშნი მოუგონ, — შენი შვილობილი ნავიდან გადახტაო. არადა, კალაძე იყო ერთ-ერთი (თუ ერთადერთი არა), რომელიც ყოფილი ნაციონალების გაპარლამენტარებას ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ ვერაფერს მიაღწია. ჰოდა, ახლა ყოფილ ნაციონალსა და ზონდერ ვანო ზარდიაშვილს თურმე საპრეზიდენტო ამბიცია აქვს, აქაოდა, ეგ თანამდებობა ჩემზეა ზედგამოჭრილიო. არადა, სწორედ ზარდიაშვილი იყო ის კაცი, 2012 წელს ზურაბ ზვიადაურს რომ დასდევდა და აქციებს უწყობდა. ჰოდა, თუ ეს ეჭვი გამართლდა, «ოცნება» იმდენს მოახერხებს, რომ 2018 წელს პრეზიდენტად ისევ ნაციონალს დასვამს...**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„იერუსალიმი, ისრაელის კი არა, მსოფლიოს დედაქალაქია და ასეც უნდა იყოს. ჩვენი, ყველას ვალია, ეს ხმამაღლა ვთქვათ. ისრაელის შექმნას დიდი შრომა და ენერგია, დიდი ცოდნა და სიყვარული დასჭირდა, ამიტომ მათ, ომი კი არა, სიმშვიდე უნდათ და ეს დიდი ქვეყნების მმართველებმა უნდა იცოდნენ“.



# ჯუმბერ პატიაშვილი: იერუსალიმის თაობაზე ტრამპის გადაწყვეტილების მიზანი იყო ვითარების დესტაბილიზაცია და მან ამ მიზანს მიაღწია

**ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის გადაწყვეტილება ისრაელის დედაქალაქად იერუსალიმის გამოცხადების შესახებ ახლო აღმოსავლეთში მრავალწლიან კონფლიქტს კიდევ უფრო გაამწვავებს. ტრამპის ამ ნაბიჯს არაერთგვაროვანი გამოხმაურება მოჰყვა მსოფლიოში.**

## «იერუსალიმი უნდა იქცეს მსოფლიოს დედაქალაქად და იქ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია განთავსდეს»

**თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა განაცხადა, რომ ყველა საშუალებას გამოიყენებს, რათა შეეწინააღმდეგოს აშშ-ის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას ისრაელის დედაქალაქად იერუსალიმის აღიარების თაობაზე.**

**არაბული სახელმწიფოების მაღალი რანგის ოფიციალური პირების აზრით, ტრამპის მიერ ისრაელის დედაქალაქად იერუსალიმის აღიარება ახლო აღმოსავლეთს „ძალადობასა და ქაოსში“ ჩაძირავს. ევროკავშირის რიგ ქვეყნებშიც მიაჩნიათ, რომ აშშ-ის მიერ რეგიონის ერთ-ერთ მგრძნობიარე საკითხზე ნეიტრალიტეტის დასრულება ნიშნავს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ვერ იქნება შუამავალი ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო პროცესში.**

**22 ქვეყნის, მათ შორის, აშშ-ის არაბულ მოკავშირეთა, ერთობლივი რეზოლუცია კი დასავლეთ სანაპიროსა და ღაზას სექტორში სამდღიანი ძალადობისა და პროტესტის შემდეგ მიიღეს.**

**რეზოლუციაში წერია: „ტრამპის ნაბიჯი აღრმავებს დაძაბულობას, აქეზებს და საფრთხეს უქმნის რეგიონს, ჩაეფლოს უფრო მეტ ძალადობასა და ქაოსში“.**

**ამ საკითხზე საქართველოს მე-6 მოწვევის პარლამენტის წევრი, ბატონი ჯუმბერ პატიაშვილი გვესაუბრება.**

— ისრაელის დედაქალაქად იერუსალიმის გამოცხადება ამერიკის საქმე არ არის და არც მისი პრეზიდენტის განცხადებაზეა დამოკიდებული, ეს საკითხი ისრაელსა და მის მეზობელ ქვეყნებს ეხება. ამერიკის პრეზიდენტის — **დონალდ ტრამპის** განცხადება, რომ იერუსალიმი ისრაელის დედაქალაქად გამოცხადდეს, მსოფლიომ არაერთგვაროვნად აღიქვა და ბევრმა



სახელმწიფომ თავისი პოზიცია გამოხატა კიდეც. ამა თუ იმ ქვეყნის დედაქალაქი სად იქნება და რომელი ქალაქი იქნება, ეს მხოლოდ ერთ ადამიანზე არ არის დამოკიდებული, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გადაწყვეტილებას, შესაძლოა, დიდი დაპირისპირება მოჰყვეს. ისე, ტრამპის გადაწყვეტილების შემდეგ, ამერიკის ხელისუფლების წარმომადგენელთა ერთმა ნაწილმა თითქოს უკან დაიხია და ცდილობს, პრეზიდენტის განცხადება შეარბილოს.

**იერუსალიმი, ისრაელის კი არა, მსოფლიოს დედაქალაქია და ასეც უნდა იყოს. ჩვენი, ყველას ვალია, ეს ხმამაღლა ვთქვათ. ისრაელის შექმნას დიდი შრომა და ენერგია, დიდი ცოდნა და სიყვარული დასჭირდა, ამიტომ მათ, ომი კი არა, სიმშვიდე უნდათ და ეს დიდი ქვეყნების მმართველებმა უნდა იცოდნენ.**

იერუსალიმის მსოფლიოს დედაქალაქად გადაქცევა შემთხვევით არ მიხსენებია, ამაზე პირად საუბრებში ბევრი დიდი პოლიტიკოსი მიუთითებს. იერუსალიმი საჭიროა მომავალი თაობებისთვის. ამ სამყაროში ვცხოვრობთ და გვევალება, მომავალი თაობები და ხალხები ერთმანეთს კი არ დავუპირისპიროთ, არამედ სიყვარულით ვაცხოვროთ... იერუსალიმი ის ადგილია, რომელზეც ამ ყველაფრის რეალობად ქცევა შესაძლებელია. იერუსალიმი უნდა იქცეს მსოფლიოს დედაქალაქად და იქ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია განთავსდეს.

**— რეალურად მიგაჩნიათ ამ იდეის განხორციელება?**

— ამ იდეას ეყოლება მოწინააღმდეგეები, ისინი, ვინც დაპირისპირების გაღრმავებას ცდილობენ. იდეა რეალური გახდება იმ შემთხვევაში, თუ დიდი ქვეყნების მმართველები სხვა ქვეყნების არსებობასაც შეამჩნევენ და მათ აზრსაც გაითვალისწინებენ. ადამიანი, რომელიც ფიქრობს, რომ, მის გარდა, სხვასაც აქვს არსებობის უფლება, ასეთ გადაწყვეტილებას არ მიიღებდა, არ იტყოდა, ისრაელი იერუსალიმის დედაქალაქად გამოცხადდესო და არაბებს, პალესტინელებს, ებრაელებს ერთმანეთთან ომში არ ჩააბამდა.

**— ტრამპმა ვერ გათვალა, რა მოჰყვებოდა მის ამ განცხადებას?**

— ამერიკამ, ისრაელმა და პალესტინამ ამ თემაზე ორი ათეული წლის წინათ ისაუბრეს და მაშინ ამ საუბრების შედეგად მინელდა ეს თემა... ტრამპმა, ალბათ, კარგად იცოდა, რაც მოხდება მისი განცხადების შემდეგ. გარდა ამისა, ერთი სახელმწიფო მეორე სახელმწიფოს საქმეებში რომ ერევა, ცუდია. მისი ერთი განცხადებით იერუსალიმი ისრაელის დედაქალაქად რომ ვერ გადაიქცეოდა, ესეც იცოდა... **იერუსალიმის თაობაზე ტრამპის გადაწყვეტილების მიზანი იყო ვითარების დესტაბილიზაცია და მან ამ მიზანს მიაღწია.** აშკარაა დაპირისპირების ახალი ტალღა ახლო აღმოსავლეთის (და არამხოლოდ ახლო აღმოსავლეთის) სახელმწიფოებს შორის, რაც კარგად არ დასრულდება.

# «მეგრული პოეზიის ანთოლოგია»




**„თუ მეგრელი ხარ, ე.ი. ყველაზე დიდი ქართველი ხარ იმიტომ, რომ კოლხეთის სამეფო იყო პირველი კოლხური წარმონაქმნი, მაშინ, როდესაც არ არსებობდა, ერთი კრებითი სახელი ქართველთა „საქართველო“! თუ მეგრელი ხარ, ე.ი. ძალიან ამაყობ, ამაყობ იმიტომ, რომ საქართველოს უძველესი შვილი ხარ! თუ მეგრელი ხარ, ე.ი. ღმერთმა ორი მშობლიური ენა მოგცა ოდითგან კოლხურ-ზანურ-ჭანური, რომლის მემკვიდრეა, რა თქმა უნდა, მეგრული და, რა თქმა უნდა, ქართული, მშობლიურია ორივე ჩემთვის! თუ მეგრელი ხარ, ე.ი. ტკბილი მეგრული ნანა გსმენია დედისა! თუ მეგრელი ხარ, მორდუობა შენთვის ძალიან დიდი რამაა!“ — ილია ჭავჭავაძის ამ სიტყვებით იწყება წიგნის შესავალი, რომელსაც „მეგრული პოეზიის ანთოლოგია“ ეწოდება.**

შესავალში ასევე მოყვანილია უწმინდესისა და უნეტარესის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორის სიტყვები, რომლებიც წიგნის ავტორებისთვის პირად საუბარში უთქვამს: „მეგრელებს ერთი დიდებული სიმღერა გაქვთ, რომლის ბადალსაც ძნელად იპოვით არათუ ეთნოგრაფიულ მეზობლობაში, არამედ — თვით მსოფლიო ფოლკლორშიც კი და იცით, რომელია? — „ვაიორქო მა, ვამორწონქო მა, იშენი ქუგორლუაფუდა სქანი ჭირიმა“ (არ გიყვარვარ მე, არ მოგწონვარ მე, მაინც შემოგევლე, შენი ჭირიმე)“. „მეგრული პოეზიის ანთოლოგია“ მეგრული ფოლკლორით იწყება და მასში სხვადასხვა ასაკის 50 პოეტის ლექსი და პოემაა შეტანილი.

„მეგრული პოეზიის ანთოლოგიის“ ავტორია პოეტი **გური ოტობაია**, მენეჯერი — **იური გუგუჩია**, ხოლო რედაქტორ-კონსულტანტები არიან აკადემიკოსები: **როინ მეტრეველი, ავთანდილ არაბული** და **აპოლონ სილაგაძე.** წიგნი დაიბეჭდა ბიზნესმენების — **ომარ ღურწკაიასა** და **სულხან პაპაშვილის** ფინანსური მხარდაჭერით.

## «მეცნიერების დიდი ნაწილი დადებითად აფასებს გამოცემას»

**იური გუგუჩია, „მეგრული პოეზიის ანთოლოგიის“ პროექტის მენეჯერი:**

— წიგნის გამოცემის იდეა პოეტ გური ოტობაიას ეკუთვნის. მან თავისი ჩანაფიქრი გამიზიარა და მე მისი იდეა მომეწონა. მეც ბევრი მქონდა ნაფიქრი ამის შესახებ, ვიცოდი ჩვენი დიდი წინაპრების აზრი მეგრულ ენაზე. ისტორიაშიც ბევრი რამ წერია სამეგრელოზე, მეგრელებზე, ჩვენს ენაზე...

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი დიდი წინაპრები და საამაყო ქართველები მეგრულ ენაზე ბევრ საინტერესო რამეს ამბობდნენ, დღეს ეს ენა მიგდებულია, უპატრონოდ არის დარჩენილი, უყურადღებოდ... სახელმწიფო ყურადღებას არ აქცევს მეგრულ ენას და მეტიც, ხშირად საქილიკოც არის. არადა, მეგრული ენა არის იმის ღირსი, ყურადღება მიაქციონ.

მეგრელებს ხშირად სდებენ ბრალს სეპარატიზმში, ამიტომ მიგდებულია ენა... დღეს სამეგრელოშიც კი აღარ ისმის ბავშვების ჟღურტული მეგრულ ენაზე...

**— თქვენ იდეას ხორცი შეასხით... როგორი იყო გამოხმაურება?**

— „მეგრული პოეზიის ანთოლოგიის“ გამოცემა საზოგადოებამ დადებითად აღიქვა. ლამაზი საღამო მოაწყვეს მეცნიერებათა აკადემიაში, წიგნმა ჟურნალისტების ყურადღება მიიპყრო. ყველა, ვინც წიგნი ნახა, აღფრთოვანებულია, უარყოფითი აზრი არავისგან მომისმენია. ყოველ შემთხვევაში, მეცნიერების დიდი ნაწილი დადებითად აფასებს გამოცემას, ყმაყოფილია მეგრელი ხალხიც. წიგნის პრეზენტაცია დაგეგმილია მწერალთა კავშირშიც და ზუგდიდშიც, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერჯერობით ვერ მოხერხდა ღონისძიების გამართვა.

წიგნის გაყიდვის წინააღმდეგნი ვართ, გვინდა, საჩუქრად ჰქონდეს ყველას, მაგრამ „ბიბლუსის“ ქსელში ცოტა რაოდენობით მაინც შევიდა.

## «წიგნმა აღფრთოვანება გამოიწვია სამეგრელოში, დიდი პრეზენტაცია მოეწყო მეცნიერებათა აკადემიაში»

**გური ოტობაია, პოეტი, ავტორი პროექტისა „მეგრული პოეზიის ანთოლოგია“:**

— წიგნის გამოცემის იდეა ჩემი იყო. გასული საუკუნის 20-იან წლებში დაიწყო მეგრული ფოლკლორის ნიმუშების შეგროვება, რომელსაც სათავეში **აკაკი შანიძე** ედგა, მაგრამ ეს მასალები დაიფანტა და მე დავიწყე ხელახლა შეგროვება, რასაც დრო დასჭირდა. აღსანიშნავია, რომ მეგრულად ლექსების წერა სეპარატიზმად ითვლებოდა, ამიტომ ლექსების დიდი ნაწილი დაკარგულია, რაც დარჩა, ძნელი მოსაპოვებელი იყო. დიდი შრომა ჩავდეთ ამ წიგნში...

წიგნმა აღფრთოვანება გამოიწვია სამეგრელოში. დიდი პრეზენტაცია მოეწყო მეცნიერებათა აკადემიაში.

ჩვენი მუშაობა ამ წიგნით არ სრულდება, გეგმაში გვაქვს ქართული პოეზიის ანთოლოგიის გაკეთება. ასეთი 12 წიგნი გამოიცა სხვადასხვა პერიოდში. ბრწყინვალე წიგნი გამოსცა **მურმან ლებანიძემ**, ახლახან **ვაჟა ოთარაშვილმა** გამოსცა ახალი ქართული ლექსების ანთოლოგია. ჩვენ ვაპირებთ, რომ განსხვავებული წიგნი გამოვცეთ, ერთტომეული. ჩემი აზრით, სჯობს, მხოლოდ ერთ წიგნში შევიდეს ყველაფერი... ვბეჭდავთ **ვაჟას, აკაკის, ილიას, ნიკოლოზ ბარათაშვილის** პოემებს, რომელიც არც ერთ ანთოლოგიაში არ შესულა და, საერთოდ, ვეძებთ უცნობ ნაწარმოებებს. არასოდეს დაბეჭდილა სვანური პოეზია, ლაზური... ასე რომ, ქართული პოეზიის ანთოლოგია იქნება აკადემიური გამოცემა — სავსე სიახლეებით. ვაპირებთ, აგრეთვე, მსოფლიო პოეზიის ანთოლოგიის გამოცემასაც, რაც კი რამ ქართულად არის ნათარგმნი, ყველაფერი შევა ამ წიგნში. პროექტი გაზაფხულზე დასრულდება.

დასასრულ, მინდა მადლობა გადავუხადო იმ ღვთისნიერ ადამიანებს, რომლებიც წიგნის დაბეჭდვაში დაგვეხმარნენ! ეს ადამიანები არიან საზღვარგარეთ მცხოვრები ბიზნესმენი **ომარ ღურწკაია**, რომელიც ზუგდიდში ღვთისმშობლის ტაძარს აშენებს, და **სულხან პაპაშვილი**, რომელიც თავიდანვე ჩაერთო ჩვენს პროექტში. არ ვიცი, შეძლებენ თუ არა ისინი შემდგომში ჩვენს დახმარებას, მაგრამ დიდი მადლობა მათ იმისთვის, რაც ამ კეთილშობილური საქმისთვის გააკეთეს. მათი დიდი დამსახურებაა, „მეგრული პოეზიის ანთოლოგია“ ასეთი უნიკალური გამოცემა რომაა.

**გვერდი მოამზადა**
**ეკა ნასყიდაშვილმა**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ევროკომისიის გაერთიანებული კვლევითი ცენტრის შეფასებით, შიმშილი დღეს სასიკვდილო საფრთხეს 108 მილიონამდე ადამიანს უქმნის, ეს 28 მილიონით მეტია, შარშანდელთან შედარებით.

# შიმშილის აჩრდილი და მიგრანტების ურდო

**გაეროს პროგნოზით, 2050 წლისთვის პლანეტის მოსახლეობა 9,1 მილიარდამდე გაიზრდება, ხოლო 49 უღარიბესი ქვეყნის მცხოვრებთა რაოდენობა გაორმაგდება და 1,7 მილიარდს მიაღწევს. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ეს შექმნის თითქმის გადაულახავ პრობლემებს სიღარიბესთან ბრძოლაში და მკვეთრად გაზრდის შიმშილის საფრთხეს.**



**მსოფლიოს ყურადღების ცენტრში სირიაა (მისი მოსახლეობა ომამდე 23 მილიონს აღწევდა) — იძულებით გადაადგილებული პირი ქვეყნის შიგნით 7,5 მილიონი ადამიანი გახდა. თავშესაფარი მეზობელ ქვეყნებში თითქმის 4 მილიონზე მეტმა მიიღო, მათ შორის 2,9 მილიონი თურქეთში ცხოვრობს. ლიბანში 4,5-მილიონიან მოსახლეობაზე 1,15 მილიონი სირიელი ლტოლვილი მოდის. იორდანიაში მცხოვრებთა შორის ყოველი მეათე სირიელი ლტოლვილია. სირიის ტერიტორიაზე დარჩენილთაგან სასწრაფო ჰუმანიტარულ დახმარებას, გაეროს შეფასებით, 4,53 მილიონი ადამიანი საჭიროებს, 9,8 მილიონი კი სურსათის უკმარისობას განიცდის**

ევროკომისიის გაერთიანებული კვლევითი ცენტრის შეფასებით, შიმშილი დღეს სასიკვდილო საფრთხეს 108 მილიონამდე ადამიანს უქმნის, ეს 28 მილიონით მეტია, შარშანდელთან შედარებით. ამის მთავარი მიზეზი ომებია სამხრეთ სუდანში, იემენში, სომალიში, ერაყსა და სირიაში. ორ უკანასკნელ შემთხვევაში ფატალური როლი იმან შეასრულა, რომ „ისლამურ სახელმწიფოს" ხანგრძლივი დროის განმავლობაში დაკავებული ჰქონდა ყველაზე უხვმოსავლიანი პროვინციები, რეგიონის ერთგვარი „ბეღელი". სერიოზულ პრობლემებს განიცდიან ზიმბაბვე და მალავი, სიტუაცია ჩრდილო-აღმოსავლეთ ნიგერიაში კატასტროფის ზღვარზეა. გაეროს გენერალური მდივნის მოადგილემ ჰუმანიტარულ საკითხებში — სტივენ ო'ბრაიენმა დღევანდელი ვითარება შეაფასა, როგორც „ყველაზე მასშტაბური ჰუმანიტარული კრიზისი 1945 წლის შემდეგ".

**თუ განვითარებულ ქვეყნებში საკვების უკმარისობას მოსახლეობის მხოლოდ 1,6% (23 მილიონი ადამიანი) განიცდის, დაბალი და საშუალო შემოსავლის ქვეყნებში ასეთი 9,3%-ია (775 მილიონი), მათ შორის — 213 მილიონი აფრიკაში, 257 მილიონი კი აზიაში ცხოვრობს, სწორედ იქ, სადაც მოსალოდნელია მორიგი დემოგრაფიული აფეთქება.**

არსებობს პრობლემასთან ბრძოლის წარმატებული მაგალითები – ბოლო ათწლეულის განმავლობაში ბრაზილიამ 25 პროცენტით შეამცირა უკიდურეს სიღარიბეში მცხოვრებთა რაოდენობა და მათ არასაკმარის კვებასთან დაკავშირებული პრობლემები მოუხსნა, მაგრამ ღარიბი ქვეყნების უდიდეს ნაწილს არც ამხელა რესურსი, არც მსგავსი პროგრამის რეალიზაციის უნარი აქვს.

1798 წელს გამოჩენილმა ინგლისელმა მოაზროვნემ **თომას მალთუსმა** აღწერა ინდუსტრიამდელი საზოგადოების მთავარი პრობლემა, რომელიც იმაში გამოიხატებოდა, რომ მოსახლეობის ზრდა გარკვეულ ეტაპზე მნიშვნელოვნად უსწრებდა სურსათის წარმოებას: „მოსახლეობის ზრდის უნარი განუსაზღვრელად დიდია მიწის შესაძლებლობებზე, აწარმოოს ადამიანის არსებობის საშუალებები". ზრდის პროცესი ყოველთვის მასშტაბური დეპოპულაციით მთავრდებოდა — შიმშილის, ომებისა და ეპიდემიების სახით. საბოლოოდ, აგრარული ტექნოლოგიების განვითარებამ, განსაკუთრებით კი XX საუკუნის „მწვანე რევოლუციამ" კაცობრიობას შესაძლებლობა მისცა, მნიშვნელოვნად დაეძლია შიმშილის პრობლემა. გაჩნდა რწმენა, რომ **პლანეტა ათეულ მილიარდობით ადამიანის გამოკვებას შეძლებს, მაგრამ მედალს მეორე მხარეც აქვს — მინერალური სასუქებისა და პესტიციდების საყოველთაო გავრცელებამ ეკოლოგიური პრობლემები შექმნა.** ტყეების განადგურება, გრუნტის წყლების დაბინძურება, ბიოლოგიური მრავალფეროვნების მკვეთრი შემცირება მხოლოდ ნაწილია იმ პრობლემებისა, რომლებიც შიმშილის აჩრდილის განდევნას სათუოს ხდის. გაეროს სასურსათო ორგანიზაციის შეფასებით, ეს პრობლემები, კლიმატურ ცვლილებებთან ერთად, მსოფლიო აგრარული სექტორის პერსპექტივებს ძალიან ბუნდოვანს ხდის, მაშინ, როდესაც მოსახლეობის ზრდა მოითხოვს 2050 წლისთვის აგრარული პროდუქციის მოცულობის 50-60 პროცენტით გაზრდას.

მიუხედავად იმისა, რომ მალთუსის თეორია მთლიანობაში მოძველდა, ზოგიერთი მისი ფრაზა დღესაც პოპულარულია, მაგალითად, ეს „ბრბოს ამბოხი მოსახლეობის ჭარბი რაოდენობის შედეგია. ამ ბრბოს ტანჯვა აღაგზნებს და არ იცის, რომ თვითონ იწვევს ამ ტანჯვას. ეს შეშლილი მეამბოხე ბრბო თავისუფლების უბოროტესი მტერია; ის წარმოშობს ტირანიას და მხარს უჭერს მას".

მიუხედავად იმისა, რომ „კლასიკური" შიმშილის შემთხვევები საქართველოში არცთუ ხშირად გამოვლენილა, სხვადასხვა კვლევებში აღნიშნულია, რომ არასაკმარისი კვების გამო ჯანმრთელობის პრობლემებს ქვეყნის ასიათასობით მოქალაქე განცდის. 2013 წლის 23 მარტს ბათუმში გარდაიცვალა ერთი წლის გოგიტა აბაშიძე. ექიმების თქმით, მისი წონა 4 კილოგრამი და 200 გრამი იყო, ანუ დაახლოებით იმდენი, რამდენიც დაბადებისას — ბავშვის გარდაცვალების მთავარ მიზეზად შიმშილი დასახელდა.

გაეროს მსოფლიო სასურსათო პროგრამის ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ შიმშილი საიმიგრაციო კრიზისის მთავარი მიზეზია, მათ შესაბამისი კოეფიციენტიც გამოთვალეს – სასურსათო უსაფრთხოების შემცირება ერთი პროცენტით ემიგრანტების რაოდენობას 1,9 პროცენტით ზრდის. მსოფლიო სასურსათო პროგრამის აღმასრულებელმა დირექტორმა დევიდ ბისლიმ 15 ნოემბერს განაცხადა, რომ ევროპას ახალი საიმიგრაციო კრიზისი ემუქრება და აღნიშნა, რომ ანალოგიური სიტუაცია 2015 წელს შეიქმნა — მისი მთავარი მიზეზი ლტოლვილთა ბანაკების მომარაგების პრობლემებია. **მსოფლიოს ყურადღების ცენტრში სირიაა (მისი მოსახლეობა ომამდე 23 მილიონს აღწევდა) — იძულებით გადაადგილებული პირი ქვეყნის შიგნით 7,5 მილიონი ადამიანი გახდა. თავშესაფარი მეზობელ ქვეყნებში თითქმის 4 მილიონზე მეტმა მიიღო, მათ შორის 2,9 მილიონი თურქეთში ცხოვრობს. ლიბანში 4,5-მილიონიან მოსახლეობაზე 1,15 მილიონი სირიელი ლტოლვილი მოდის. იორდანიაში მცხოვრებთა შორის ყოველი მეათე სირიელი ლტოლვილია. სირიის ტერიტორიაზე დარჩენილთაგან სასწრაფო ჰუმანიტარულ დახმარებას, გაეროს შეფასებით, 4,53 მილიონი ადამიანი საჭიროებს, 9,8 მილიონი კი სურსათის უკმარისობას განიცდის.** განადგურებულია ან ძლიერ დაზიანებულია საავადმყოფოების ნახევარზე მეტი და სკოლების მეოთხედი, მოსწავლეთა დასწრება განახევრდა. წყალმომარაგება 50%-ით შემცირდა, რაც, შიმშილთან ერთად, აუტანელ სიტუაციას ქმნის. სულ რაღაც 5-6 წელიწადში არცთუ ღარიბი ქვეყანა უძველესი კულტურითა და ტრადიციებით ჯოჯოხეთად გადაიქცა.

მაგრამ სირია, ასე თუ ისე, მსოფლიოს ყურადღების ცენტრშია, მაშინ როდესაც ინფორმაცია სამხრეთ სუდანის შესახებ მედიაში იშვიათად ხვდება. **ლტოლვილების რაოდენობამ იქ 1,9 მილიონს მიაღწია. ყოველდღე უგანდის საზღვარზე საშუალოდ 1800 ადამიანი გადადის და ამ ქვეყნის ხელისუფლება, გაეროს ხელშეწყობის მიუხედავად, ამ ადამიანების სრულფასოვან დახმარებას ვერ ახერხებს.** ომის გამო ჰუმანიტარული ტვირთების შეტანა სამხრეთ სუდანში შეზღუდულია.

თუ სიტუაცია გაუარესდება, ევროპისა და მსოფლიოს მასშტაბით შეიძლება განმეორდეს ის, რაც 1942-43 წლებში ბენგალიაში მოხდა. ამ მაგალითზე კარგად ჩანს, როგორ იქმნება საბედისწერო მიზეზ-შედეგობრივი ჯაჭვი. 1942 წლის გაზაფხულზე იაპონელებმა ბირმას შეუტიეს და ქვეყანა, ბრიტანულ ჯართან ერთად, ნახევარ მილიონამდე ადგილობრივმა დატოვა. ეს ნაკადი ბრიტანულ ინდოეთს, კერძოდ კი ბენგალიას, მიაწყდა და დიდ ქალაქებში ეპიდემიების გავრცელება გამოიწვია. ბირმა რეგიონში ბრინჯის მთავარი მწარმოებელი იყო და მისი დაცემის შემდეგ ლოგიკური იყო ბენგალიიდან ბრინჯის გატანის შეწყვეტა, მაგრამ ბრიტანელებს მაინც გაჰქონდათ ათიათასობით ტონა ბრინჯი ინგლისში. მეტიც, იაპონელების შიშით, მათ ბენგალიაში ბრინჯის მარაგის განადგურება დაიწყეს. ისინი წვავდნენ მას და ტონობით მდინარეებში ყრიდნენ, რაც უარყოფითად აისახა მეთევზეობაზე, მითუმეტეს, რომ კოლონიურმა ადმინისტრაციამ გლეხებს ათიათასობით ნავი ჩამოართვა, რათა იაპონელებს არ გამოეყენებინათ. ყოველივე ამას დაემთხვა ციკლონი, რომელსაც წყალდიდობა მოჰყვა — **დაიღუპა 14 ათასი ადამიანი და 190 ათასი სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, დაიტბორა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები. უშუალოდ წყალდიდობის შემდეგ დაიწყო აუტანელი სიცხე და მალარიის ეპიდემია, რომელმაც 250 ათასამდე ადამიანი შეიწირა. ბრინჯის დაავადებამ მოსავლის ორი მესამედი გაანადგურა, სურსათის ფასმა 1011%-ით მოიმატა.**

ბენგალიაში ნამდვილი აპოკალიფსი დაიწყო. მშიერი ადამიანები ცდილობდნენ, სურსათის სამხედრო საწყობებში შეჭრილიყვნენ. არმია მათ არტილერიითა და ავიაციით იგერიებდა. **1943 წლის მარტიდან ივლისამდე ამ უპრეცედენტო „ბრძოლაში" 300 ათასამდე(!) ადამიანი დაიღუპა. თვითმხილველები იხსენებდნენ, რომ შიმშილისგან მომაკვდავი ლტოლვილები ჭამდნენ ერთმანეთს, ჭამდნენ საკუთარ სახსრებს, მასობრივი ფსიქოზით შეპყრობილი ათასობით ადამიანი უფსკრულში ხტებოდა და ა.შ. ბრიტანელი მკვლევარები მიიჩნევენ, რომ დაღუპულთა რაოდენობამ, ეპიდემიის მსხვერპლთა გამოკლებით, 2,1 მილიონს მიაღწია, ინდოელები თვლიან, რომ მაშინ 3-4 მილიონი ადამიანი დაიღუპა.**

ამდენი საბედისწერო შეცდომის დაშვების შემდეგ ინდოეთის ვიცემეფემ ვიქტორ ჰოუპმა მიმართა კოლონიების საქმეთა მდივანს — ლეო ემერის და ბენგალიიდან ბრინჯის გატანის შეწყვეტა, ამასთანავე, დახმარების აღმოჩენა მოითხოვა. ამ უკანასკნელმა უინსტონ ჩერჩილს შესთავაზა, ინდოეთში ავსტრალიიდან და ახალი ზელანდიიდან ხორბლის შეტანა დაეწყოთ. არსებობს ჩერჩილის პასუხის ორი ვერსია. ერთ-ერთის თანახმად, მან თქვა: „მაინც ბაჭიებივით გამრავლდებიან", ხოლო მეორის თანახმად, ჩაილაპარაკა: „განდი ხომ ჯანმრთელად ჰყავთ?"

შესაძლოა, პრემიერს არც არაფერი უთქვამს, მაგრამ ფაქტია, რომ ხორბალი ინგლისში გააგზავნეს და არა ინდოეთში.

ბოლო ათწლეულებში ბევრი რამ შეიცვალა, თუმცა არ არსებობს გარანტია, რომ მსგავსი დანაშაულის ტოლფასი შეცდომების სერია მომავალში არ განმეორდება. კვების ნაკლებობის პრობლემა პლანეტის მოსახლეობის 11%-ს ეხება და აზია-აფრიკის დემოგრაფიული აფეთქების, აგრეთვე, ომების გავრცელების გამო, ეს მაჩვენებელი ახლო მომავალში, სავარაუდოდ, გაიზრდება.

ევროპის, ისევე, როგორც საქართველოს, მოსახლეობის დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ ყველაფერი, რაც საზღვრებს მიღმა ხდება, სხვისი პრობლემაა. არადა, იმ შემთხვევაში, თუ სირიელების, სუდანელებისა და სხვების პრობლემები ადგილზევე არ მოგვარდება, რაც, უპირველესად, ჰუმანიტარული დახმარების ჯეროვან ორგანიზებასა და სამშვიდობო პროცესის ქმედით ხელშეწყობას გულისხმობს, ბენგალიის 1943 წლის მოვლენები შეიძლება გლობალური მასშტაბით განმეორდეს — ლტოლვილების უზარმაზარი არმია ისევ მოაწვება „გლობალური ჩრდილოეთის" ქვეყნების საზღვრებს, თანაც ისე, რომ მას ვერც მავთულხლართი და ვერც ტყვიამფრქვევი შეაჩერებს. ასე რომ, ლტოლვილების პრობლემა „შეშვება-არშეშვების" ჭრილში როდი უნდა განიხილებოდეს, ომთან და სიღარიბესთან ბრძოლის გარეშე მისი გადაწყვეტა შეუძლებელი ჩანს.

**ლუკა ნემსაძე**

«ნათელი წარსული»
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემებით, საქართველოში 3,7 მლნ ადამიანი ცხოვრობს და დაბალი შობადობის, მაღალი მოკვდავობის, ემიგრანტთა და იმიგრანტთა უარყოფითი სალდოს („საქსტატის“ მონაცემებით, 2016 წელს საქართველოდან გავიდა 98 288 კაცი, შემოვიდა — 90 228, ანუ სალდომ შეადგინა მინუს 8,1971 ათასი კაცი) გათვალისწინებით, საქართველოში ქართველები მალე აღმოჩნდებით უმცირესობაში.**

# როგორ ცხოვრობდნენ საბჭოთა საქართველოში და როგორ ვცხოვრობთ დღეს

**დღეს, როდესაც საქართველოში მძიმე მდგომარეობაა შექმნილი — დაბალია შობადობა, მაღალი — მოკვდავობა, დიდია ემიგრაციაში წასულთა და ქვეყანაში შემოსული უცხო ქვეყნის მოქალაქეების რაოდენობა, კატასტროფულადაა გაუფასურებული ეროვნული ვალუტა, მაღალია უმუშევრობის დონე, ძალიან ცოტაა პენსია და საარსებო მინიმუმი, უტევენ მართლმადიდებლობას, ქართულ ტრადიციულ ფასეულობებს და ყველა სახელისუფლო სტრუქტურა გაძეძგილია ანტიქართული, ე.წ. სოროსელი კადრებით. ბევრ ადამიანს, რომლებიც საბჭოთა პერიოდში ცხოვრობდნენ, 1960-1970-იანი წლების საქართველო მოენატრა, საქართველო, რომელშიც ქართველი, სხვა საბჭოთა რესპუბლიკის მოსახლეობასთან შედარებით, პრივილეგიურ პირობებში ცხოვრობდა, რადგან იმაზე 4-ჯერ მეტს მოიხმარდა, ვიდრე აწარმოებდა. დასავლური პროპაგანდისტული მანქანა და ადგილობრივი პროდასავლელები ცდილობენ, საბჭოთა კავშირი და, შესაბამისად, საბჭოთა საქართველო ბნელ, ჩამორჩენილ ქვეყნად წარმოაჩინონ, მაგრამ არის კი ასე?**


თბილისი, 1970-იანი წლები

XX საუკუნის 70-იან წლებში საქართველოს ტერიტორია 69,7 ათას კვ.კმ იყო. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მომენტში საქართველოში ცხოვრობდა 2,4 მლნ ადამიანი (გეორგიევსკის ტრაქტატის გაფორმებამდე, 1770 წელს — 761 ათასი), 1972 წელს — 4,7 მლნ, ხოლო 1989 წელს, საბჭოთა კავშირის დაშლამდე — 5,4 მლნ.

**2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემებით, საქართველოში 3,7 მლნ ადამიანი ცხოვრობს და დაბალი შობადობის, მაღალი მოკვდავობის, ემიგრანტთა და იმიგრანტთა უარყოფითი სალდოს („საქსტატის“ მონაცემებით 2016 წელს საქართველოდან გავიდა 98 288 კაცი, შემოვიდა 90 228, ანუ სალდომ შეადგინა მინუს 8,1971 ათასი კაცი) გათვალისწინებით, საქართველოში ქართველები მალე აღმოჩნდებით უმცირესობაში.**

1970-იან წლებში საქართველო იყო ინდუსტრიული ქვეყანა, რომელშიც განვითარებული იყო კვებისა და მსუბუქი მრეწველობები, მუშაობდა მეტალურგიული, ქიმიური, სამშენებლო და მანქანათმშენებლობის ქარხნები, რომლებიც აწარმოებდნენ ელმავლებს, გამომთვლელ მანქანებს, ავტომობილებს, წყალქვეშა ფრთიან საზღვაო კატერებს, ტრაქტორებს, ელექტროტექნიკურ მოწყობილობებს, ზუსტ ხელსაწყოებს, ჩაის საკრეფ მანქანებს და სხვ.

1970-იან წლებში **საქართველო საექსპორტოდ აწარმოებდა 300 სახის პროდუქციას, რომლებიც მსოფლიოს 70 ქვეყანაში გაჰქონდათ, მათ შორის აშშ-ში, დიდ ბრიტანეთში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, იაპონიაში, საფრანგეთსა და იტალიაში. ამჟამად კი საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა 8,8 მლრდ დოლარს შეადგენს და იმპორტი გაცილებით აჭარბებს ექსპორტს. სალდო უარყოფითია — 4,1 მლრდ.**

1971 წელს საქართველოს ეროვნული შემოსავალი 4,2 მლრდ მანეთი იყო. იმხანად მანეთი, ოფიციალური საშუალო კურსით, 1,5 დოლარი ღირდა, ანუ 1971 წელს საქართველოს მთლიანი ეროვნული შემოსავალი 6,04 მლრდ დოლარი იყო, **ამჟამად კი, „საქსტატის“ მონაცემებით, 3,5 მლრდ დოლარია(!).** თანაც, 1970-იან წლებში დოლარის შემსყიდველობითი უნარი დღევანდელთან შედარებით გაცილებით მეტი იყო.

**აი რამდენს აწარმოებდნენ და რამდენს მოიხმარდნენ საბჭოთა რესპუბლიკები (იხ.ცხრილი №1)**

თუ რუსეთის ფედერაციაში წარმოებულ სახალხო დოვლათსა და მის მოხმარებას ერთეულად მივიღებთ, ცხადია, რომ სომხეთში თითოეულ ადამიანზე 2-ჯერ ნაკლებს აწარმოებდნენ, ვიდრე რუსეთში, ხოლო „ჭამდნენ“ 2,5-ჯერ მეტს. ესტონეთში მოსახლეობის ერთ სულზე მოხმარება 3-ჯერ აჭარბებდა რუსეთის ანალოგიურ მაჩვენებელს, საქართველო კი 3,5-ჯერ უფრო მდიდრულად ცხოვრობდა რუსეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაზე და, საერთოდ, ყველაზე მდიდარი იყო საბჭოთა კავშირში.

საქართველოს ხელისუფლებები მოსახლეობას ყოველი არჩევნების წინ ჰპირდებოდნენ პენსიის მომატებას, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ 2003-დან, როცა პენსია 14 ლარი იყო, 2016 წლამდე პენსიამ თითქმის 13-ჯერ მოიმატა და მხოლოდ 180 ლარი შეადგინა (66,6 დოლარი), რაც, ლარის კურსის დაცემის, პროდუქტების, მედიკამენტებისა და პირველადი სამომხმარებლო საგნების გაძვირების ფონზე, კატასტროფულად დაბალია. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოში შრომისუნარიანი მამაკაცის **საარსებო მინიმუმი 174 ლარია** (იხ. geostat.ge), რაც ძალიან შორსაა საერთაშორისო ნორმებისგან. ბოლო (2014 წ.) აღწერის შედეგების მიხედვით, საქართველოში პენსიონერია მოსახლეობის 14,3%, ანუ 500 ათასზე მეტი ადამიანი. საშუალო პენსია 180 ლარია (2016 წლიდან), საპენსიო ასაკი მამაკაცისთვის 65 წელია, ქალისთვის — 60.

**საბჭოთა საქართველოში, ისევე, როგორც სრულიად სსრკ-ში, რომელსაც ასე თავგამოდებით ლანძღავენ ე.წ. ნეოლიბერალები, 1932 წელს განისაზღვრა საპენსიო ასაკი: მამაკაცებისთვის — 60 წელი, ქალებისთვის — 55. მძიმე პირობებში მომუშავეთათვის, მაგალითად, მეშახტეებისა და მეტალურგებისთვის, აგრეთვე, უკიდურეს ჩრდილოეთში, პოლარული წრის ტერიტორიაზე მომუშავე მამაკაცებისთვის — 50 წელი, ქალებისთვის — 45 (მუშაობის 20-წლიანი სტაჟის შემთხვევაში). მავნე სამუშაოზე დასაქმებულები იღებდნენ რძის პროდუქტებსა და უფასო საგზურებს საუკეთესო კურორტებზე დასასვენებლად. ხანდაზმულობის პენსია სსრკ-ში დაახლოებით 70-120 მანეთი იყო და გამოითვლებოდა მუშაობის ბოლო წლის საშუალო ანაზღაურებისა და სტაჟის მიხედვით. ერთ ადგილზე მუშაობის 15-წლიანი სტაჟის მქონეს 10% ემატებოდა, 25-წლიანი სტაჟისას — 25%, პერსონალური პენსიონერები კი 300 მანეთს იღებდნენ.**

1 მანეთად კი საბჭოთა კავშირში იყიდდით 100 კოლოფ ასანთს, 50 12-ფურცლიან რვეულს; 33-ჯერ იმგზავრებდით ტრამვაით (ბილეთი 3 კაპიკი ღირდა), 25-ჯერ — ტროლეიბუსით, 20-ჯერ — ავტობუსითა და მეტროპოლიტენით; შეიძენდით 10 ცალ ხორციან ღვეზელს — თითოს 10 კაპიკად, 5 პლომბირის ნაყინს, 3 ლიტრ რძეს (28 კაპიკი), 10 კგ კარტოფილს, 5 თეთრ პურს (ფასი 20 კაპიკი), 20 ლიტრ ბენზინს, 5 კათხა ჩამოსასხმელ ლუდს, 5 ბოთლ ლიმონათს, 10 კვერცხს და ა.შ. სხვათა შორის, სტუდენტის სტიპენდია 40 მანეთი იყო, ფრიადოსნისა — 50 მანეთი.

ამჟამად მსოფლიოში ყველაზე დიდი პენსია აქვთ **ლუქსემბურგელებს,** რომლებიც საპენსიო ასაკის (65 წელი) მიღწევის შემდეგ ყოველთვიურად იღებენ ხელფასის 87,4%-ს. იქ კი საშუალო ხელფასი დაახლოებით 3,5 ათასი ევროა. გამოდის, ლუქსემბურგელების პენსია თვეში დაახლოებით 3059 ევროა, ანუ 9 788 ლარი.

* ევროპაში ყველაზე მცირე პენსია აქვთ ევროკავშირის ახალ წევრებს: **ბულგარელებს** — 140 ევრო (448 ლარი) და **რუმინელებს** — 175 ევრო (560 ლარი).

რაც შეეხება ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებს, „რადიო თავისუფლების“ უკრაინული ფილიალის მიერ ამა წლის მაისში გამოქვეყნებული ინფოგრაფიკის მიხედვით: *(იხ. ინფოგრაფიკა)*

* **რუსეთში,** სადაც საპენსიო ასაკი მამაკაცებისთვის 60 წელია, ქალებისთვის — 55, საშუალო პენსია 2017 წლიდან დაახლოებით 216 დოლარია (583 ლ);

* **ბელარუსში** საშუალო პენსია 159 დოლარია (429 ლარი), საპენსიო ასაკი მამაკაცებისთვის — 60 წელია, ქალებისთვის — 55;

* **ყაზახეთში** საშუალო პენსია 137 დოლარია, ანუ დაახლოებით 369,9 ლარი. ამ ქვეყანაში საპენსიო ასაკი 63 (მამაკაცებისთვის) და 58 (ქალებისთვის) წლებია.

* **უკრაინაში** საშუალო პენსია 65 დოლარი, ანუ 175,5 ლარია; საპენსიო ასაკი მამაკაცებისთვის 60 წელია, ქალებისთვის — 55 წელი;

* **ესტონეთში** პენსია 434 დოლარია (1171 ლარი), ლატვიაში — 315 დოლარი (850 ლარის), ლიტვაში — 286 დოლარი (772 ლარი).

საქართველოს მეზობელ ქვეყნებში კი მდგომარეობა ასეთია:

* **აზერბაიჯანში** საშუალო პენსია 117დოლარია, ანუ დაახლოებით 315,9 ლარი. ამ ქვეყანაში მამაკაცებისთვის საპენსიო ასაკი 63 წელია, ქალებისთვის — 60;

* **სომხეთში**, სადაც საპენსიო ასაკი ქალებისა და მამაკაცებისთვის 63 წელია, საშუალო პენსია დაახლოებით 84 დოლარს შეადგენს (226,8 ლ);

* **თურქეთში** მამაკაცები პენსიაზე 60 წლის შესრულების შემდეგ გადიან, ქალები — 58 წლის შემდეგ. ამ ქვეყანაში საშუალო პენსია დაახლოებით 465 დოლარია, ანუ 1255 ლარი.

როგორც ხედავთ, **საქართველო, პენსიების მიხედვით, არა მხოლოდ ევროპასა და მსოფლიოშია აუტსაიდერი, არამედ ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებშიც.** საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, ქვეყანაში საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი 2016 წელს 940 ლარს(?) შეადგენდა. აღსანიშნავია, რომ ამჟამინდელი პენსია, 180 ლარი, საშუალო ხელფასზე, რომელიც, გაუგებარია, რა მეთოდით და რომელი პარამეტრების გათვალისწინებით არის გამოთვლილი, 5,2-ჯერ ნაკლებია.

აღსანიშნავია, რომ „ევროსტატსა“ და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ შედგენილ საშუალო ხელფასის სიაში საქართველო 157 ქვეყანას შორის 119-ე

**ცხრილი №1**

| რესპუბლიკა | წარმოება* | მოხმარება** | ბალანსი |
|---|---|---|---|
| რუსეთი | 17,5 | 11,8 | +5,7 |
| ბელარუსი | 15,6 | 12 | +3,6 |
| უკრაინა | 12,4 | 13,3 | -0,9 |
| ყაზახეთი | 10,1 | 17,7 | -7,6 |
| უზბეკეთი | 6,6 | 17,4 | -10,8 |
| ლიტვა | 13 | 23,3 | -10,3 |
| აზერბაიჯანი | 8,3 | 16,7 | -8,4 |
| საქართველო | 10,6 | 41,9 | -31,3 |
| თურქმენეთი | 8,6 | 16,2 | -7,6 |
| ლატვია | 16,5 | 26,9 | -10,4 |
| ესტონეთი | 15,8 | 35,8 | -20 |
| ყირგიზეთი | 7,2 | 11,4 | -4,2 |
| მოლდოვა | 10 | 13,4 | -3,4 |
| სომხეთი | 9,5 | 29,5 | -20 |
| ტაჯიკეთი | 5,5 | 15,6 | -10,1 |

* ასეთი იყო მშპ მოსახლეობის ერთ სულზე (ათასი დოლარი).
** ამ თანხის საქონელსა და პროდუქტებს მოიხმარდნენ რესპუბლიკები (ათასი დოლარი).

**ყოველთვიური პენსია საბჭოთა კავშირის ყოფილ რესპუბლიკებში (აშშ დოლარი)**



«ნათელი წარსული»
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# 1971 წელს საქართველოს ეროვნული შემოსავალი 4,2 მლრდ მანეთი იყო. იმხანად მანეთი, ოფიციალური კურსით, 1,2 დოლარი ღირდა, ანუ 1971 წელს საქართველოს მთლიანი ეროვნული შემოსავალი 5,04 მლრდ დოლარი იყო, ამჟამად კი, „საქსტატის“ მონაცემებით, 3,5 მლრდ დოლარია(!).

◀ ადგილზეა და საშუალო ხელფასის გრაფაში 234 დოლარი (631,8 ლარი) უწერია; „საქსტატის“ ვებგვერდზე კი მითითებულია, რომ საქართველოში ყოველთვიური საშუალო ხელფასი, 2016 წლის მონაცემით, 940 ლარია.

**საქართველო საშუალო ხელფასის მხრივაც აუტსაიდერთა შორისაა მსოფლიოში, მას უსწრებს არა მხოლოდ მეზობელი სომხეთი და აზერბაიჯანი, არამედ ისეთი ქვეყნები, როგორიცაა მონღოლეთი (458 დოლარი), კოსოვო (415 დოლარი), განა (316 დოლარი), ეთიოპია (237 დოლარი) და მრავალწლიანი ომისგან გაწამებული და გაპარტახებული ლიბანი და ერაყიც.**

**1928 წელს საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში მუშაობდა 183 ათასი მუშა და მოსამსახურე. 1970 წელს მათმა რაოდენობამ 1,4 მლნ-ს მიაღწია, მათგან 385 ათასი მრეწველობაში იყო დასაქმებული და თითქმის არავინ იყო უმუშევარი (უსაქმურობა ისჯებოდა). ამჟამად კი უმუშევართა რაოდენობა, „საქსტატის“ 2016 წლის მონაცემებით, 235,1 ათასია.**

რესპუბლიკის მრეწველობა ბაზირებული იყო მდიდარ მდინარეულ და ჰიდროენერგეტიკულ რესურსებზე, სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე. ჰიდროენერგეტიკული რესურსებით საქართველო ბევრ ევროპულ სახელმწიფოს უსწრებდა. სწორედ საბჭოთა პერიოდში აშენდა **ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგური — ზაჰესი (1927 წ.), ენგურის ჰიდროელექტროსადგური, რიონჰესი, სოხუმის ჰესი, ჭითახევჰესი, თბილისისა და ტყვარჩელის თბოელექტროსადგურები...**

ქალაქი ჭიათურა მარგანეცის უდიდესი ექსპორტიორი იყო, ამარაგებდა 50-ზე მეტ ქვეყანას და მსოფლიოში მოპოვებული მარგანეცის 50% ჭიათურაზე მოდიოდა. ამჟამად კი წლის განმავლობაში მოპოვებული მარგანეცი 220 ათასი ტონაა, სულ 12,7 მლნ დოლარის. თვით ქალაქი კი გალატაკებული და ეკოლოგიურად დაბინძურებულია.

საბჭოთა პერიოდთან შედარებით დღეს უმნიშვნელო მოცულობის პროდუქციას აწარმოებს რუსთავის მეტალურგიული ქარხანა. არადა, **საბჭოთა პერიოდში რუსთავში მოქმედი საწარმოები, მათ შორის, მეტალურგიული ქარხანა და „აზოტი“ მსოფლიოს 44 ქვეყანას ამარაგებდა ფოლადით, თუჯით, ქიმიური სასუქებით, ქიმბოჭკოთი, ცემენტით, ამწეკრანებით, ლითონის კონსტრუქციებით...**

საბჭოთა პერიოდთან შედარებით შემცირებულია „ელმავალმშენებელი“ და საავიაციო ქარხნების პროდუქცია, სხვათა შორის, სსრკ-ში მხოლოდ 4 რესპუბლიკას ჰქონდა საავიაციო ქარხანა — რსფსრ-ს, უკრაინას, უზბეკეთსა და საქართველოს. თბილისის საავიაციო ქარხანა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ სსრკ-ის მასშტაბით პირველი იყო, რომელმაც სერიულად გამოუშვა რეაქტიულძრავიანი გამანადგურებელი, შემდეგ იქ აწყობდნენ ზებგერით თვითმფრინავებს, ბირთვულქობინიან რაკეტებს, დაჯავშნილ საფრენ აპარატებს. ამ ქარხანაში 10 ათასამდე ადამიანი მუშაობდა. საერთოდ შეწყვიტა არსებობა ისეთმა საწარმოებმა, როგორიც იყო **თბილისის ჩარხმშენებელი და ქუთაისის საავტომობილო ქარხნები, „ელექტროაპარატი“, „ელექტროგამშვები“ „მიკროძრავა“, 26 კომისრის სახელობის ქარხანა, რადიოქარხანა, „მიონი“, საწარმო „ელვა“ ქუთაისის სატრაქტორო ქარხანა, გორის ბამბეულის კომბინატი და სხვ.**

**საბჭოთა კავშირის პერიოდში, 1966 წელს, გაიხსნა თბილისის მეტროპოლიტენი, რომელსაც დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან, ანუ 1991 წლის შემდეგ მხოლოდ 2 სადგური შეემატა (მშენებლობა დაწყებული იყო საბჭოთა პერიოდში): 2000 წელს — „ვაჟა-ფშაველა“, 2017 წელს — „სახელმწიფო უნივერსიტეტი“. სულ კი თბილისის მეტროპოლიტენში 23 სადგურია.**

სწორედ საბჭოთა კავშირის პერიოდში აღორძინდა კოლხეთი, მოჰყავდათ ციტრუსები, ჩაი, დაფნის ფოთოლი, თამბაქო. ჩაის პლანტაციებს ეკავა 60 ათასი ჰექტარი და საქართველო სსრკ-ის მოსახლეობის მოთხოვნას 95%-ით აკმაყოფილებდა, ამასთანავე, ქართული ჩაი საექსპორტოდ გადიოდა ჩეხოსლოვაკიაში, ბულგარეთში, პოლონეთში, გდრ-ში, რუმინეთში, ფინეთში, ირანში, სირიასა და მონღოლეთში. დიდი პოპულარობით სარგებლობდა, აგრეთვე, ქართული ღვინო და კონიაკი. დღეს კი საქართველოში ჩაის



## 1970-იან წლებში საქართველოს საექსპორტოდ გაჰქონდა 300 სახის პროდუქცია მსოფლიოს 70 ქვეყანაში, მათ შორის აშშ-ში, დიდ ბრიტანეთში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, იაპონიაში, საფრანგეთსა და იტალიაში. ამჟამად კი საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა 8,8 მლრდ დოლარს შეადგენს და იმპორტი გაცილებით აჭარბებს ექსპორტს. სალდო უარყოფითია — 4,1 მლრდ.

პლანტაციები თითქმის განადგურებულია, ქვეყნის სავაჭრო ქსელი კი გადავსებულია იმპორტული ჩაით, ციტრუსებით, სიგარეტით. ეგვიპტიდან, სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან შემოგვაქვს ხილი, ბოსტნეული და ყურძენი. ქართველმა გლეხმა კი არ იცის, სად წაიღოს ვაშლის, ატმის, ციტრუსის და ყურძნის მოსავალი. **საბჭოთა საქართველოში განვითარებული იყო აბრეშუმის მრეწველობა, ახლა კი ეს დარგი მკვდარია.**

სხვათა შორის, თბილისში 1897 წელს დაარსდა მეაბრეშუმეობის სადგური, რომლის შენობაშიც დღეს აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმია — ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიის კულტურის ძეგლი (1892 წელს აშენებულ შენობაშია განთავსებული).

1970-იან წლებში საქართველოში იყო 4571 სხვადასხვა ტიპის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, რომლებშიც მილიონზე მეტი მოსწავლე სწავლობდა. ქვეყანაში იყო 18 უმაღლესი სასწავლებელი, 145 სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი. საკონსტრუქტორო ბიუროებში, ლაბორატორიებში, საცდელ ბაზებსა და უმაღლეს სასწავლებლებში მუშაობდა 8000-მდე მეცნიერი მუშაკი, მათ შორის, 400-მდე დოქტორი და 3000-მდე მეცნიერებათა კანდიდატი.

**დღეს ქვეყანაში 2321 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაა და მათში 564,7 ათასი მოსწავლე სწავლობს.**

იმ „ავადსახსენებელ“ საბჭოთა წლებში საქართველოს ჰყავდა მსოფლიოში სახელგანთქმული მეცნიერები: **ნიკო მუსხელიშვილი, ილია ვეკუა, ივანე ბერიტაშვილი, ევგენი ხარაძე, დიმიტრი უზნაძე.** ქართველი ფიზიკოსები საბჭოთა პერიოდიდან მუშაობდნენ ბირთვული კვლევების ევროპულ ცენტრში — შვეიცარიის ქალაქ ჟენევაში.

სწორედ საბჭოთა პერიოდში შექმნეს ქართველმა ხელოვანებმა ისეთი კინემატოგრაფიული შედევრები, როგორიცაა **„ჯარისკაცის მამა“, „ნატვრის ხე“, „არაჩვეულებრივი გამოფენა“, „შერეკილები“, „ცისფერი მთები“, „ფეოლა“, „რეკორდი“, „ქვევრი“** და სხვ. საბჭოთა პერიოდში დაიდგა სპექტაკლები: **„ჭინჭრაქა“, „კავკასიური ცარცის წრე“, „მეფე ლირი“, „ხანუმა“, „ურიელ აკოსტა“** და სხვ.

საბჭოთა პერიოდში მოღვაწეობდნენ გამოჩენილი ქართველი მსახიობები: **აკაკი ხორავა, სერგო ზაქარიაძე, ეროსი მანჯგალაძე, რამაზ ჩხიკვაძე, იპოლიტე ხვიჩია, ოთარ მეღვინეთუხუცესი, ვერიკო ანჯაფარიძე, სესილია თაყაიშვილი, სოფიკო ჭიაურელი** და სხვ.

საბჭოთა საქართველოში შექმნეს თავიანთი ლიტერატურული შედევრები **გალაკტიონ ტაბიძემ, მუხრან მაჭავარიანმა, მურმან ლებანიძემ, კონსტანტინე გამსახურდიამ, ნოდარ დუმბაძემ, ჭაბუა ამირეჯიბმა, გურამ დოჩანაშვილმა, ოთარ ჭილაძემ** და სხვებმა.

სწორედ საბჭოთა პერიოდში შეძლეს გამოჩენილმა ქართველმა მხატვრებმა: **ლადო გუდიაშვილმა, ელენე ახვლედიანმა, დავით კაკაბაძემ, მერაბ ბერძენიშვილმა, ელგუჯა ამაშუკელმა** ნიჭის სრულად რეალიზება.

იმ „ბნელ“ საბჭოთა პერიოდში ქართველებს გვყავდა მსოფლიოში სახელგანთქმული სპორტსმენები: მსოფლიოს 5-გზის ჩემპიონები ჭადრაკში — **ნონა გაფრინდაშვილი** და **მაია ჩიბურდანიძე** და ჩვენი ქვეყანა 30 წლის(!) განმავლობაში ინარჩუნებდა ჭადრაკის დედოფლის გვირგვინს, გვყავდა მოჭიდავე **ლევან თედიაშვილი** — ოლიმპიური თამაშების 2-გზისა და მსოფლიოს 4-გზის ჩემპიონი, ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე **რომან რურუა** — ოლიმპიური თამაშების და მსოფლიოს ჩემპიონი, განუმეორებელი **ვიქტორ სანეევი** — მსოფლიოში ერთადერთი მძლეოსანი, რომელმაც სამხტომში 3-ჯერ შეძლო ოლიმპიური ოქროს მედლის მოგება და რომელიც ამჟამად შორეულ ავსტრალიაშია გადახვეწილი... როგორ შეიძლება დაივიწყო თბილისის „დინამოს“ კალათბურთელების მიერ 1962 წელს ჩემპიონთა თასის ფინალში მოპოვებული გამარჯვება მადრიდის „რეალის“ წინააღმდეგ ან თბილისის დინამოს საფეხბურთო გუნდის 1964 წლის „ოქროს მატჩი“ ტაშკენტში თუ 1981 წელს მოპოვებული გამარჯვება დიუსელდორფში და ამ გამარჯვებებით გამოწვეული საყოველთაო სიხარული?!

დღეს? დღეს მხოლოდ მოჭიდავეები, მორაგბეები და კალათბურთელები ახარებენ გულშემატკივრებს, ხოლო ფეხბურთი, სპორტის ეს თავის დროზე უპოპულარესი სახეობა საქართველოში, სულს ღაფავს, ქართული სპორტის „მამები“ კი, რომლებიც ამ სახეობის აღორძინებაზე უნდა ზრუნავდნენ, მამათმავლების უფლებების დაცვით არიან დაკავებულნი.

საქართველოს სპორტის ოლიმპიური ისტორია 1950-იანი წლებიდან იწყება. ქართველებისთვის პირველი ოლიმპიადა იყო 1952 წელს ჰელსინკში გამართული თამაშები, სადაც 3 ოქროს, 4 ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს მედალი მოვიპოვეთ. მას შემდეგ, დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე, ანუ 1991 წლამდე, 8 ოლიმპიადაში მონაწილეობდნენ ჩვენი სპორტსმენები და 28 ოქროს, 23 ვერცხლისა და 34 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს; 1992-დან 2016 წლამდე კი 7 ოლიმპიადაზე — მხოლოდ 11 ოქროს, 1 ვერცხლისა და 28 ბრინჯაოს მედალი, თუმცა, თუ 1992 წლის მონაცემებს გამოვაკლებთ, როცა საქართველო დსთ-ის გუნდის სახელით გამოდიოდა, შედეგი კიდევ უფრო ნაკლები იქნება — 8 ოქროს, 1 ვერცხლისა და 23 ბრინჯაოს მედალი, ანუ 3-ჯერ და მეტჯერ ნაკლები....

ა, ასეთი იყო საბჭოთა საქართველო და ასეთია დღეს „დამოუკიდებელი“ საქართველო. ქვეყნის ხელისუფლება კი, რომლის წევრებიც უზარმაზარ ხელფასებსა და პრემია-დანამატებს იღებენ, ნაცვლად იმისა, რომ მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური პირობების გაუმჯობესებაზე იზრუნოს, ყველაფერს აკეთებს, რასაც დასავლელი პატრონები დაავალებენ.

მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძე**



თბილისის სარკინიგზო სადგური



ჩაის საკრეფი მანქანები „საქართველო“ პლანტაციებში

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ამერიკელი საზოგადოება ყურადღებით აკვირდებოდა საბჭოთა კავშირში განვითარებულ მოვლენებს, ახალი ლიდერის — სტალინის მოღვაწეობას. 1920-იან წლებში მოსკოვში ჩამოსული ამერიკელი მეცნიერები და ჟურნალისტები გამოთქვამდნენ სტალინთან შეხვედრის სურვილს, ცდილობდნენ, მისგან შეეტყოთ ინფორმაცია საკითხებზე, რომლებიც განაპირობებდა მომავალში აშშ-ის მხრიდან საბჭოთა კავშირის აღიარებას.**

# სტალინი და ამერიკა

**ურთიერთობები საბჭოთა რუსეთსა და ამერიკას შორის რთულად ყალიბდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ აშშ მონაწილეობდა რუსეთის წინააღმდეგ სამხედრო ინტერვენციაში, საბჭოთა ხელისუფლების ლიდერი ლენინი მაინც ცდილობდა ეკონომიკური ურთიერთობების დამყარებას ამ ქვეყანასთან. ლენინი 1919 წლის ოქტომბერში ამბობდა: „ჩვენ გადაჭრით ვემხრობით ეკონომიკური ურთიერთობების დამყარებას ამერიკასთან, ყველა ქვეყანასთან, მაგრამ ამერიკასთან — განსაკუთრებით“.**



აშშ-ის ეკონომიკა გაცილებით ძლიერი იყო, ვიდრე სსრკ-ისა. მაგ., 1926-27 წლებში საბჭოთა კავშირის ნაციონალური წლიური შემოსავალი შეადგენდა 22 მლრდ მანეთს, აშშ-ისა — 130 მლრდ მანეთს, ანუ მოსახლეობის ერთ სულზე — 166 მანეთს სსრკ-ში და 1500 მანეთს — აშშ-ში. პარტიის ცკ-ის პოლიტბიურო არაერთხელ განიხილავდა ამერიკასთან ურთიერთობის საკითხებს.

შევჩერდეთ ერთ მათგანზე. 1925 წლის 23 ივლისს **გიორგი ჩიჩერინის** მოხსენების მიხედვით, პოლიტბიურომ განიხილა და დაამტკიცა, “ამერიკის მიმართ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის ზომების პროექტი”, რომელშიც ნათქვამია:

„**ა)** აუცილებელია, აღინიშნოს, რომ ამერიკაში ფართო საზოგადოების დამოკიდებულება საბჭოთა კავშირისადმი უკეთესობისკენ შეიცვალა.

**ბ)** სასწრაფოდ გაიზარდოს სავაჭრო ურთიერთობები ამერიკასთან, ა.წ. აპრილში რუსულ იმპორტში ამერიკამ პირველი ადგილი დაიკავა”. დადგენილებაში, როგორც დადებითი ფაქტი აღინიშნებოდა ის, რომ ამერიკელები, ევროპელებისაგან განსხვავებით, არ მოითხოვდნენ მეფისდროინდელ ვალებს და იფარგლებოდნენ მხოლოდ დროებითი მთავრობის მიერ აღებული ვალით.

**ამერიკელი საზოგადოება ყურადღებით აკვირდებოდა საბჭოთა კავშირში განვითარებულ მოვლენებს, ახალი ლიდერის — სტალინის მოღვაწეობას. 1920-იან წლებში მოსკოვში ჩამოსული ამერიკელი მეცნიერები და ჟურნალისტები გამოთქვამდნენ სტალინთან შეხვედრის სურვილს; ცდილობდნენ, მისგან შეეტყოთ ინფორმაცია საკითხებზე, რომლებიც განაპირობებდა მომავალში აშშ-ის მხრიდან საბჭოთა კავშირის აღიარებას.** 1926 წელს, ამერიკელთა დელეგაციასთან ერთად, სსრკ-ში ჩავიდა პროფესორი **ჯერომ დევისი**, რომელსაც სტალინთან შეხვედრა სურდა.

ამ შეხვედრისთვის მას ჰქონდა ამერიკის სენატის საგარეო ურთიერთობათა კომისიის თავმჯდომარე **უილიამ ბორასა** და ცნობილი საბჭოთა მოღვაწის, 1924-25 წლებში ამერიკაში მივლინებული **ნიკოლაი ოსინსკის** სარეკომენდაციო წერილები.

1926 წლის 20 მაისს სენატორი ბორა წერდა: „ყველას, ვისაც წარუდგენენ ამ წერილს: ეს წერილი რეკომენდაციას უწევს იელის უნივერსიტეტის პროფესორ ჯერომ დევისს, რომელიც აპირებს, შეისწავლოს ვითარება რუსეთში და წარმომიდგინოს მოხსენებად. უყოყმანოდ ვუწევ რეკომენდაციას მას რუსეთის მთავრობის წინაშე და ღრმად ვაფასებ დახმარებას, თუ ხელს შეუწყობთ მის შეხვედრას ყველასთან, ვისთანაც მოისურვებს.

ღრმა პატივისცემით, უილიამ ი. ბორა“.

ნიკოლაი ოსინსკი წერდა სტალინს, რომ მოსკოვში, როგორც გაზეთებიდან შეიქნა ცნობილი, იმყოფება ამერიკელთა 20-კაციანი დელეგაცია — „ისინი არიან პროგრესულად მოაზროვნე ადამიანები, რომლებიც მხარს უჭერენ სსრკ-ის აღიარებას. დელეგაცია აპირებს, გამოსცეს ამერიკაში საბჭოთა კავშირში შექმნილი ვითარების ანგარიში, 1924 წელს ინგლისში პროფკავშირის დელეგაციის მიერ გამოცემულის მსგავსი. ანგარიში იქმნება იელის უნივერსიტეტის ახალგაზრდა პროფესორ ჯერომ დევისის ხელმძღვანელობით, რომელსაც ამერიკაში დიდი კამპანია ჰქონდა გაშლილი საბჭოთა კავშირის აღიარებისთვის და ჩვენზე ცნობების ფალსიფიკაციის წინააღმდეგ. ანგარიში იწერება სენატორ ბორასთვის და დევისი მასთან უშუალო კავშირშია.

დევისს ძალიან უნდა თქვენთან შეხვედრა, თუნდაც 15 წუთით“.

ოსინსკის წინადადებით, დევისმა წერილობით ჩამოაყალიბა თავისი კითხვები. „დელეგაცია იმ კვირაში მიემგზავრება და დევისის მიღება სწრაფადაა სასურველი“.

აი დევისის ბარათი სტალინის სახელზე:

**„იელის უნივერსიტეტი,**
**ჯერომ დევისის ბიურო,**
**1110 ედვარდს ჰოლი**
**ნიუ ჰავენი, კონექტიკუტი**
**10 აგვისტო, 1926 წ.**
**ბატონ იოსებ სტალინს**
**კომუნისტური პარტიის გენერალურ მდივანს**
**მოსკოვი. რუსეთი.**

მოწყალეო ბატონო!

რუსეთში ჩამოვედი ამერიკის დელეგაციასთან ერთად, რომელიც, ვიმედოვნებ, დაწერს მოხსენებას რუსეთზე, მსგავსად ბრიტანეთის სამუშაო მოხსენებისა 1924 წელს. მე ჩამოვედი. აგრეთვე, იმიტომაც, რომ დავწერო სპეციალური მოხსენება სენატორ უილიამ ი. ბორასთვის, რომელიც აშშ-ის სენატის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარეა და მხურვალე მხარდამჭერი აშშ-ის მხრიდან რუსეთის აღიარებისა. ვურთავ მის პირად წერილს თქვენდამი. მან განსაკუთრებით მთხოვა, თქვენი ნახვა. განსაკუთრებით მაინტერესებს პასუხი სამ კითხვაზე:

**1.** თუ ამერიკა აღიარებს რუსეთს, გამოიყენებს თუ არა ამას კომუნისტური ინტერნაციონალი თავისი მოქმედებების გასაძლიერებლად ამერიკაში? როგორია კომუნისტური პარტიის პოზიცია ამ საკითხში?

**2.** თუ ამერიკის კაპიტალი შემოვა რუსეთში, შეიძლება თუ არა იგი იყოს დარწმუნებული, რომ მომავალში კომუნისტური პარტიის პროგრამა არ შეიცვლება ისე, რომ ხელი შეეშალოს მის მოქმედებას გადასახადებით, სამუშაო კანონმდებლობითა და ა.შ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, რადიკალურად მარცხნივ ხომ არ გადაიხრება კომუნისტური პარტიის პოლიტიკა პერსპექტივაში?

**3.** მიგაჩნიათ თუ არა შესაძლებლად კომუნიზმისკენ გადახრა საშუალო რუსი გლეხისა, რომელიც თვითონ ამუშავებს მიწას? უქმნის თუ არა ეს პრობლემა საფრთხეს თქვენი პარტიის წარმატებას მომავალში? როგორ აპირებთ მის დაძლევას?

და კიდევ — მინდა, გკითხოთ: ხომ არაფერი გაქვთ საწინააღმდეგო, თუ მე ვთარგმნი ინგლისურ ენაზე ნაწილს თქვენი წიგნისა „ლენინიზმის საკითხები“? განსაკუთრებით მინდა ვთარგმნო 69-დან 166-მდე გვერდები ლენინიზმის საფუძვლებზე, მინდა დარწმუნებული ვიყო, რომ თქვენც მოგწონთ ეს არჩევანი, მაგრამ, თუ თქვენი რომელიმე თანამშრომელი აპირებს ამ წიგნის თარგმნას ინგლისურად, არ მინდა გავწიო მათი პარალელური სამუშაო.

ვიცი რა, როგორი დაკავებული ხართ, მოხარული ვიქნები, თუ შეგხვდებით მხოლოდ სამი წუთით და, თუ მოისურვებთ, არავის ვეტყვი ამ შეხვედრის შესახებ, სანამ არ შევხვდები სენატორ ბორას.

გულწრფელად თქვენი, ჯერომ დევისი.

ჩემი მისამართი მოსკოვში: სტარი კონიუშენის შესახვ. 39, ბინა II.

ტელ. 2-12-20“.

სტალინი დათანხმდა. საუბარი გაიმართა 1926 წლის 13 აგვისტოს 13 საათზე და გაგრძელდა თითქმის 2 სთ-მდე.

საკითხებისა და პრობლემების წრე, რომელსაც საუბრისას შეეხნენ, გასცდა დევისის წერილში დასმულ კითხვებს. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, მოვიტანოთ ამ საუბრის ჩანაწერი, რომელიც ქართულ პრესაში პირველად ქვეყნდება.

„მოკლე შინაარსი ამხ. სტალინისა და პროფ. ჯერომ დევისის საუბრისა“.

13 აგვისტო, 13-14:50 სთ.

მთარგმნელი — ტიველი

(დევისი — იელის უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა პროფესორი. იყო რუსეთში ოქტომბრის მოვლენების დროს და წარმოადგინა ბორას წერილი)

**დევისი:** — ჩვენი, საბჭოთა კავშირის აღიარების მომხრეთა, მუშაობის შესამსუბუქებლად, კარგი იქნებოდა, თუ საბჭოთა მთავრობა ნოემბრის არჩევნებისთვის განაცხადებდა მზადყოფნას:

**1.** აღიაროს კერენსკის ვალები;

**2.** ქონების კონფისკაციით დაზარალებულ ამერიკელ მოქალაქეთა უმრავლესობას აუნაზღაურდება ზარალი;

**3.** უარს იტყვის პროპაგანდაზე და ოფიციალური წარმომადგენლების პროპაგანდისთვის გამოყენებაზე.

**სტალინი: — ის, რომ აშშ არ გვაღიარებს და ამით, სხვა ქვეყნებთან შედარებით, განსაკუთრებულ მდგომარეობაში იყენებს თავს, უფრო ზრდის მოქმედებებს ამერიკის მთავრობის წინააღმდეგ კომუნისტებისა და იმ ხალხის, რომელიც თანაუგრძნობს საბჭოთა რესპუბლიკას.** ოფიციალურ წარმომადგენლებს ეკრძალებათ პროპაგანდა და დამნაშავენი ისჯებიან, კომუნისტური პარტიების და გაზეთების მოღვაწეობის აკრძალვა ჩვენ არ შეგვიძლია, როგორც რესპუბლიკელები იბრძოლებენ საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ, ისევე, კომუნისტები იბრძოლებენ კაპიტალიზმის წინააღმდეგ.

**დევისი:** — არის თუ არა საფრთხე იმისა, რომ, თუ ჩვენი კაპიტალისტები დააბანდებენ კაპიტალს თქვენთან, მოვლენ მემარცხენე ჯგუფები და შეცვლიან პირობებს ახალი გადასახადებითა და სამუშაო კანონმდებლობით, მაშინ ჩვენი კაპიტალისტების მუშაობა წამგებიანი იქნება?

**სტალინი:** — ეს შეიძლება შემოწმდეს **ჰარიმანისა** და **„ლენა-გოლდ-ფილდსის“** მიხედვით, რომლებსაც ძალიან დიდი მოგება აქვთ. ამერიკული წარმოების მაღალი კულტურისა და მასთან შედარებით (დიდი სიიაფის გამო) დაბალი ხელფასით აქ, ამერიკელებმა შეიძლება დიდი მოგება ნახონ. რაც შეეხება მომავალს, ჩვენთან არ არიან ისეთი ჯგუფები, რომლებიც უარყოფენ ნეპის აუცილებლობას, ძნელი წარმოსადგენია, რომ მემარცხენეები მოვიდნენ ხელისუფლებაში. მათემატიკურად თუ დავუშვებთ, ეს იქნება ასში ერთი შესაძლებლობა.

**დევისი:** — ევროპაში გვითხრეს, რომ თქვენ ზუსტად ასრულებთ ეკონომიკურ ვალდებულებებს, მაგრამ პროპაგანდის მიხედვით ეს ასე არ არის.

**სტალინი:** — ბოლშევიკებზე რას არ ამბობენ: რომ ისინი არ ჭამენ, არ სვამენ, არ არიან ადამიანები, არ აქვთ ოჯახები, მხოლოდ ებრძვიან ერთმანეთს, მაგრამ ხელისუფლებაში მაინც ერთად არიან, დღედაღამ ავრცელებენ დირექტივებს მსოფლიოში. ჩვენ ამაზე გვეცინება, რადგან, თუ ამ ყველაფრის უარყოფა დავიწყეთ, ტომები არ გვეყოფა. რაც შეეხება ხელშეკრულების შესრულებას, ამაზე ჰკითხეთ ევროპელ კონტრაგენტებს, ისინი გეტყვიან, რომ არ არსებობს ხელშეკრულების დარღვევის ერთი შემთხვევაც კი ჩვენი მხრიდან. რაც შეეხება კერძო პირებთან საქმეს, მათ შეუძლიათ მოგატყუონ, გაკოტრდნენ, მათი პასუხისმგებლობა დიდი არ არის და არც აქვს დიდი მნიშვნელობა, სახელმწიფოსთან საქმის დაჭერა სხვაა, სახელმწიფო არ დაუშვებს ხელშეკრულების დარღვევას, არც თავისი ორგანიზაციების გაკოტრებას, ეს იქნება საერთაშორისო მასშტაბით მისი შერცხვენა. ვერ გეტყვით, რა იქნება 40 წლის შემდეგ, მაგრამ 10, 20, 30 წლის განმავლობაში ჩვენზე უკეთესი კონტრაგენტი ვერავინ იქნება. **ტექნიკური დონით, კულტურით გერმანია ამერიკაზე დაბლა დგას, მაგრამ მან უკეთესად იცის ბაზარი, უფრო მეტ კონცესიებს იღებს, უფრო კარგადააწყო საქმე და დაბალხარისხიანი ტექნიკით უფრო დიდ მოგებას ნახულობს. ამერიკელებს შეეძლოთ, ჰქონოდათ მეტი, მაგრამ რატომ ვაძლევთ გერმანელებს? იმიტომ, რომ ისინი გვაძლევენ კრედიტს.**

**დევისი:** — იმედი გაქვთ, რომ გლეხი, რომელმაც მხოლოდ თავისი მიწა იცის, დაუჯერებს თქვენს პროპაგანდას?

**სტალინი:** — მხოლოდ პროპაგანდით ვერაფერს გახდები, იმედი გვაქვს, რომ ავიყოლიებთ გლეხებს იმიტომ, რომ ვქმნით ისეთ მატერიალურ პირობებს, რომლებსაც ისინი ბოლშევიკების მხარეს გადმოჰყავს. გლეხისთვის მთავარია, ამარაგებდნენ მანუფაქტურით მისაღები ფასით, რომ მისცენ კრედიტი და ჩაიბარონ მათი პროდუქტები, დაეხმარონ შიმშილობისას, დაეხმარონ, რომ არ დაბრუნდნენ მემამულეები, ჩართონ საერთო პოლიტიკურ ცხოვრებაში, მისცენ საშუალება, მიიღოს მონაწილეობა მშენებლობაში. ყველა ამ პირობას, მართალია, მთლიანად ვერა, მაგრამ ხელისუფ- ▶

**«ჩვენ არ გვინდა, თავი მოვაბეზროთ ვინმეს. აბეზარი ადამიანები ცუდი ადამიანები არიან; არ გვინდა, ცუდი ადამიანები ვიყოთ. გარდა ამისა, შეიძლება იფიქრონ, რომ ჩვენ ცუდი მდგომარეობა გვაქვს, რომ ვერ გავძლებთ ამერიკის გარეშე — ჩვენ ვძლებდით და გავძლებთ მომავალშიც ამერიკის გარეშე»**

# „გლეხებს ურჩევნიათ, კომუნისტებთან ჰქონდეთ საქმე, ვიდრე სხვასთან. ვერ ვიტყვი, რომ ისინი აღტაცებული არიან კომუნისტებით, მაგრამ გლეხები პრაქტიკოსები არიან და კაპიტალისტებთან ურთიერთობას, რომლებიც ჩაგრავდნენ და ლაპარაკიც არ უნდოდათ მათთან, ბოლშევიკებთან ურთიერთობა ურჩევნიათ, რომლებიც ელაპარაკებიან, არწმუნებენ, არ ძარცვავენ. მათ იციან, რომ ჩვენ იდეალურები არ ვართ, მაგრამ სხვებს ვჯობივართ“

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ლება გლეხებს უქმნის, ასე რომ არ იყოს, გლეხები არ იქნებოდნენ მშვიდად... თუ ასეთი გლეხები მშვიდად არიან და არ აქვთ კონფლიქტი ბოლშევიკებთან, ნიშნავს, რომ ჩვენ წარმატებები გვაქვს, ვქმნით ისეთ პირობებს, უმეტესად კოოპერაციით, როცა **გლეხებს ურჩევნიათ კომუნისტებთან ჰქონდეთ საქმე, ვიდრე სხვასთან, ვერ ვიტყვი, რომ ისინი აღტაცებულნი არიან კომუნისტებით, მაგრამ გლეხები პრაქტიკოსები არიან და კაპიტალისტებთან ურთიერთობას, რომლებიც ჩაგრავდნენ და ლაპარაკიც არ უნდოდათ მათთან, ბოლშევიკებთან ურთიერთობა ურჩევნიათ, რომლებიც ელაპარაკებიან, არწმუნებენ, არ ძარცვავენ. მათ იციან, რომ ჩვენ იდეალურები არ ვართ, მაგრამ სხვებს ვჯობივართ...** დასავლეთ ევროპელი გლეხისგან განსხვავებით, ჩვენს გლეხს ისეთი ისტორიული და ფსიქოლოგიური მონაცემები აქვს, რომელიც განაპირობებს მათ გადმოსვლას დიდი ყოყმანის გარეშე. განსხვავებას ქმნის ის, რომ, მაგალითად, ფრანგ და ინგლისელ გლეხს მიწა სოციალისტებისგან არ მიუღია, ჩვენთან კი რევოლუციის სათავეში, რომელმაც გლეხს მიწა მისცა, სოციალისტები დგანან. ეს საფუძველს აცლის ცრურწმენებს და საშუალებას ქმნის ბოლშევიკებისკენ გადასვლისა. გლეხური მეურნეობა ორი ნაწილისგან შედგება: წარმოება და განაწილება. თუ გლეხი თავის ნაწარმს ვერ გაასაღებს, მისი წარმოება ჩამოიშლება...

**დევისი:** — მართალია, რომ საუკეთესო კოლმეურნეობები სექტანტებისაა?

**სტალინი:** — არა, სექტანტები კოლექტივებს არ ენდობიან, განზე დგანან. მხოლოდ მოსკოვის გუბერნიაშია სექტანტების ნაწილი გაერთიანებული კოლმეურნეობებში. პიონერები და ორგანიზატორები კოლმეურნეობებისა და აქტიური მუშაკები დემობილიზებული წითელარმიელები და ყოფილი სამხედრო ტყვეები არიან, რომლებმაც ნახეს ტექნიკის უპირატესობანი საზღვარგარეთ.

**დევისი:** — შეიძლება თქვენი ბიოგრაფიის მოძიება? (სტალინი აწვდის ფურცელს პორტრეტით და მოკლე ბიოგრაფიით).

**დევისი:** — ეს ძალიან პატარაა. როგორ გახდით კომუნისტი?

**სტალინი:** — ძნელი სათქმელია. ადამიანები ჯერ ოპოზიციაში გადადიან, შემდეგ ხდებიან რევოლუციონერები, ირჩევენ რომელიმე პარტიას. ჩვენთან ბევრი პარტია იყო: ესერები, მენშევიკები, ანარქისტები, კომუნისტები.

**დევისი:** — რატომ წამოხვედით სასულიერო სემინარიიდან?

**სტალინი:** — გამომაგდეს.

**დევისი:** — რატომ?

**სტალინი:** — იმიტომ, რომ ვკითხულობდი მარქსს.

**დევისი:** — როდის იყო ეს? როგორ იშოვეთ მარქსი?

**სტალინი:** — ეს იყო 1899 წელს. ბოლო კლასში ვიყავი. თბილისში იყო სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია, რომელთანაც ვიყავი დაკავშირებული, მათ ჰქონდათ ლიტერატურა და მაძლევდნენ მეც.

**დევისი:** — განა მართალი არ იყო ოპოზიცია, როცა დემოკრატიზაციას მოითხოვდა? ხომ შეიძლება უმრავლესობა ცდებოდეს, როგორ დაამტკიცოს უმცირესობამ თავისი სიმართლე თუ გამოსვლა არ შეიძლება? ტროცკის, მაგალითად, ხომ არ მისცემდნენ უფლებას, გამოსულიყო ნიჟნი ნოვგოროდში ან ყაზანში?

**სტალინი:** — ჩვენ დიდი ორგანიზაცია გვაქვს, ერთი მილიონი წევრით; არიან სხვადასხვა ყაიდის ადამიანები, მაგრამ, ამასთანავე, ეს მებრძოლი ორგანიზაციაა, გადაწყვეტილებათა შემსრულებელი და არა სადისკუსიო კლუბი, რომელშიც მხოლოდ განიხილავენ საკითხებს. ასეთი პარტია ვერ შეძლებდა ქვეყნის მართვას. როცა მთავრდება განხილვა და მიიღება გადაწყვეტილება, ის უნდა შესრულდეს. ოპოციზიას კი არ უნდა გადაწყვეტილების ცხოვრებაში განხორციელება და სხვებსაც ამას მოუწოდებდა. ეს რომ ასე დარჩეს, მაშინ გვექნება არა პარტია, არამედ სადისკუსიო კლუბი...

**დევისი:** — კონსერვატორები ამბობენ, რომ საკავშირო კომუნისტური პარტია კომინტერნი და მთავრობა ერთი და იგივეა. ჩემს ლექციებში მივუთითებდი განსხვავებებზე, მაგრამ მეუბნებოდნენ, რომ სულერთია, პოლიტბიურო აკონტროლებს პარტიასაც და მთავრობასაც.

**სტალინი:** — თქვენ იცით, რა პირობებში არსებობს რესპუბლიკური პარტია ამერიკის შეერთებულ შტატებში?

**დევისი:** — პარტიას აქვს


THE TRUTH ABOUT
RUSSIA
The First Inside Story of the Russian Situation from the Czars Regime, through the Bolshevik Revolution up to the time all Americans were ordered out of Soviet Russia.
TOLD BY
JEROME DAVIS
Recently Active Senior Secretary of War Work of the Y.M.C.A. in Russia for three years.
This Lecture can be illustrated with slides if so desired.
Under the Exclusive Management of the
J. B. POND
LYCEUM
BUREAU
50 EAST FORTY-SECOND STREET NEW YORK N.Y.
FINE ARTS BUILDING CHICAGO, ILL.

ჯერომ დევისი

გარკვეული გავლენა, მაგრამ უფრო დიდი გავლენა აქვთ ცალკეულ ადამიანებს, რომლებიც არ ითვლებიან პარტიაში, მაგალითად, **მორგანი.**

**სტალინი:** — მხოლოდ წელს შეიქნა ჩვენთვის ცნობილი, რომ ინგლისში ლიბერალებს აქვთ საკუთარი ჩრდილოვანი კომიტეტი, კონსერვატორებსაც აქვთ ასეთი კომიტეტი, ალბათ, რესპუბლიკელებსაც, მაგრამ ამის შესახებ არავინ არაფერი იცის, კომიტეტი კი მაინც იკრიბება და მართავს მოლაპარაკებებს იმავე მორგანთან. იმაში, რაც იწერება ჩვენზე ამ საკითხზე, ცხრა მეათედი ფარისევლობა და უვიცობაა. ჩვენთან პოლიტბიურო ირჩევა ყოველ წელს, მისი წევრები ცნობილია, დასავლეთში კი მხოლოდ ჩხუბის დროს წამოსცდა **ლოიდ-ჯორჯს**, რომ ლიბერალურ პარტიაში არის ჩრდილოვანი კომიტეტი, რომლის შესახებ არავინ არაფერი იცოდა. რის საფუძველზე გვდებენ ბრალს დასავლეთში, როცა თვითონ ჩრდილოვანი კომიტეტები აქვთ და ჩუმად აკეთებენ იმას, რასაც ჩვენ არ ვმალავთ?!

რაც შეეხება კომინტერნს, არ მესმის, როგორ შეიძლება იმისი თქმა, რომ ჩვენ იქ პირველი რანგის წევრები ვართ, ხოლო დანარჩენი პარტიების წარმომადგენლები — მეორე; რომ ჩვენ, რუსებს, სხვა უფლებები გვაქვს, დანარჩენებს — სხვა. ევროპელი კომუნისტები კულტურული ადამიანები არიან, ისინი ასეთ რამეს არ დათანხმდებოდნენ. ისეთი ადამიანები, როგორებიც არიან **სემერი, პოლიტი, ტელმანი,** არ ითანამშრომლებდნენ ჩვენთან. არ მესმის, როგორ უნდა თქვან ასეთი სისულელე კულტურულმა ადამიანებმა, აქვს თუ არა პოლიტბიუროს ძალაუფლება მთავრობაში? — დიახ. წყვეტს თუ არა პოლიტბიურო ყველა საკითხს? — არა, არც შეუძლია. პოლიტბიურო იკრიბება კვირაში ერთხელ, სახალხო კომისარიატის საბჭო — ორჯერ, სავაჭრო საზოგადოების საბჭო — ორჯერ. როგორ შეუძლია პოლიტბიუროს, ერთ სხდომაზე განიხილოს ყველა ის საკითხი, რომლებიც ორმა საბჭომ ოთხ სხდომაზეც ვერ განიხილა? ამ შემთხვევაში პოლიტბიურო უნდა თათბირობდეს 24 საათი. ჩვენს ქვეყანაში მმართველი ძალა კომუნისტების პარტიაა, პარტიის ხელმძღვანელი ორგანო — ცენტრალური კომიტეტი, რომელიც იძლევა საერთო დირექტივებს.

**დევისი:** — ჩვენს პროპაგანდას ძალიან დაეხმარებოდა, თუ თქვენ განაცხადებდით თანხმობას სამი პირობის შესრულებაზე.

**სტალინი:** — მაგრამ კონტრპრეტენზიები?

**დევისი:** — თქვენ ძალიან ბევრი უნდა მიიღოთ ინტერვენციისთვის, მაგრამ სჯობს, ეს არ აღნიშნოთ განცხადებაში და საკითხი დაისვას კონფერენციაზე.

**სტალინი:** — ჩვენ არაერთხელ გაგვიკეთებია მსგავსი განცხადებები.

**დევისი:** — თქვენ უფრო მეტი გააკეთეთ, ვიდრე უნდა გაგეკეთებინათ, მაგრამ ჩვენს სულელ მთავრობას ყურადღება არ მიუქცევია. თუ თქვენ ერთხელ კიდევ განაცხადებთ თანხმობას სამი პირობის შესრულებაზე, ეს ძალიან დაეხმარება პროპაგანდას.

**სტალინი:** — მე მოვახსენებ მთავრობას, მაგრამ ეს ცოტა უხერხული მეჩვენება. ცოტა ხნის წინათ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატმა მსგავსი წინადადება წამოაყენა, მაგრამ პასუხი არ მიგვიღია. **არ გვინდა, თავი მოვაბეზროთ ვინმეს. აბეზარი ადამიანები ცუდი ადამიანები არიან, არ გვინდა, ცუდი ადამიანები ვიყოთ. გარდა ამისა, შეიძლება იფიქრონ, რომ ჩვენ ცუდი მდგომარეობა გვაქვს, რომ ვერ გავძლებთ ამერიკის გარეშე — ჩვენ ვძლებდით და გავძლებთ მომავალშიც ამერიკის გარეშე.** არსებობს, აგრეთვე, უხეში პასუხის მიღების რისკი, რაზეც ჩვენი ხალხი დაიწყებს გინებას, ისე, როგორც იგინებიან რუსულად, რაც უფრო გაართულებს ჩვენს აღიარებას მომავალში. რაღაც ახალი მიზეზის გარეშე უხერხული იქნება კიდევ ერთი გამოსვლა, ასეთია ჩემი აზრი. ყველაფერს მთავრობას მოვახსენებ.

**დევისი:** — მე ვაპირებ ამ საუბრის გამოქვეყნებას.

**სტალინი:** — თუ იბეჭდებოდა საუბარი ჩემთან, ყოველთვის წინასწარ ვკითხულობდი ხოლმე, ამ შემთხვევაში ეს არ შეიძლება, ამიტომ მიუთითეთ, რომ ტექსტი მე არ წამიკითხავს და პასუხსაც არაფერზე ვაგებ.

**დევისი:** — რა თქმა უნდა. მივუთითებ, რომ ტექსტზე პასუხს მხოლოდ მე ვაგებ“.

ეს საუბარი სტალინთან იელის უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა პროფესორმა ჯერომ დევისმა 1926 წლის 13 აგვისტოს ჩაწერა. 3 ოქტომბერს კვირას გამოაქვეყნა ამერიკის ერთ-ერთ წამყვან გაზეთში სტალინის პორტრეტით. ტექსტს ავტორმა დაურთო უცნობი ფაქტი სტალინის ბიოგრაფიიდან, რუსეთში სამოქალაქო ომისდროინდელი:

**„ერთხელ, დეკემბერში პეტროგრადთან ახლოს ფრონტზე სტალინმა შეამჩნია, რომ ჯარისკაცები უხალისოდ ესალმებოდნენ, მან ერთ-ერთი შეაჩერა და მიზეზი ჰკითხა. ჯარისკაცმა ჩალისგან დამზადებული თავისი სანდლები დაანახვა. სტალინმა გაიხადა კარგი ჩექმა, მისცა ჯარისკაცს და თვითონ მისი ჩალის სანდლები ჩაიცვა, რომლებიც არ გაუხდია მთელი ზამთრის განმავლობაში. ასე გაინაწილა მან თავისი ხალხის მძიმე მდგომარეობა“.**

როგორც ჩანს, ამის შესახებ სტალინმა ამერიკელ პროფესორს თვითონ უამბო. ძნელი სათქმელია, მართალია თუ არა ეს ამბავი, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ამ ფაქტმა, საბჭოთა ხელმძღვანელის ბიოგრაფიიდან, ამერიკელ მკითხველზე სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა.

**«ერთხელ, დეკემბერში პეტროგრადთან ახლოს ფრონტზე სტალინმა შეამჩნია, რომ ჯარისკაცები უხალისოდ ესალმებოდნენ, მან ერთ-ერთი შეაჩერა და მიზეზი ჰკითხა. ჯარისკაცმა ჩალისგან დამზადებული თავისი სანდლები დაანახვა. სტალინმა გაიხადა კარგი ჩექმა, მისცა ჯარისკაცს და თვითონ მისი ჩალის სანდლები ჩაიცვა, რომლებიც არ გაუხდია მთელი ზამთრის განმავლობაში. ასე გაინაწილა მან თავისი ხალხის მძიმე მდგომარეობა»**





## ყურადღება!

„ბიბლუსისა“ და „ლიბრას“ მაღაზიათა ქსელში, აგრეთვე, მეტროპოლიტენის სადგურებთან: „მარჯანიშვილი“, „რუსთაველი“, „თავისუფლების მოედანი“ შეგიძლიათ შეიძინოთ საერთაშორისო ორგანიზაცია „სტალინის“ თავმჯდომარის, ბატონი გრიგოლ ონიანის წიგნი „სტალინი“, რომელშიც თავმოყრილია ფაქტობრივი მასალები კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი პოლიტიკოსის, დიპლომატისა და მხედართმთავრის — სტალინის შესახებ.

უსამართლო ტრიბუნალი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**კარაჯიჩი უშუალოდ არ მონაწილეობდა საბრძოლო მოქმედებებში, მაგრამ დასავლურმა მართლმსაჯულებამ მაინც აღძრა მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე სრებრენიცაში გენოციდის მოწყობის ბრალდებით. გამომძიებელთა აზრით, კარაჯიჩმა არაფერი მოიმოქმედა ტრაგედიის თავიდან ასაცილებლად.**

# ევროპული თემიდას ორმაგი სტანდარტები

**ორი კვირის წინათ სტრასბურგის სასამართლომ განაცხადა, რომ შს ყოფილი მინისტრის ფრაზის — „ორი გვამი მჭირდება, მომიტანეთ ეს ორი გვამი“-ს ავტორის, 2008 წლის 7 ნოემბრისა და 2011 წლის 26 მაისის აქციების სასტიკად დარბევის ორგანიზატორის, სანდრო გირგვლიანის მკვლელების მფარველის — ვანო მერაბიშვილის მიმართ საქართველოს სახელმწიფომ ადამიანის უფლებების კონვენციის მე-18 (უფლებათა შეზღუდვა) და მე-5 (თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება) მუხლები დაარღვია. რამდენიმე დღის შემდეგ კი ჰააგის ტრიბუნალის უსამართლო გადაწყვეტილების გამო ხორვატმა გენერალმა სლობოდან პრალიაკმა სასამართლოს დარბაზში კალიუმის ციანიდი მიიღო და სიცოცხლე მოისწრაფა.**



ჰააგის ტრიბუნალმა ყოფილი იუგოსლავიის ხელისუფლების წარმომადგენლებიდან 108 სერბი გაასამართლა და მათ ხანგრძლივი ვადით (ზოგს სამუდამოდ) აღუკვეთა თავისუფლება. კოსოვოელი დამნაშავე კი, რომლის მიმართაც ორჯერ აღიძრა საქმე, ორჯერვე გაამართლა.

ყოფილი იუგოსლავიის საკითხებზე საერთაშორისო ტრიბუნალი (ჰააგის ტრიბუნალი) 1993 წლის მაისში შეიქმნა „იუგოსლავიაში 1991-2001 წლებში ომის მიმდინარეობისას კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულებისა და გენოციდის მსხვერპლთა მიმართ სამართლიანობის აღსადგენად“. მას შემდეგ სამოქალაქო ომში ჩადენილი „მხეცობისთვის“ ტრიბუნალის წინაშე წარდგა იუგოსლავიის ხალხების ათეულობით შესანიშნავი შვილი.



**სლობოდან პრალიაკი — ინჟინერი, რეჟისორი, გენერალი**

ის არასოდეს ყოფილა სამხედრო, არმიაშიც კი არ უმსახურია. 1970 წელს დაამთავრა ზაგრების უნივერსიტეტის ელექტროტექნიკური ფაკულტეტი. ერთი წლის შემდეგ აიღო ჰუმანიტარული და საზოგადოებრივი ფაკულტეტის კურსის დიპლომი. ერთი წლის შემდეგ მიიღო კიდევ ერთი უმაღლესი განათლება — რეჟისორის — და დაიწყო ფილმების გადაღება, აგრეთვე, სპექტაკლების დადგმა.

პრალიაკი 1991 წელს მოხალისედ წავიდა ომში. მან შემოქმედებითი და სამეცნიერო ინტელიგენციის წარმომადგენლებისგან ჩამოაყალიბა სახალხო მოლაშქრეთა რაზმი, რომელიც მედგრად იბრძოდა იუგოსლავიის სახალხო არმიის წინააღმდეგ. სწორედ ამის შემდეგ დაიწყო პრალიაკის სწრაფი სამხედრო კარიერა.

იმავე 1991 წელს უკვე იყო გენერალ-მაიორი და ხორვატიის თავდაცვის საბჭოს წევრი, ხოლო ორი წლის შემდეგ — ამ საბჭოს შტაბის წევრი. ხორვატიის თავდაცვის საბჭო დაადანაშაულეს მასობრივ მკვლელობასა და ეთნიკურ წმენდაში არახორვატების წინააღმდეგ. გენერალს ბრალი დასდეს მუსლიმანების დევნაში, მკვლელობაში, გაუპატიურებასა და წამებაში. ბრალდება ამტკიცებდა, რომ ყველაფერი ეს იყო 1993-1994 წლებში თვითაღიარებული რესპუბლიკა ჰერცეგ-ბოსნას მუსლიმანების დახოცვის გეგმის ნაწილი; გენერალმა, აგრეთვე, თითქოს იცოდა, რომ იგეგმებოდა თავდასხმა საერთაშორისო ორგანიზაციის წევრებსა და აღმოსავლეთ მოსტარის მეჩეთზე. 2013 წელს საერთაშორისო ტრიბუნალმა პრალიაკს 20 წლით პატიმრობა მიუსაჯა. გენერალმა გადაწყვეტილება გაასაჩივრა. საკასაციო ინსტანციამ განაჩენი ძალაში დატოვა. ამის შემდეგ, 2017 წლის 1 დეკემბერს, პრალიაკმა მოსამართლეებს განუცხად: „გენერალი პრალიაკი არ არის სამხედრო დამნაშავე და მე უარვყოფ თქვენს ვერდიქტს!“ შემდეგ მან პატარა ფლაკონი ამოიღო, რაღაც გადაყლაპა და განაცხადა, რომ შხამი მიიღო. სასამართლო შეწყდა, გამოიძახეს ექიმები, მაგრამ მათ გენერლის გადარჩენა ვერ შეძლეს.



**რატკო მლადიჩი — სერბი ნაპოლეონი**

22 ნოემბერს ყოფილი იუგოსლავიის საკითხების საერთაშორისო ტრიბუნალმა სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა ბოსნიელი სერბების არმიის სარდალ **რატკო მლადიჩს.** ის დამნაშავედ ცნეს გენოციდში, კერძოდ, მუსლიმანების მასობრივი მკვლელობის ორგანიზებაში სრებრენიცაში 1995 წელს. მლადიჩი, აგრეთვე, დაადანაშაულეს ომის წარმოების კანონების დარღვევაში.

1991 წელს მლადიჩი ქალაქ კნინში (ხორვატია) დისლოცირებულ იუგოსლავიის სახალხო არმიის მე-9 კორპუსს სარდლობდა. სიმამაცის, სამოქალაქო ომში საბრძოლო დამსახურებებისა და მოხერხებულობისთვის მლადიჩს სერბი ნაპოლეონი შეარქვეს. მიანიჭეს გენერალ-მაიორის წოდება, 2 წლის შემდეგ კი — გენერალ-პოლკოვნიკის. 1995 წელს სერბეთის ძალებმა 15-დღიანი სარაკეტო შეტევის შედეგად აიღეს ქალაქი სრებრენიცა, სადაც ბევრი მუსლიმი ლტოლვილი იმყოფებოდა. ოპერაციას ხელმძღვანელობდა მლადიჩი. მუსლიმი ქალები და ბავშვები დაუყოვნებლივ გააძევეს ბოსნიის ტერიტორიაზე, რომელსაც მუსლიმანები აკონტროლებდნენ. 14-დან 77 წლამდე მამაკაცები კი დააკავეს და დაჰკითხეს, რათა გაერკვიათ, ჰქონდათ თუ არა ჩადენილი სამხედრო დანაშაული სერბი ხალხის წინააღმდეგ. ათასობით ადამიანი, რომლებიც ცდილობდნენ, ტყის გავლით გადასულიყვნენ მუსლიმების კონტროლს დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე, სერბებმა ალყაში მოაქციეს და დახვრიტეს. ყველაზე მასობრივი სადამსჯელო ოპერაცია ჩატარდა 13 ივლისს სოფელ კრავიცაში. სრებრენიცას აღების შემდეგ სერბებმა 7 ათასი კაცი დასაჯეს.

**საინტერესო დეტალი:** 2017 წლის ზაფხულში ჰააგის ტრიბუნალმა დაადგინა, რომ ნიდერლანდების მთავრობა ნაწილობრივ პასუხისმგებელია 300-მდე მუსლიმის დაღუპვაში სრებრენიცაში მოწყობილი ხოცვა-ჟლეტისას. ნიდერლანდის სამშვიდობო ძალების წარმომადგენლებმა, რომლებსაც ქალაქის მოსახლეობა უნდა დაეცვათ, უარი განაცხადეს ბრძოლაში ჩაბმაზე.



**რადოვან კარაჯიჩი — ფსიქიატრი, პრეზიდენტი, პოეტი**

რადოვან კარაჯიჩმა 1971 წელს დაამთავრა სარაევოს უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი ფსიქიატრიის განხრით. მკურნალობდა ნევროზებსა და დეპრესიას. წერდა ლექსებს, იყო მწერალთა კავშირის წევრი. მისი პოლიტიკური კარიერა დაიწყო 1989 წელს, როცა დააფუძნა სერბეთის დემოკრატიული პარტია, რომელმაც უარი განაცხადა ბოსნიის ორ სხვა ეთნიკურ თემთან თანამშრომლობაზე. 1992 წლის 7 აპრილს ბოსნიელმა სერბებმა გამოაცხადეს ბოსნია-ჰერცეგოვინის სერბული რესპუბლიკის შექმნის შესახებ, მის პირველ პრეზიდენტად კი რადოვან კარაჯიჩი აირჩიეს.

**კარაჯიჩი უშუალოდ არ მონაწილეობდა საბრძოლო მოქმედებებში, მაგრამ დასავლურმა მართლმსაჯულებამ მაინც აღძრა მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე სრებრენიცაში გენოციდის მოწყობის ბრალდებით. გამომძიებელთა აზრით, კარაჯიჩმა არაფერი მოიმოქმედა ტრაგედიის თავიდან ასაცილებლად.** კარაჯიჩზე გამოაცხადეს ძებნა. ის 12 წლის განმავლობაში იმალებოდა. ცხოვრობდა და მუშაობდა ბელგრადში ყალბი დოკუმენტებით, მაგრამ 2008 წელს ვიღაცამ დაასმინა და სერბეთის უშიშროების სამსახურმა ჰააგის ტრიბუნალს გადასცა.

2014 წელს კარაჯიჩი და მლადიჩი ერთმანეთს ჰააგის ტრიბუნალის სხდომათა დარბაზში შეხვდნენ. იტალიური გაზეთის — La Stampa –ს კორესპონდენტი ასე აღწერდა ამ მომენტს: „მლადიჩი გამოიძახეს, კარაჯიჩის დასაცავად ჩვენება რომ მიეცა, მაგრამ მან უარი განაცხადა. თუმცა მომენტით ისარგებლა, კარაჯიჩს თვალებში ჩახედა და სერბულად უთხრა: **„მაპატიე, რადოვან, მაგრამ ეს იდიოტები ვერ მაიძულებენ, რამე მათქმევინონ. ისინი ნატოს ბომბებს იცავენ“.** ჰააგის ტრიბუნალმა კარაჯიჩს 40 წლით აღუკვეთა თავისუფლება, რაც მისი წლოვანების (72 წელი) გათვალისწინებით სამუდამო პატიმრობის ტოლფასია.



**სლობოდან მილოშევიჩი — იურისტი, კომუნისტი, იუგოსლავიის პრეზიდენტი**

მილოშევიჩი 18 წლისა იყო, იუგოსლავიელი კომუნისტების კავშირში რომ შევიდა. წარმატებით დაამთავრა ბელგრადის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, მაგრამ იურისტის პროფესია პრაქტიკულად არასოდეს გამოუყენებია. მუშაობდა ჟურნალისტად, ხელმძღვანელობდა სანავთობე კომპანიას, შემდეგ — ბელგრადის ბანკს. 1984 წელს სათავეში ჩაუდგა კომუნისტური პარტიის ბელგრადის სამოქალაქო კომიტეტს, 5 წლის შემდეგ კი სერბეთის პრეზიდენტად აირჩიეს.

1989 წლის 28 ივნისს სერბი ფეოდალებისა და ბოსნიის სამეფოს გაერთიანებულ ძალებსა და ოსმალებს შორის კოსოვოს ველზე ბრძოლის 600 წლისთავისადმი მიძღვნილ მიტინგზე მილოშევიჩმა კოსოვოში სერბებისა და ალბანელების კონფლიქტზე განაცხადა: **„თქვენ აქ უნდა დარჩეთ, ეს თქვენი მიწაა, თქვენი კერა, თქვენი მინდვრები და ბაღებია, თქვენი ისტორია. თქვენ არ უნდა დატოვოთ ეს მიწა მხოლოდ იმიტომ, რომ აქ ცხოვრება რთულია, რომ გამცირებენ. სერბებსა და ჩერნოგორიელებს არასოდეს შეშინებიათ სირთულეების, ბრძოლაში არასოდეს დაუხევიათ უკან. თქვენ აქ უნდა დარჩეთ თქვენი წინაპრებისა და შთამომავლების გამო. იუგოსლავია არ არსებობს კოსოვოს გარეშე!“**

1996 წელს დაიწყო ჩამოყალიბება სეპარატისტული ძალების სამხედრო ძალისა, რომელიც მალე შეუერთდა კოსოვოს განმათავისუფლებელ არმიას. მხარეში დაიწყო პარტიზანულ-ტერორისტული ომი, რომელმაც მსხვერპლი გამოიწვია მშვიდობიან მოსახლეობაში, აგრეთვე, იუგოსლავიის მალალჩინოსნებსა და სამხედროებში. ომის პირველ ეტაპზე სეპარატისტებს ებრძოდნენ მილიციის ქვედანაყოფები, მაგრამ 1998 წელს მილოშევიჩმა კოსოვოში იუგოსლავიის არმია გაგზავნა, რამაც დასავლეთის მწვავე რეაქცია გამოიწვია.

1999 წლის 27 მაისს (კოსოვოში კონფლიქტის მიმდინარეობისას) გაერომ და ნატომ მილოშევიჩი ჟენევის კონვენციის დარღვევასა და გენოციდის მოწყობაში დაადანაშაულეს. ნატოს ავიაცია 2 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში ბომბავდა იუგოსლავიას. 1999 წლის 20 ივნისს იუგოსლავიის არმია გამოიყვანეს კოსოვოსა და მეტოხიიდან (სერბეთის უძველესი ტერიტორია, რომლიდანაც გავრცელდა ქრისტიანობა სერბეთში — ნ.კ.). აღსანიშნავია, რომ ნატოს ავიაციამ საგანგებოდ აღდგომის დღესასწაულზე განსაკუთრებული სისასტიკით დაბომბა ბელგრადი.

2001 წლის 1 აპრილს მილოშევიჩი დააპატიმრეს და ჰააგის ტრიბუნალის ციხეში ჩასვეს. ის დაადანაშაულეს მკვლელობებში, პოლიტიკური, რასობრივი და რელიგიური მოტივებით დევნაში, ეთნიკურ წმენდასა და ომის წესების დარღვევაში.

სასამართლო პროცესი, რომელიც 2002 წლის 12 თებერვალს დაიწყო, 22-ჯერ შეწყდა მილოშევიჩის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო. 2006 წლის 11 მარტს მილოშევიჩი, ოფიციალური ვერსიით, გულის შეტევით გარდაიცვალა. სერბეთის სოციალისტური პარტიის თავმჯდომარემ, ამჟამად სერბეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა **ივიცა დაჩიჩმა** განაცხადა, რომ მილოშევიჩი ჰააგის ტრიბუნალმა მოკლა.



**რამუშ ჰარადინაი — მცველი, ლეგიონერი, კოსოვოს პრემიერმინისტრი**

მისი ბიოგრაფია სავსეა საიდუმლოებებით. ცნობილია, რომ იუგოსლავიის არმიაში მსახურების შემდეგ, 1989 წელს, გადასახლდა შვეიცარიაში, სადაც პირად მცველად თუ ერთ-ერთ ღამის კლუბში მცველად მუშაობდა. ცდილობდა, საფრანგეთის უცხოურ ლეგიონში შესულიყო, მაგრამ რაღაცამ შეუშალა ხელი. ჰარადინაი სამშობლოში დაბრუნდა, მონაწილეობდა საპროტესტო გამოსვლებში, რის გამოც ციხეში ჩასვეს, მოახერხა გაქცევა შვეიცარიაში, შევიდა კოსოვოს სახალხო მოძრაობაში, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა კოსოვოს გა-

**ჰარადინაი თავის წიგნში „აღსარება ომისა და თავისუფლების შესახებ“ წერს: „იარაღის პირველი პარტია 1991 წელს შევიძინე ალბანეთში — ხელყუმბარები, პისტოლეტები... სამხედრო წვრთნას გავდიოდით ალბანეთში... იგეგმებოდა კოსოვოში 50 ათასი მებრძოლის გადაყვანა. ჩვენ გამუდმებით ვესხმოდით თავს სერბებს, ნებისმიერ ადგილზე, დღითა და ღამით. ჩვენ ყოველდღე ვხოცავდით სერბ პოლიციელებს...“ 2012 წელს ჰარადინაის წინააღმდეგ საქმე ხელახლა აღიძრა, მაგრამ ტრიბუნალმა კვლავ გაამართლა: მოსამართლეებმა განაცხადეს, რომ დანაშაულები იყო, მაგრამ მათ შესახებ არაფერი იცოდნენ „ბოევიკების“ ლიდერებმა (? — ნ.კ.). 2017 წლის 9 სექტემბრიდან რამუშ ჰარადინაი კოსოვოს პრემიერმინისტრია.**

უსამართლო ტრიბუნალი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ თავისუფლების არმიას. ჰარადინაის მეთაურობით, 2 წლის განმავლობაში მეტოხიაში 300-ზე მეტი ადამიანი მოკლეს, 400 მოიტაცეს და უგზო-უკვლოდ დაიკარგა. სწორედ მაშინ შეარქვეს მას „ღიმილი“ (როცა კლავდა, იღიმებოდა).

ერთ-ერთმა მოწმემ, 42 წლის ალბანელმა ქალმა, ჩვენება მისცა საველე მეთაურის „გმირობაზე“. მისი თქმით, ქალების ჯგუფთან ერთად, მოიტაცეს და გადაიყვანეს კოსოვოს განმათავისუფლებელი არმიის საველე ბანაკში. მათ შესასვლელშივე დახვდათ საშინელი სურათი: ხეზე მიბმული, დანით დაჩეხილი 2 სერბი მილიციელი, რომლებსაც თვალები დათხრილი ჰქონდათ და ჭრილობებზე მარილი ეყარათ. ისინი ჯერ ცოცხლები იყვნენ. ქალის თქმით, ჰარადინაი მათთან მივიდა მილიციელების ტალღაზე მომართული რაციით ხელში, ამოიღო დანა და აკუწა ადამიანები ისე, რომ სერბ მილიციელებს გაეგონათ, როგორ კვდებოდნენ მათი კოლეგები.

ამის შემდეგ ჰარადინაი დაბრუნდა ქალებთან. მოწმეს ხელები შეუკრა და გააუპატიურა, იმ დანით კი, რომლითაც მილიციელებს გაუსწორდა, სხეული დაუსერა. მსხვერპლი სასწაულით გადარჩა — მოახერხა გაქცევა იმ მომენტში, როცა დასახვრეტად მიჰყავდათ.

თვით ჰარადინაი თავის წიგნში „აღსარება ომისა და თავისუფლების შესახებ“ წერს: **„იარაღის პირველი პარტია 1991 წელს შევიძინე ალბანეთში — ხელყუმბარები, პისტოლეტები... სამხედრო წვრთნას გავდიოდით ალბანეთში... იგეგმებოდა კოსოვოში 50 ათასი მებრძოლის გადაყვანა. ჩვენ გამუდმებით ვესხმოდით თავს სერბებს ნებისმიერ ადგილზე, დღითა და ღამით. ჩვენ ყოველდღე ვხოცავდით სერბ პოლიციელებს...“**

როცა ნატო სერბეთს ბომბავდა, ჰარადინაი ავიადარტყმების კორექტირებაში ეხმარებოდა. იმავე წიგნში ის წერს: **„ჩემს ცხოვრებაში ყველაზე ბედნიერი და სამახსოვრო მომენტი დაკავშირებულია ნატოს საჰაერო თავდასხმასთან (1999 წლის 24 მარტი). ჩვენ აღფრთოვანებით შევყურებდით პირველ თვითმფრინავებსა და რაკეტებს“.**

2005 წლის მარტში საერთაშორისო ტრიბუნალმა ჰარადინაი დაადანაშაულა სერბებისა და ბოშების ეთნიკურ წმენდაში, აგრეთვე, იმ ალბანელების დასჯაში, რომლებზეც ეჭვობდნენ, რომ სერბ სამხედროებთან თანამშრომლობდნენ. ჰარადინაი, რომელიც იმხანად კოსოვოს მთავრობას ხელმძღვანელობდა, პოსტიდან გადადგა და სასამართლოს წინაშე წარდგა.

**ჰარადინაის განაჩენი 3 წლის შემდეგ გამოუტანეს: 37-ვე ბრალდებაში გაამართლეს(!).**

მოგვიანებით გაირკვა, რომ **10-დან 9 მთავარი მოწმე დაიღუპა. ვიღაცას მანქანა დაეჯახა; ვიღაც, კოსოვოს პოლიციის მონაცემებით, შიშველი ხელებით დაესხა თავს შეიარაღებულ ადამიანებს და დანაზე წამოეგო; 2 მანქანაში ცოცხლად დაწვეს. აღსანიშნავია, რომ დაღუპულთაგან 3 იყო ტრიბუნალის „სპეციალური მოწმე“, რომლებსაც განსაკუთრებით იცავდნენ. ამ მკვლელობების შემდეგ რამდენიმე მოწმემ შეცვალა ჩვენება, რამდენიმე კი სასამართლოზე არ გამოცხადდა.**

2012 წელს ჰარადინაის წინააღმდეგ საქმე ხელახლა აღიძრა, მაგრამ ტრიბუნალმა კვლავ გაამართლა: მოსამართლეებმა განაცხადეს, რომ დანაშაულები იყო, მაგრამ მათ შესახებ არაფერი იცოდნენ „ბოევიკების“ ლიდერებმა(? — ნ.კ.). 2017 წლის 9 სექტემბრიდან რამუშ ჰარადინაი კოსოვოს პრემიერმინისტრია.

ჰააგის ციხეში ამჟამად სასჯელს იხდიან: სერბეთის რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი, პოეტი და ფსიქიატრიის პროფესორი რადოვან კარაჯიჩი და სერბი გენერალი რატკო მლადიჩი. მათ „მსოფლიოში ყველაზე ჰუმანურმა სასამართლომ“ — ჰააგის ტრიბუნალმა — კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებში დასდო ბრალი, თუმცა ევროპულ თემიდას, როგორც ჩანს, მეხსიერების პრობლემები აქვს, რომ აღარაფერი ვთქვათ, სმენისა და მხედველობის პრობლემებზე. აბა, **როგორ შეიძლება აიხსნას ის, რომ „სერბი დამნაშავეების“ გვერდით არ სხედან ისინი, ვისაც მილიონობით ადამიანის სისხლში აქვს ხელი გასვრილი? ესენი არიან ნატოს უმაღლესი ხელმძღვანელები, რომლებმაც ბოლო ოცი წლის განმავლობაში რამდენიმე სისხლიანი კონფლიქტი გააჩაღეს, ამ კონფლიქტებს კი „სამშვიდობო ოპერაციებს“ უწოდებდნენ.**

ნატოს ერთ-ერთი წევრი-დამფუძნებელი და მისი ძირითადი მამოძრავებელი ძალა არის აშშ, რომელსაც ჩრდილოატლანტიკური ალიანსის კომიტეტების უმეტესობაში ხელმძღვანელის პოსტებზე თავისი წარმომადგენლები ჰყავს. სწორედ ისინი არიან ნატოს სამხედრო ოპერაციების ინიციატორები.

**ნატომ და აშშ-მა ფეხქვეშ გათელეს გაერო, კოლექტიური უსაფრთხოების სისტემა და სახელმწიფოების სუვერენიტეტი. იუგოსლავიის წინააღმდეგ ნატომ გამოიყენა იარაღი, რომელიც აკრძალულია ნიურნბერგის ქარტიით, აგრეთვე, ჰააგისა და ჟენევის კონვენციებით. იუგოსლავიაში ნატო იყენებდა ურანის დაბალი შემცველობის ბომბებს, რომლებიც არა მხოლოდ მაღალი სიზუსტით გამოირჩევა, არამედ რადიოაქტიურიც არის და ტოქსიკურიც. გარდა ამისა, ნატომ გამოიყენა ე.წ. კასეტური ბომბები — იარაღი ფეთქებადი ყუმბარებით, რომელთა გამოყენებაც მოგვიანებით ოტავის კონვენციით აიკრძალა**



## ნატოს „სამშვიდობო ოპერაციები“

### 1. იუგოსლავიის დაბომბვა

იუგოსლავიაში ინტერვენციის მიზეზად ნატოს ხელმძღვანელობამ ამ ქვეყნის ტერიტორიაზე — კოსოვოში, მეტოხიაში, აგრეთვე, ბოსნია-ჰერცეგოვინაში — ეთნიკური წმენდის შეჩერება დაასახელა. სინამდვილეში კი ეს იყო ოპერაცია, რომელიც მიზნად ისახავდა იუგოსლავიის არმიის დემორალიზებასა და იმ მდგომარეობამდე მიყვანას, რომ მას აშშ-ის ინტერესებისთვის საფრთხე არ შეექმნა.

ნატოს ოპერაციებს (პირველი იყო „სამოკავშირეო ძალა“, მეორე — „გააზრებული ძალა“) უწოდეს „ჰუმანიტარული ინტერვენცია“, მაგრამ ისინი გაეროს მანდატის გარეშე განხორციელდა.

* **დაიღუპა** 5700 ადამიანი, მათ შორის — 400 ბავშვი;

* **დაიჭრა** 7000-მდე მშვიდობიანი მოსახლე, მათ შორის — 2000-ზე მეტი ბავშვი;

* **უგზო-უკვლოდ დაიკარგა** 821 ადამიანი;

ნატოს მოქმედება ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკების წინააღმდეგ, რომელმაც საფუძველი დაუდო ამ სამხედრო ბლოკის თანამედროვე ოპერაციებს, ყველა საერთაშორისო ნორმისა და კანონმდებლობის უხეში დარღვევის მაგალითია. უწინარესად კი, **ნატომ დაარღვია ვაშინგტონის ხელშეკრულების, ანუ თავისი წესდების პირველი პუნქტი, რომლის თანახმად, ალიანსის წევრმა-სახელმწიფოებმა „ყველა საერთაშორისო კონფლიქტი, რომლებშიც, შესაძლოა, ჩართულნი აღმოჩნდნენ, მშვიდობიანი ხერხებით უნდა გადაწყვიტონ ისე, რომ საფრთხე არ შეუქმნან მშვიდობას, უსაფრთხოებასა და სამართლიანობას მსოფლიოში. მან თავი უნდა შეიკავოს ძალის გამოყენებისგან იმ შემთხვევაში, თუკი ეს შეუთავსებელია გაეროს მიზნებთან“. ნატომ, აგრეთვე, დაარღვია თავისი წესდების მე-6 პუნქტი, რომელშიც ნათქვამია, რომ ნატოს კომპეტენცია შემოიფარგლება თავისი წევრი-ქვეყნების ტერიტორიებით.** იუგოსლავია, მაკედონია, ალბანეთი და ბოსნია კი ნატოს წევრები არ იყვნენ. ნატო კი უხეშად ჩაერია ამ ქვეყნების საშინაო საქმეებში. ნატომ და აშშ-მა ფეხქვეშ გათელეს გაერო, კოლექტიური უსაფრთხოების სისტემა და სახელმწიფოების სუვერენიტეტი. იუგოსლავიის წინააღმდეგ ნატომ გამოიყენა იარაღი, რომელიც აკრძალულია ნიურნბერგის ქარტიით, აგრეთვე, ჰააგისა და ჟენევის კონვენციებით. იუგოსლავიაში ნატო იყენებდა ურანის დაბალი შემცველობის ბომბებს, რომლებიც არა მხოლოდ მაღალი სიზუსტით გამოირჩევა, არამედ რადიოაქტიურიც არის და ტოქსიკურიც. გარდა ამისა, ნატომ გამოიყენა ე.წ. კასეტური ბომბები — იარაღი ფეთქებადი ყუმბარებით, რომელთა გამოყენებაც მოგვიანებით ოტავის კონვენციით აიკრძალა.

### 2. ომი ავღანეთში

აშშ-მა ავღანეთში ინტერვენცია კონტრტერორისტული სამხედრო ოპერაციის („შეუმუსრავი თავისუფლების“) ჩარჩოებში დაიწყო. ეს იყო პასუხი 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტზე. 2001 წლის 7 ოქტომბერს აშშ-მა და მისმა ნატოელმა მოკავშირეებმა „თალიბანის“ პოზიციებზე პირველი საავიაციო შეტევა განახორციელეს, გარდა ამისა, ამერიკული და ბრიტანული ხომალდებიდან გაშვებული იქნა 500-მდე ფრთოსანი რაკეტა. ავღანეთში მშვიდობის ხელშეწყობის საერთაშორისო ძალები (ISAF) დღემდე მოქმედებენ. ავღანეთის ომი აშშ-ის ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი ომია.

* **დაიღუპა** 35 ათასი ადამიანი;

* **ლტოლვილად იქცა** — 500 ათასი;

* გამწვავდა ეთნოსთა შორის კონფლიქტები, მოიმატა ტერორისტული აქტების რაოდენობამ და ნარკოტრაფიკმა.

### 3. ერაყელთა გენოციდი

2003 წელს ერაყში ამერიკელების შეჭრის საბაბი იყო ის, რომ თურმე ამ ქვეყანას მასობრივი განადგურების იარაღი ჰქონდა, კერძოდ, ბაქტერიოლოგიური (ციმბირის წყლული). დამატებითი მიზეზი კი იყო „დემოკრატიისთვის ბრძოლა“. ერაყის „დემოკრატიზაციას“ მილიონი მშვიდობიანი ერაყელის სიცოცხლე შეეწირა. „დიქტატორი“ **სადამ ჰუსეინი** საჯაროდ დასაჯეს, მაგრამ მასობრივი განადგურების იარაღს ვერსად მიაკვლიეს. მოგვიანებით, 2004 წელს აშშ-ის იმჟამინდელმა სახელმწიფო მდივანმა **კოლინ პაუელმა** აღიარა, რომ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მიერ მოპოვებული მონაცემები, რომელთა გამოც დაიწყო სისხლისმღვრელი ომი ერაყში, „არაზუსტი“ იყო(?!).

ერაყის სამხედრო კომპანიაში ალიანსმა რამდენიმე დანაშაული ჩაიდინა: მსოფლიო შეძრა აბუ-გრეიბის ციხეში მოთავსებული ტყვეების წამებისა და შეურაცხყოფის კადრებმა; ინფორმაციამ მშვიდობიანი მოსახლეობის აწიოკების — გაუპატიურების, ძარცვისა და მკვლელობის და, რა თქმა უნდა, საშინელი ქიმიური იარაღის — ფოსფორიანი ბომბების გამოყენების შესახებ (2003 წელს იმამ ნასირის შტურმისას, აგრეთვე, 2004 წელს ალ-ფალუჯის აღებისას). ეს იარაღი, რომელიც ძვლამდე წვავს ხორცს, 1980 წლის გაეროს კონვენციით აკრძალულია, თუმცა აშშ ამ კონვენციას არ შეუერთდა.

* ერაყის ომში მილიონზე მეტი ერაყელი დაიღუპა (ეს თანამედროვეობის ისტორიაში ყველაზე დიდი მსხვერპლია), მათი 25 პროცენტი ქალი და ბავშვია.

### 4. აკრძალული იარაღის გამოყენება ლიბიაში

არეულობებსა და სამოქალაქო ომის დაწყების შემდეგ, 2011 წლის 19 მარტს, ლიბია საფრანგეთის, ბრიტანეთისა და აშშ-ის ავიაციამ დაბომბა, სამხედრო ოპერაცია კი ნატომ განაგრძო.

* **დაიღუპა** 20 ათასზე მეტი ადამიანი (სამხედრო და მშვიდობიანი მცხოვრები);

* **ლტოლვილად იქცა** — 350 ათასი.

არადა, 2011 წლის აგვისტოში ნატოს იმჟამინდელი ხელმძღვანელი, **ანდერს ფოგ რასმუსენი,** ყველას არწმუნებდა, რომ ნატოს ავიაციის დაბომბვით მშვიდობიანი მოქალაქეები არ დაზარალდებოდნენ.

არსებობს მონაცემები (რომლებსაც ნატოს ხელმძღვანელობა ჯიუტად უარყოფს), რომ ლიბიის კონფლიქტში ნატომ კასეტური და ფოსფორიანი ბომბები გამოიყენა, როგორც ეს მოხდა იუგოსლავიისა და ერაყის სამხედრო ოპერაციების მიმდინარეობისას. გარდა ამისა, ნატოელებმა ერაყში გამოიყენეს იპრიტი, ჯერ კიდევ პირველ მსოფლიო ომში აპრობირებელი მომწამვლელი ნივთიერება, რომელიც სხვადასხვა კონვენციით არის აკრძალული. სხვათა შორის, ჩრდილოატლანტიკური ალიანსი, თავისი სამხედრო დოქტრინით, უფლებას იტოვებს, გამოიყენოს ატომური იარაღი, რომელიც 1996 წელს საერთაშორისო სასამართლოს მიერ არის აკრძალული.

## მშვიდობიანი მოსახლეობის განადგურება სირიაში

Routers-ის მიერ ახლახან გავრცელებული ცნობით, 2014 წლიდან დღემდე სირიის საომარ კამპანიაში საერთაშორისო კოალიციის დარტყმების შედეგად, რომელსაც აშშ უდგას სათავეში, დაიღუპა **801 მშვიდობიანი მცხოვრები.** ორგანიზაცია Airwars-ის ინფორმაციის თანახმად კი, კოალიციის ავიადარტყმების შედეგად დაღუპულია, სულ ცოტა, 5961 მშვიდობიანი მცხოვრები.

**მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**

**არეულობებისა და სამოქალაქო ომის დაწყების შემდეგ, 2011 წლის 19 მარტს, ლიბია საფრანგეთის, ბრიტანეთისა და აშშ-ის ავიაციამ დაბომბა, სამხედრო ოპერაცია კი ნატომ განაგრძო. დაიღუპა 20 ათასზე მეტი ადამიანი (სამხედრო და მშვიდობიანი მცხოვრები); ლტოლვილად იქცა — 350 ათასი. არადა, 2011 წლის აგვისტოში ნატოს იმჟამინდელი ხელმძღვანელი ანდერს ფოგ რასმუსენი ყველას არწმუნებდა, რომ ნატოს ავიაციის დაბომბვით მშვიდობიანი მოქალაქეები არ დაზარალდებოდნენ**

წყევლაკრულვიანი საკითხავი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მაშ, რატომ ვხუჭავთ თვალს უზნეობის დაკანონებაზე? რატომ წინ არ აღვუდგებით უფლისგან დადგენილი ჭეშმარიტების შეცვლის მცდელობას, მოზარდების ფსიქიკის დამახინჯებას, რომლის სავალალო შედეგების მომკა უკვე დავიწყეთ? ნუთუ კიდევ ბევრი ოჯახი უნდა გამწარდეს, რომ გამოვფხიზლდეთ?**

# «კაცმა ახალი ტალახი ძველ ვარდს არ უნდა ამჯობინოს მარტო იმიტომ, რომ ტალახი ახალია და ვარდი კი — ძველი»



**ილიას გზით მივდივართო... ილიამ კი — „არა საქმეში უზნეობა არ გაურიოთო", დაგავიწყდათ? დაგავიწყდათ, რომ „ადამიანთა ურთიერთობა შეუძლებელია დააფუძნო უზნეობის საწყისებზე და საქმე, რომელიც ზნეობრივი პრინციპების დარღვევიდან გამომდინარეობს, არავის გამოადგება"? რომ „ქვეყნის სამსახური ყველგან მსხვერპლია და არა სეირი"? რომ „ლობე-ყორეს მოდება ღალატია საქმისა"?**

**მაშ, რატომ ვხუჭავთ თვალს უზნეობის დაკანონებაზე? რატომ წინ არ აღვუდგებით უფლისგან დადგენილი ჭეშმარიტების შეცვლის მცდელობას, მოზარდების ფსიქიკის დამახინჯებას, რომლის სავალალო შედეგების მომკა უკვე დავიწყეთ? ნუთუ კიდევ ბევრი ოჯახი უნდა გამწარდეს, რომ გამოვფხიზლდეთ?**

**აი დღევანდელობის წყევლაკრულვიანი საკითხავი.**

კაცობრიობამ XXI საუკუნეში არაერთი პროგრესულად მნიშვნელოვანი მონაპოვრით შეაბიჯა, ისეთით, ადრე ზღაპრულად რომ ეჩვენებოდა. თანდათან ბევრი ძველი ახალმა და უკეთესმა ჩაანაცვლა, მაგრამ ადამიანებს, ცალკეულ ხალხებსა და ერებს წინაპრებისგან მემკვიდრეობად ერგოთ ისეთი ფასეულობები, რომელთა მიმართ პატივისცემასა და მოწიწებას ყველა ნორმალურ ერში თაობები არასდროს წყვეტენ. აბა, წარმოიდგინეთ, რა იქნებოდა, ჩვენს წინაპრებს რომ ეფიქრათ, — ძველია, აღარ გვჭირდებაო, და მთელი ის ეროვნული საგანძური, რომელიც საქართველოს ყველა კუთხეში მიმოფანტულ მუზეუმებშია სათუთად შენახული, გაენიავებინათ, გაეყიდათ ან სულაც გაეჩუქებინათ; ხოლო „შუშანიკის წამება" ან თუნდაც „ვეფხისტყაოსანი" ცეცხლისთვის შეეკეთებინათ, საუკუნეების შემდეგ რა დროს სარწმუნოებისთვის მარტვილობაა ან ტყე-ღრეში ხეტიალი და ვეფხვის გატყავებაო... საუბედუროდ, დღეს ჩვენ შორის მომრავლდნენ ადამიანები, რომელთათვის არანაირ ფასეულობას არ წარმოადგენს სკოლაში ჩვენი შვილებისთვის თუნდაც „ვეფხისტყაოსნის" სტროფების ან ქართული პოეზიის საუკეთესო ნიმუშების ზეპირად დასწავლა. განათლების მინისტრიც კი გვყავდა ასე მოფიქრალი. სამწუხაროდ, დღეს საქართველოში სკოლა აღარ არის ზოგადსაგანმანათლებლო, მისი ფუნქცია არ არის ეროვნულ ტრადიციებზე დაყრდნობით განათლებული თაობის აღზრდა, არადა, ადამიანს, ბუნებრივია, ჯერ თავისი უნდა უყვარდეს და მერე სხვას სცემდეს პატივს. წმინდა ილია მართალიც ამას აღნიშნავს, — ადამიანის გული ფიცარი არ არის, რომ ერთი წაშალო და მის მაგიერ სხვა რამ დაწეროო: **„რა საკვირველია, რომ მე ჩემი უფრო მიყვარდეს, ჩემსას უფრო შევხაროდე, ჩემი უფრო მიამებოდეს და ჩემსას უფრო ხელს ვუწყობდე. გული ადამიანისა ფიცარი ხომ არ არის, რომ ერთი წაშალო და მის მაგიერ სხვა რამ დასწერო. გრძნობა თავისიანის სიყვარულისა ისეთივე ძლიერია, ისეთივე მკვიდრია, ისეთივე ბუნებრივია, მაშასადამე, ისეთივე სამართლიანი და პატივსაცემი, როგორც სიყვარული მამა-შვილური, დედაშვილური. ვერა ძალი მაგ სიყვარულს ვერ ამოჰკვეთს ადამიანის გულიდამ! ყოველივე იარაღი მის წინაშე უქმია!"**

ვერც ერთმა ურჯულომ საუკუნეების განმავლობაში ვერ ამოჰკვეთა ქართველთა გულიდან სამშობლოს, ყოველივე ქართულის სიყვარული და აქამდე ასე მოვედით. დღევანდელი მტერი კი გაცილებით ვერაგია — ცდილობს, ტრადიციული, ძველი ფასეულობების სანაცვლოდ „მაცდუნებლად შეფუთული" ისეთი რამ შემოგვთავაზოს, რაც ერს გადააგვარებს. ნათქვამია: „მტერი, მოყვრულად მოსული, მტერზედაც უარესიაო", ამიტომ ყური ვუგდოთ ერის მამის შეგონებას: **„არაფერი ქვეყანაზე არც იმით დაიწუნება, რომ ძველია, არც იმით მოიწონება, რომ ახალია. ამ სადა ჭეშმარიტებას დიდი ლარი და ხაზი არ უნდა, არც მეტისმეტი გონების გახსნილობა, რომ კაცმა ახალი ტალახი ძველს ვარდს არ ამჯობინოს მარტო იმის გამო, რომ ტალახი ახალია და ვარდი კი — ძველი".**

„ახალი ტალახი ძველს ვარდს არ ამჯობინოსო", გესმის, მკითხველო? ჰაი, ჰაი, რომ ყველგან და ყველაფერში ტალახი იმდენი დაგვიგროვდა, ლამისაა ყელამდე ჩავეფლოთ. ქვეყანაში, სადაც უამრავი პრობლემაა გადასაჭრელი ადამიანთა დასაქმების, სიდუხჭირის აღმოფხვრის, მიგრაციის შემცირებისა და უდედოდ გაზრდილი შვილების, კატასტროფული დემოგრაფიული მდგომარეობის, სახალხო მეურნეობის განვითარების კუთხით, აქცენტი კეთდება ერთნაირსქესიანთა ქორწინების მოწონებაზე, გეიაღლუმების ჩატარებაზე, ლგბტ-თა უფლებების დაცვაზე, მარიხუანისა და საერთოდ, ნარკოტიკების მოხმარების ლეგალიზების მხარდაჭერაზე...

ასე და ამგვარად „ფეხი ავუწყვეთ" ახალ ცხოვრებას, ევროპულს თუ ამერიკულს, რაც ასე მოდურია დღევანდელ დღეს...

ნუთუ ავისა და კარგის გარჩევის უნარი დავკარგეთ?

**„საქმისა თუ აზრის ავკარგიანობის გარჩევა მარტო ძველახლობითა, ღირსების აწონ-დაწონვა მარტო იმით, რომ ეს გუშინდელია და ეს დღევანდელი, ჭეშმარიტების უარყოფა მარტო იმით, რომ ძველია და ტყუილის ჭეშმარიტებად გადაყვანა მარტო იმით, რომ ახალია, რაც გნებავთ ბრძანეთ და, სასაცილოზედ მეტია. აგეთი სასწორი, აგეთი არჩევა კარგისა და ავისა, მართლისა და ტყუილისა მარტო იმის მომავლინებელია, რომ კაცს არც კარგი ესმის, არც ავი, არც მართალი უცვნია, არც ტყუილი და ამაოდა ჰფქვავს მინდმოკიდებულ წისქვილსავით".**

დიახ, ვერცხლს დახარბებულ ადამიანებს თვალზე ლიბრი აქვთ გადაკრული და გონება დაბინდული, ისე, რომ ავი და კარგი ერთმანეთისგან ვერ გაურჩევიათ და ფქვავენ „მინდმოკიდებული წისქვილივით", ფქვავენ იმას, რასაც „პატრონები" უბრძანებენ, რათა ამის სანაცვლოდ აიწყონ ცხოვრება: დააგროვონ სიმდიდრე და ფუფუნებითა და განცხრომით ისიამოვნონ.

მაგრამ **„რა არის სიმდიდრე? სიმდიდრე კარგი რამეა... მე მის საწინააღმდეგოდ რა მეთქმის,** — ამბობს ერის მამა, — **მაგრამ ის მაინც არ არის საჭირო პირობა ბედნიერებისა. უიმისოდ ბედნიერება კარგადა გრძნობს თავს და იგრძნობს კიდევ, თუკი ჩვენ ვიქნებით ისეთი ადამიანები, რომლებიც უპირველესად ზნეობრივი მხარის დაკმაყოფილებას ესწრაფვიან".**

რა თავში იხლი ისეთ სიმდიდრეს, რომელსაც შენი მომავალი თაობის გადაგვარების ხარჯზე დააგროვებ?!

**„რაც კაცს უფრო საკეთილოდ მიაჩნია, უფრო საუმჯობესოდ, უფრო სამართლიანად, მას უნდა მთელის თვისის მხნეობით და ღონით შეეწიოს იმისდა მიუხედავად, ეწყინება ვისმე თუ არა. იქ წყენა რას მიქვიან, სადა ჩემი რწმენა, ჩემი ადამიანობა მიწვევს სამოქმედოდ და ქვეყნის საკეთილდღეოდ. იქ მამულიშვილობის ვალიითხოვს, რომ არაფერს მოვერიდო და ცხარედ ჩავკიდო ხელი მას, რაც ჩემმა კაცობამ, ჩემმა რწმენამ, ჩემმა სინდისმა წინ დამისვა ნიშნად. ამას ითხოვს მოქალაქეობრივი გულადობა, ვაჟკაცობა და ქველობა".**

და კიდევ: **„თუ ადამიანს თავისი ვინაობა არარად მიაჩნია, მაშინ იმ ადამიანში ადამიანური რაღაა? დრო გამოიცვლება, დრო მოვა, როცა თავისის ვინაობიდან გადამდგარი კაცი ყველასაგან შერისხული იქნება, როგორც ულირსი, თითონ იმათგანაც კი, ვინც ახლა სიხარულით ამისთანა კაცს შეიკედლებს ხოლმე და ულოლოებს. დრო მოვა, როცა ყველასათვის ცხადი იქნება, როგორც ორჯერ-ორი, რომ თუ კაცი თავისას გაუდგა, სხვისას ვერ უერთგულებს. ეს ჭეშმარიტება დღეს ცოტამ იცის და ხვალე ბევრს ეცოდინება, და მაშინ ვაი თავის ვინაობაზედ გულაცრუებულს, გულგრილს და ხელაღებულს!"**

სამი ძვირფასი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოებაო, — ბრძანებდა დიდი ილია და ამ საუნჯის გაფრთხილება და დაცვა განსაკუთრებით აქტუალურად მიაჩნდა. ესაა ილიას გზა, ბატონო ხელისუფალნო, ეროვნული, ზნეობრივი და მართალი გზა. **„ყოვლად საკადრისი საქციელი გონებაგახსნილისა და მართლა განათლებულის კაცისა სწორედ ეს გზაა და სხვა არარა".**

ვედრებად გაისმის დღესაც დიდი ილიას მოწოდება, რომლითაც არა მხოლოდ დედებს (განსაკუთრებით იმათ, რომელთაც შვილის ჯანმრთელობაზე უფრო ის ადარდებთ, ნარკოტიკების მოხმარების გამო ციხეში არ ჩაუსვან თავიანთი „ნებიერა"), არამედ ოჯახს, სკოლას, თითოეულ პედაგოგს მივმართავთ და შევახსენებთ, რომ მისი **„მაღალი დანიშნულება და საღმრთო ვალია"** :

**„აღზარდე შვილი,**
**მიეც ძალა სულს,**
**საზრდოდ ხმარობდე**
**ქრისტესა მცნებას,**
**შთააგონებდე კაცთა**
**სიყვარულს,**
**ძმობას, ერთობას,**
**თავისუფლებას.**
**რომ სიკეთისთვის**
**გული უთრთოდეს**
**და მომავლისთვის**
**ბედთანა ბრძოდეს...**
**მენდე, მიიღებს ნერგს,**
**შენგან დარგულს,**
**და მოგვცემს ნაყოფს,**
**ვით კაცი კაცურს.**
**დედავ! ისმინე**
**ქართვლის ვედრება:**
**ისე აღზარდე შენ**
**შვილის სული,**
**რომ წინ გაუძღვეს**
**ჭეშმარიტება,**
**უკან ჰრჩეს კვალი**
**განათლებული".**

მხოლოდ მაშინ ექნება მომავალი ჩვენს ხალხს.

## «დრო მოვა, როცა ყველასათვის ცხადი იქნება, როგორც ორჯერ-ორი, რომ თუ კაცი თავისას გაუდგა, სხვისას ვერ უერთგულებს. ეს ჭეშმარიტება დღეს ცოტამ იცის და ხვალე ბევრს ეცოდინება, და მაშინ ვაი თავის ვინაობაზედ გულაცრუებულს, გულგრილს და ხელაღებულს!»

## «საქმისა თუ აზრის ავკარგიანობის გარჩევა მარტო ძველახლობითა, ღირსების აწონ-დაწონვა მარტო იმით, რომ ეს გუშინდელია და ეს დღევანდელი, ჭეშმარიტების უარყოფა მარტო იმით, რომ ძველია და ტყუილის ჭეშმარიტებად გადაყვანა მარტო იმით, რომ ახალია, რაც გნებავთ ბრძანეთ და, სასაცილოზედ მეტია. აგეთი სასწორი, აგეთი არჩევა კარგისა და ავისა, მართლისა და ტყუილისა მარტო იმის მომავლინებელია, რომ კაცს არც კარგი ესმის, არც ავი»

რუბრიკას უძღვება **დარეჯან ანდრიაძე**

ისტორიანი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ფოხალის კოშკში გამჭოლ კიბეს შევყავდით. ამ კიბით ავედით. შემდეგ განვვლეთ რამდენიმე მიწისქვეშა სართული და ბოლოს ნახევრადწყვდიადში აღმოვჩნდით. ერთმანეთის გარჩევა მხოლოდ კარგა ხნის გასვლის შემდეგ შევძელით. ჩვენს შორის იმყოფებოდნენ, აგრეთვე, გიორგი ორბელიანი, თამარი, სალომე და ალექსანდრე ჭავჭავაძე. რამდენიმე საათის შემდეგ მობრძანდა კნეინა ჭავჭავაძე, მაგრამ, ღმერთო ჩემო, სულიერად და ფიზიკურად რა განადგურებული გამოიყურებოდა! ქალბატონს განსაკუთრებით უკლავდა გულს საყვარელი ლიდიას გაურკვეველი ხვედრი. საბედნიეროდ, ტყვეობის დასასრულამდე არაფერი ვიცოდით ამ პაწაწინას ბედის შესახებ.**

# «ქართლის ჭირსა ვერვინ მოსთვლის...»

**XVIII საუკუნეში აშკარა განადგურებით დაემუქრა კახეთის მოსახლეობას. ლეკები უდიდეს საფრთხეს უქმნიდნენ გარეშე მტრების მიერ ისედაც აწიოკებულ ქვეყანას. შამილის მარბიელი რაზმის მსხვერპლი აღმოჩნდა თავადის — დავით ჭავჭავაძის ოჯახი, რომელმაც დაღესტანში ტყვეობის უმძიმესი თვეები გამოიარა. ეს საშინელი ამბავია მოთხრობილი ანა დრანსეს წიგნში „შამილის ტყვე ქალები“.**




**დასასრული. დასაწყისი №42-45, 2017წ.**

## ფოხალის კოშკი

მალე ფოხალის კოშკის შეღმართებს შევუდექით. ბილიკი, რომელსაც მივუყვებოდით, თავისი უთავბოლო მისახვევ-მოსახვევით არაფრით ჩამოუვარდებოდა არიადნას ძაფს. აღმართმა ხუთ საათს შეგვიყოლია. ახლა მხოლოდ კნეინა მოდიოდა ცხენზე მჯდარი. მართალია, ივანემ მეც შემომთავაზა, ცხენზე დავმჯდარიყავი, მაგრამ ჩვენი გზა ისეთ სახიფათო ადგილებზე გადიოდა, ფეხით სიარული ვარჩიე.

როცა საკმაოდ მაღლა ავაღწიეთ, დავინახეთ ფოხალის კოშკი. იგი აღმართულია ფრიალო კლდეზე, თავბრუდამხვევი უფსკრულის პირას. თითქმის ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვხვდებოდა კამეჩების, ხარების და ცხენების ნახირი, დატვირთული მდიდრული ნადავლით. შამილის კარვები მიმობნეული იყო კოშკის ძირას. ამ ადგილებში ვხედავდით მწყემსებს, რომლებიც ყვიროდნენ და კლდიდან კლდეზე თხებივით დახტოდნენ, არაფრით რომ არ ჩამოუვარდებოდნენ მათ სამკვირცხლეში. ისინი გვაცქერდებოდნენ გაუმაძღარი ცნობისმოყვარეობით: ჩვენმა გამოჩენამ ეს მივარდნილი ადგილი გამოაცოცხლა.

რაც უფრო მაღლა მივიწევდით, მით უფრო მდიდარი ხდებოდა მცენარეული საფარი. ნისლი თანდათანობით სქელდებოდა და მთათა წვეროკინები იფარებოდა მასიური ღრუბლებით, რომელთა ალაგ-ალაგ გაცრეცილ, თხელ მარმაშში მკრთალად მოჩანდა სხვა მთათა თოვლიანი სიმაღლეები. გზა იმდენად ძნელი სავალი იყო, იძულებული ვიყავით, ხშირად შეგვესვენა. უკანასკნელი შესვენებისას მინდოდა რითიმე მადლობა გადამეხადა ივანესათვის იმ სამსახურის გამო, რაც მე და კნეინას გაგვიწია. გამახსენდა, რომ ჯერ კიდევ მქონდა შერჩენილი საყურეები, რომლებიც ჰაჯი-ქერიმის ხარბი მზერისაგან დაფარული იყო სწორედ იმ ჩვრით, რომელიც მან თავზე მოსახვევად მესროლა. საყურეები სიამოვნებით მივეცი ივანეს. იგი კმაყოფილი დარჩა საჩუქრით და, რამდენადაც შეეძლო, განაგრძობდა ჩვენზე მზრუნველობას.

**კოშკს მიახლოებულებმა დავინახეთ ათი ათას კაცზე მეტი. ისინი იდგნენ ორ წყებად. ჩვენ მათ შორის უნდა გაგვევლო. მთელი ეს ხალხი თითქმის შიშველ-ტიტველი იყო. ჩვენ მათი განსაკუთრებული გაოცებისა და ცნობისმოყვარეობის საგნად გადავიქეცით: საკუთარი სახლის კედლებს მიღმა უჩადროდ გამოსული ქალები არასოდეს ენახათ, და ახლა ირგვლივ ირეოდნენ, რათა ჩვენი სახეები დაენახათ. ყველაფერი, რაც კი აქ გზადაგზა გვხვდებოდა, გვაოცებდა თავისი ველურობით. აქა-იქ შამფურის მაგივრად გრძელ მარგილებზე ხარები წამოეგოთ და კოცონებზე წვავდნენ, იქვე სისხლიანი ტყავები გამოჰყავდათ. როდესაც ცნობისმოყვარენი გზას მეტისმეტად მჭიდროდ გვილობავდნენ, მაშინ მათ, როგორც ძაღლებს, მათრახის ცემით ერეკებოდნენ.**

ამ აღვირახსნილ ურდოთა შორის წყვილ-წყვილად მივდიოდით. მათ რიგებში იმყოფებოდა რამდენიმე ნაიბი. ისინი სხვა მთიელთაგან მედლებით გამოირჩეოდნენ. ჩვენ გველოდებოდა ხაჯი, შამილის მოურავი, მისი ერთ-ერთი უერთგულესი მიურიდი. ძლიერ გამიკვირდა, როცა შევნიშნე, რომ ჩვენს შემხედვარეს თვალები ცრემლით აევსო.

ფოხალის კოშკში გამჭოლ კიბეს შევყავდით. ამ კიბით ავედით. შემდეგ განვვლეთ რამდენიმე მიწისქვეშა სართული და ბოლოს ნახევრადწყვდიადში აღმოვჩნდით. ერთმანეთის გარჩევა მხოლოდ კარგა ხნის გასვლის შემდეგ შევძელით. ჩვენს შორის იმყოფებოდნენ, აგრეთვე, გიორგი ორბელიანი, თამარი, სალომე და ალექსანდრე ჭავჭავაძე. რამდენიმე საათის შემდეგ მობრძანდა კნეინა ჭავჭავაძე, მაგრამ, ღმერთო ჩემო, სულიერად და ფიზიკურად რა განადგურებული გამოიყურებოდა! ქალბატონს განსაკუთრებით უკლავდა გულს საყვარელი ლიდიას გაურკვეველი ხვედრი. საბედნიეროდ, ტყვეობის დასასრულამდე არაფერი ვიცოდით ამ პაწაწინას ბედის შესახებ, და ეს ცოტათი მაინც გვაიმედებდა, რომ ბალღი გადარჩებოდა. ჩვენ შორის იმყოფებოდა პატარა ევა, სწორედ ის უბედური ბავშვი, ვისი დედაც მთიელებმა მკვდრად ჩათვალეს და მიატოვეს. კნეინა ჭავჭავაძემ მას ძუძუ აწოვა და ამას მანამ აკეთებდა, სანამ ამის შესაძლებლობა ჰქონდა.

**ამ ალვირახსნილ ურდოთა შორის წყვილ-წყვილად მივდიოდით. მათ რიგებში იმყოფებოდა რამდენიმე ნაიბი. ისინი სხვა მთიელთაგან მედლებით გამოირჩეოდნენ. ჩვენ გველოდებოდა ხაჯი, შამილის მოურავი, მისი ერთ-ერთი უერთგულესი მიურიდი. ძლიერ გამიკვირდა, როცა შევნიშნე, რომ ჩვენს შემხედვარეს თვალები ცრემლით აევსო**


ილიკო ორბელიანი

ცოტ-ცოტაობით ერთად მოვიყარეთ თავი, რაც ჩვენთვის, ჭეშმარიტად, სასიხარულო იყო. ჩვენი ჯგუფიდან გამუდმებით აღავლენდნენ ღვთის სამხვეწრო ლოცვას. მალე ამ მიწისქვეშეთში ჰაჯი-ქერიმი შემოვიდა და კნეინა ჭავჭავაძეს მიმართა:

— გინდა, შამილთან მიგიყვანო?

— მე მას არ ვეახლები, თვითონვე შეუძლია აქ მობრძანდეს.

— მაგრამ მას სურს, თავისთან მოგელაპარაკოს.

— ნუ წახვალთ, კნეინა, ეს კაცი ტყუის, — ვთქვი მე.

— ყოველ შემთხვევაში, თუ მაინცდამაინც წახვალ, — დაუმატა კნეინა ორბელიანმა, — თან წაიყოლიე რამდენიმე ქალი.

## თავადი ილიკო ორბელიანი

კნეინა ჭავჭავაძე მტკიცე უარზე იდგა და შამილთან წასვლას არ აპირებდა. ამასობაში კნეინა ორბელიანისა და მისი ვაჟიშვილის სანახავად მოვიდნენ ნაიბები. ორბელიანთა გვარი მათთვის კარგად იყო ცნობილი, განსაკუთრებით კნეინას მეუღლის მამაცობის შემდგომ. რამდენიმე წლის წინათ თავადი **ილიკო ორბელიანი** შამილის ტყვეობაში იმყოფებოდა (ილიკო ორბელიანის შამილთან ტყვეობის ამბავს შემდეგ ნომერში შემოგთავაზებთ). როცა ვედენოში მიიყვანეს, იმამმა განკარგულება გასცა, იგი მისთვის წარედგინათ.

— იმპერატორ ნიკოლოზს წერილი მისწერე, რათა დამიბრუნოს შვილი ჯემალ-ედდინი, — მოსთხოვა შამილმა ტყვეს. თხოვნას თუ შემისრულებენ, იმწამსვე გაგათავისუფლებ.

— ამას იმპერატორს არაფრის გულისათვის არ ვსთხოვ, — უპასუხა თავადმა. — უმჯობესია ამ იმედს გამოემშვიდობო. მე არ შემიძლია მისი განხორციელება.

შამილს არაფერი უპასუხია. გავიდა ექვსი თვე. თავადი ურყევად იდგა თავის გადაწყვეტილებაზე. ჩააგდეს ხაროში. ამ სახის ორმოები ითხრება ვიწროდ და მისჯილნი მასში კიბით ჩადიან. სურსათ-სანოვაგის მიწოდება ხდება სამოთხ დღეში ერთხელ. ჰაერი ხაროში იმ ხვრელიდან აღწევს, საიდანაც მისჯილი ჩადის. ეს ორმოში მსხდომთა ნელ და მტანჯველ სიკვდილს იწვევს.

შამილი დაჟინებით სთხოვდა თავადს, მისი წადილი შეესრულებინა, მაგრამ — ამაოდ. საბოლოოდ იმამს ამბავი მიუტანეს: ტყვე უკიდურესად არის დაუძლურებულიო. მაშინ შამილმა ბრძანა, იგი ორმოდან ამოეყვანათ. სუფთა ჰაერზე ამოყვანილი თავადი ძლივსღა სუნთქავდა. იმამმა ერთ-ერთ უერთგულეს მსახურს დაავალა, ყველაფერი ეღონა თავადის დასაყოლიებლად, მაგრამ ვერც მან მოახერხა რაიმე. ამან შამილი წარმოუდგენლად გააღიზიანა, ბრძანა, თავადი მასთან სასახლეში მიეყვანათ. თვითონ სერალის ერთ-ერთ ოთახში დაიმალა, საიდანაც ტყვის თვალთვალი ადვილად მოსახერხებელი იყო. ამის შემდგომ თავადს მიუახლოვდა ნაიბი შეიარაღებული ხალხის თანხლებით:

— ილიკო ორბელიანო! — უთხრა იმან, — შენ მალე უნდა დატოვო ამქვეყნიური ცხოვრება, მაგრამ შამილი პატივს სცემს შენს მამაცობას და ამიტომაც ნება დაგრთო, აირჩიო სიკვდილის საშუალება. ნება შენია — როგორი სიკვდილი გირჩევნია?

— ყველაზე სწრაფი, — უპასუხა თავადმა.

შეაყენეს ჩახმახები, ზოგიერთმა თოფი კიდეც დაუმიზნა და მხოლოდ ბრძანებასღა ელოდებოდნენ. ამ დროს გამოვიდა შამილი.

— ილიკო ორბელიანო, — უთხრა მან და ხელი გაუწოდა, — უშიშარი ყოფილხარ. ამის გამო არ შემიძლია პატივი არ გცე. ფარულად თვალს ვადევნებდი შენს გამომშვიდობებას სიცოცხლესთან. წარბიც არ შეგიხრია, არც ერთი მოძრაობით სიმხდალე არ გამოგიმჟღავნებია, არ შემდრკალხარ. დღეიდან ჩემს პირობით ტყვედ გთვლი, ვენდობი შენს ვაჟკაცობას.

დაიწყეს მოლაპარაკება თავადის გადასაცვლელად იმ ტყვე მთიელებზე, რომლებსაც შამილი, აგრეთვე, დიდად აფასებდა. **თავად ილიკოს ტყვეობა 9 თვეს გაგრძელდა და მისმა გამგზავრებამ გულწრფელად დაამწუხრა ყველა ნაიბი. შამილიც იზიარებდა მათ გრძნობებს, რისი საუკეთესო დამამტკიცებელი საბუთი ის გახლდათ, რომ კნეინა ორბელიანსა და მის ვაჟს უდიდეს პატივს სცემდა.**

**ამგვარად, თავადი ილიკოს მარტო სახელის ხსენებაც კი მფარველობას გვიწევდა. გვეწვივნენ შამილის არმიის უმთავრესი სარდლები, გარს შემოერტყნენ კნეინა ორბელიანს.**

— კნეინა! შენი ქმარი კარგი ვაჟკაცია, — ეუბნებოდა ერთი იმათგანი.

— კნეინა, სადაა თქვენი შვილი? გვაჩვენე! — სთხოვდა მეორე და სიამოვნებით სინჯავდნენ მშვენიერ გიორგის. მრავალი მთიელი ცდილობდა, დაერწმუნებინა კნეინა ორბელიანი, რომ მისი ქმარი არ მომკვდარა, რომ იგი თურქებმა ტყვედ იგდეს ხელთ და გარკვეული დროის შემდეგ დააბრუნებდნენ. ეს გაუთავებელი მისვლა-მოსვლა გულს უწყალებდა და მძიმე ტვირთად აწვა კნეინებს. იმ დროს, როცა მათ ესოდენ მწუხარე ფიქრები უფორიაქებდა გულსა და გონებას, იძულებულნი იყვნენ, მოთმინებითა და თავაზით ეპასუხათ დაუსრულებელ შეკითხვებზე, რომლებიც შეეხებოდა თვითონ მათ და მათ ბავშვებს, მე. მიუხედავად ამისა, **კნეინა ორბელიანი ყველას ყურადღებითა და თავაზით, მაგრამ ღირსების სრული დაცვით ეპყრობოდა. მან არაერთხელ იკითხა, თუ რის მიღებას მოისურვებდა შამილი მისი ოჯახის საფასურად, მაგრამ ყველაზე მეტად ცდილობდა გაეგო, თუ რა პირობებს წამოაყენებდა შამილი კნეინა ჭავჭავაძისა და მისი ბავშვების გათავისუფლებისთვის.** როგორც იქნა, მოვიდა იმამის რწმუნებული და შემდეგი გამოგვიცხადა: იმამის სურვილია, იმპერატორმა ნიკოლოზმა დაუბრუნოს მას შვილი და თავადმა ჭავჭავაძემ გადაუხადოს უშველებელი თანხა — თავისუფლებას მხოლოდ ამის შემდეგ მივაღწევდით.

**თავადი ილიკოს მარტო სახელის ხსენებაც კი მფარველობას გვიწევდა. გვეწვივნენ შამილის არმიის უმთავრესი სარდლები, გარს შემოერტყნენ კნეინა ორბელიანს. — კნეინა! შენი ქმარი კარგი ვაჟკაცია, — ეუბნებოდა ერთი იმათგანი**

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ვარსებობთ უძრავი ქონებიდან შემოსული დივიდენდებით. კოსტიუმების და რეკვიზიტის გაქირავებით. ვცდილობთ, პაწაწინა პროექტების განხორციელება მაინც შევძლოთ „ქართული ფილმის" შენობა-ნაგებობებში ფართობისა და პავილიონების გაქირავებით შემოსული თანხებით. ამ თანხის ძირითადი ნაწილი ხმარდება კინოსტუდიის კეთილდღეობას, დარჩენილი მცირედი თანხა კი მიდის ხელფასებში".

# ხათუნა ხუნდაძე: «ქართულ ფილმს» სახელმწიფოსგან კომუნისტური წყობის მერე არც ერთი თეთრი არ მიუღია

**რა ხდება დღეს „ქართულ ფილმში"? რატომ არ ინტერესდება ხელისუფლება „ქართული ფილმის" გამოწვევებითა და გეგმებით? რისი გაკეთება შეძლეს და როგორია კინოსტუდიის გეგმები? ამ საკითხებზე სააქციო საზოგადოება „ქართული ფილმის" დირექტორი (დირექტორთა საბჭოს წევრი) ხათუნა ხუნდაძე გვესაუბრება.**

**— რა ხდება დღეს „ქართულ ფილმში"?**

— "ქართული ფილმის" დირექტორთა საბჭოსთვის, რომლის წევრებიც გახლავთ, გიროგი ხარებავა, ერეკლე ბადურაშვილი და მე, დიდი პატივია ის, რომ ვართ შედარებით ახალგაზრდა თაობა, ვისაც გვანდეს ხელმძღვანელობა. ჩემთვის დიდი პატივია ისიც, რომ პირველად არის ქალი „ქართული კინოს" ხელმძღვანელი. მერაბ კოკოჩაშვილის სტუდენტი ვიყავი და მან მთხოვა, რომ მხარში ამოვდგომოდი. საჯარო სექტორში მუშაობის გამოცდილებაც მქონდა, რადგან ვმუშაობდი კულტურის სამინისტროში, 4 კვირა მინისტრის მოადგილეც კი გახლდით, მერე ვიყავი საერთაშორისო დეპარტამენტის ხელმძღვანელი და ამ სამწლიანი გამოცდილებითა და ჩემი უცხოური კონტაქტებით მოვხვდი ბატონ მერაბთან, როგორც ქართული კინოს განვითარების ცენტრის დირექტორის მოადგილე. ძალიან უცნაური სტრუქტურა აქვს კინოსტუდიას, ძალიან ბევრი იერარქიისგან შედგება, რაც სიმართლე გითხრათ, ძალიან გვირთულებს მუშაობას.

**— რას გულისხმობთ?**

— „ქართული ფილმი" ეკონომიკის სამინისტროს ეკუთვნის, კერძოდ, მის სსიპს — ქონების მართვის ეროვნულ სააგენტოს, რომლის ქვემდებარეც არის მათ მიერვე დაარსებული ორგანიზაცია შ.პ.ს. „ქართული კინოს განვითარების ცენტრი", რომელსაც ხელმძღვანელობს ბატონი მერაბ კოკოჩაშვილი.ამ ორგანიზაციას აკონტროლებს ჩვენი სახელოვანი რეჟისორებისგან შემდგარი 9-კაციანი ბორდი. სახელმწიფო „ქართული კინოს განვითარების ცენტრს" სამართავად აძლევს „ქართული ფილმის" აქციების 100%-ს და ცენტრი სამართავად აძლევს სააქციო საზოგადოება „ქართულ ფილმს". სააქციო საზოგადოება „ქართული ფილმი" ამ აქციებს, სამართავად აძლევს შპს „უძრავი ქონება ქართულ ფილმს" და, ფაქტობრივად, ამ ბოლო ინსტანციაზე არსებული დივიდენდითა და კოსტიუმების და რეკვიზიტის გაქირავებით უნდა იარსებოს ყველა რგოლმა. ეს არის აბსურდული სქემა და, მგონი, ეკონომიკის სამინისტროში ამ მიმართულებით საიმედო ძვრებია და ვიმედოვნებთ, რომ შეიცვლება სტრუქტურა, უფრო გამარტივდება და შევძლებთ აქტიურ მოქმედებას. იმსი გამო, რომ კინოსტუდია „ქართული ფილმი" არის არასაბიუჯეტო სახელმწიფო ორგანიზაცია, არ გვაქვს უფლება, მონაწილეობა მივიღოთ რომელიმე სახელმწიფო გრანტის მოპოვებაში, ან ტენდერში, რადგან გრანტები კერძო სექტორის ხელშესაწყობადაა და ჩვენ კერძოდ არ მოვიაზრებით, მიუხედავად ყველაფრისა.

სამწუხაროდ, არც ეგრეთ წოდებული "ტაქს რიბეითი" ვრცელდება ჩვენზე, ეს სრული გაუგებრობაა.

**— რას აკეთებს სახელმწიფო „ქართული ფილმის" გასავითარებლად?**

— კომუნისტური წყობის მერე, „ქართულ ფილმს" სახელმწიფოსგან არც ერთი თეთრი არ მიუღია, მაგრამ ჩვენ გვაქვს კინოსტუდიის განვითარების გეგმა, რომელიც მას სახელმწიფოსგან ფინანსურად დამოუკიდებელს გახდის, თუმცა გვჭირდება სახელმწიფოს ნება, არსებული სტრუქტურის შესაცვლელად.

**— რით არსებობთ?**

— ვარსებობთ უძრავი ქონებიდან შემოსული დივიდენდებით, კოსტიუმებისა და რეკვიზიტის გაქირავებით, ვცდილობთ, პაწაწინა პროექტების განხორციელება მაინც შევძლოთ „ქართული ფილმის" შენობა-ნაგებობებში ფართობისა და პავილიონების გაქირავებით შემოსული თანხებით. ამ თანხის ძირითადი ნაწილი ხმარდება კინოსტუდიის კეთილდღეობას, დანარჩენილი მცირედი თანხა მიდის ხელფასებში.

**— რა შეიქმნა ბოლო წლებში „ქართული ფილმის" მიერ?**

— იმ თანხებით, რომლებიც ჩვენ დივიდენდების სახით შემოგვდის, რაიმე პროდუქციის შექმნა გამორიცხულია. თანაც ჩვენი მოსვლის მომენტში კინოსტუდიას ვალი ჰქონდა და იმ ვალის გასტუმრებას მოვუნდით და აი, როგორც იქნა, ნულამდე დავიდა დავალიანება. დიდი ხნის განმავლობაში ხელფასებიც არ აგვიღია, რადგან ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო, დავალიანება გაგვესტუმრებინა, ფირსაცავი გადაგვეხურა და საკოსტიუმერო დაგვეარსებინა, დღეს ამ მხრივ სიტუაცია უკეთესია. რაც შეეხება ამას წინათ თქვენს გაზეთში დაბეჭდილ სტატიას, რომ არნახულ თანხად გაიყიდა ჩვენი იდეა და ა.შ., ეს იყო კინოცენტრში მოგებული კოპროდუქცია — 180 ათასი ლარი, რაც მთელი ბიუჯეტის ათი პროცენტია, ამ თანხით რაღაც ჯადოქრობა შეძლეს ბიჭებმა და ფილმის დიდი ნაწილი გადაიღეს. რა თქმა უნდა, ეს ხდება იმის ხარჯზე, რომ ერთმანეთს ყველანი მხარში ვუდგავართ, ყველა ვთამაშობთ ამ ფილმში, ჰონორარი რომ არ ავიღოთ და მსახიობებში არ დახარჯოს ერეკლე ბადურაშვილმა თანხა. კოსტიუმებითაც მაქსიმალურად ვუწყობთ ხელს.

**— ეს ხომ კლავს დარგის განვითარების პერსპექტივას?**

— რა თქმა უნდა, ეს კლავს შემოქმედებას. ამიტომ დავრბივართ, რომ დაფინანსება მოვიპოვოთ. გარდა ამ პროექტისა, წელს ორი მოკლემეტრაჟიანი ფილმი შევიტანეთ კინოცენტრში და ორივეზე ავიღეთ დაფინანსება.

**— დამფინანსებელი ვინ არის ამ შემთხვევაში?**

— ისევ კინოცენტრი, სხვა ალტერნატიული წყარო საქართველოში, სამწუხაროდ, არ არსებობს. ძალიან მინდოდა, კინოსტუდიის ბაზაზე შეგვექმნა და, ასე ვთქვათ, საბავშვო კინონიშა დამეკავებინა, რადგან საბავშვო კინო საქართველოში არ არსებობს. გაგზავნე განაცხადი კულტურის სამინისტროში საბავშვო სცენარების კონკურსისთვის, ამერიკის საელჩოდანაც მქონდა სიტყვიერი მხარდაჭერა და თუ კულტურა დაგვიდგებოდა გვერდში,საელჩო უზრუნველყოვდა გამოცდილი სცენარისტების ჩამოყვანას და კინოსტუდიის ბაზაზე საბავშვო კინოსცენარების დახვეწას. სამწუხაროდ, მომივიდა უარი.

**— მიზეზი რა იყო?**

— არ უნდათ და მორჩა! არ არის ეს მათი პრიორიტეტი. სამინისტროსგან ვითხოვდით მხარდაჭერას, რომ დაეფინანსებინათ საბავშვო სცენარების კონკურსი, რომელიც მერე უკვე შეიძლებოდა სახელმწიფო პრიორიტეტში ჩაგვესვა და სახელმწიფოსთვის გადაღების მხარდაჭერა გვეთხოვა, ან კოპროდუსერები მოგვეძებნა (მქონდა ამ განხრითაც საუბრები) , საბავშვო კინოზე ძალიან დიდი მოთხოვნაა მსოფლიოში, მაგრამ...

ამ პროექტის განხორციელება ჩემი ოცნებაა. მინდა, საბავშვო ფილმებიც ვაკეთოთ. მერე, თუკი იქნებოდა მხარდაჭერილი საბავშვო სცენარების კონკურსი, გამოვაცხადებდით კონკურსს გადაღებაზეც, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. დღეს, ამ სტრუქტურით, რომლითაც კინოსტუდია არსებობს, რთულია რომ პროექტები თვითონვე დააფინანსოს, სახელმწიფოსგან კი რაიმე მხარდაჭერა ჩვენთვის იქნებოდა ძალიან მნიშვნელოვანი. ერთადერთი, რასაც აუცილებლად გამოვყოფ, ეს არის თავდაცვის სამინისტროს დიდი საჩუქარი — უტილიზაცია უნდა მომხდარიყო ძველი ფორმების და ნახევარი მილიონი ლარის ოდენობის ქონება გადმოგვცა — ფორმები და აქსესუარები. ახლა სხვადასხვა ეპოქის 300-კაციანი ბატალური სცენებს გადაღებას შევძლებთ, მაღალ დონეზე



ხათუნა ხუნდაძე

**— რა მდგომარეობაშია ქართული ფილმების არქივი?**

— ახლა რუსეთიდან ქართული ფილმების სრულად წამოღებას რომ აპირებენ, არ არის აუცილებელი, ყველა ფილმი წამოვიღოთ, რადგან ჩვენს არქივში დაცული ფირები კარგ მდგომარეობაშია. რატომ უნდა დაიხარჯოს 3-4 ათასი დოლარი მის კოპირებაზე, როცა შეიძლება ჩვენს არქივში დაცული ფირი დამუშავდეს და გაიწმინდოს? მიუხედავად იმისა, რომ არქივი ძალიან ცუდ მდგომარეობაში იყო, აწვიმდა და ათოვდა საცავს, მდგომარეობა ფირების ხარისხის თვალსაზრისით, საკმაოდ კარგია. ახლახან გერმანიის საგარეო საქმეთა სამინიტროს მხარდაჭერით ჩვენს ფირსაცავში დაცული ფირებით, ბოლონიაში აღდგა 2 ფილმი — „დიდი მწვანე ველი" და „ინტერვიუ პირად საკითხებზე", ორივე ფილმი მზადაა ნებისმიერი ფესტივალისთვის... ჩვენთან გადმოვიყვანეთ სტუდია „მემატიანე", რომელიც ჩვენი შვილობილია და იქ დოკუმენტური კინო ინახებოდა, ერთად ვუვლით ქართულ კინოფირებს. მოკლედ, გვაქვს არქივი, რომლის მდგომარეობა გაუმჯობესებულია. ასევე სავალალო მდგომარეობაში იყო ჩვენი უნიკალური საკოსტიუმერო, რომელიც სრულად მოვაწესრიგეთ.

ამიტომაც ვამბობ, რომ არ არის აუცილებელი შორს წასვლა, ჯერ ჩვენთან მოვიდეს ვინმე და ნახოს, რას ვაკეთებთ. მოსკოვიდან მოდის ფირები, რომლებსაც სჭირდება გაწმენდა, აციფრვა, სუბტიტრებისა და ხმის დადება, რაც ჩვენს არქივშიც ნორმალურ მდგომარეობაშია, იმ ფირების ჩამოტანაში ფულის გადახდა არ მიმაჩნია მიზანშეწონილად. სულ ოდნავი ხელშეწყობა რომ გვქონდეს სახელმწიფოსგან, აქვე, ადგილზე შევქმნიდით არაჩვეულებრივ საწარმოს. დღეს ჩვენი მცირედით მაიც ვაკეთებთ ამას, ვციფრავთ ფირებს 2,5 ფორმატამდე და ვაკეთებთ რესტავრაციას. სულ ახლახან მოსკოვიდან ჩამოტანილი შავ-თეთრი ფირი, ნუცა ღოღობერიძის ფილმი „ბუბა" ავციფრეთ, გავუკეთეთ რესტავრაცია, ფერის კორექცია, ტიტრი და ხმა. ფილმის წარმატებით გავიდა სხვადასხვა ფესტივალზე. ახლა ვმუშაობთ ქართულ ანიმაციაზე და უკევ 3 მულტიპლიკაციურ ფილმს გავუკეთეთ რესტავრაცია. ეს ძალიან შრომატევადი და დროში გაჭიმული პროცესია, რომელიც ძალიან ძვირი ჯდება, ჩვენ კი მინიმალურ თანხებში ვაკეთებთ ამას.

კინოსტუდია ქართული ფილმის ბაზაზე აუცილებლად უნდა გაკეთდეს „პოსტპროდაქშენის" სტუდია და ასევე სარესტავრაციო. ამ განხრითაც გვიდევს მზა პროექტი, რომლის სრულყოფაში ბოლონიელი კოლეგები დაგვეხმარნენ და ისევ საერთაშორისო ოგანიზაციის დახმარებით შევძლით მათი საქართველოში ჩამოყვანა.

სწორი მენეჯმენტისთვის წლის ბოლომდე კინოსტუდია ქართულ ფილმს ფირების დაცვა რესტავრაციის განხრით ISO სერთიფიკატი მიენიჭება.

**— რატომ არის სახელმწიფოს დამოკიდებულება ასეთი ინდიფერენტული?**

— ვერ გეტყვით, ძალიან მიკვირს, „ქართული ფილმი" მხარდაჭერას თუ არა, მეტ ყურადღებას მაინც მოითხოვს.

ერთი წელია, აქ ვარ და, რაც ამ პერიოდში დირექტორთა საბჭომ შეძლო, მერწმუნეთ, არ არის ცოტა. ჩვენი გრძელვადიანი გეგმების შესახებაც თუ ვინმე მოისმენს მთავრობიდან, კარგი იქნება. მოგეხსენებათ, ბევრი გაუგებრობა იყო კინოსტუდიის ბაზის მიმართ, ბევრი დაჯგუფება არსებობდა, მაგრამ დღეს ეს პრობლემები მოხსნილია ჩემის აზრით ახლა ყველა ვმეგობრობთ და ვთანამშრომლობთ მთავარია, სწორი კომუნიკაცია უნდა შედგეს მთავრობასთან. თუ მათი ნება იქნება და მობრძანდებიან ან თუნდაც მოისმენენ ჩვენი გეგმების შესახებ, ძალიან კარგი იქნება. პირველ რიგში, ჩვენი მიზანია, მოვუაროთ იმ განძს, რომელსაც ქართული კინოს სახით ვფლობთ. გვაქვს ძვირად ღირებული სკანერი, რომელიც გაპარტახებული იყო, მაგრამ გიორგი ხარებავას დიდი ძალისხმევის შედეგად გავმართეთ, თუმცა მხოლოდ ეს არ არის საკმარისი. ფირი რომ შევიდეს სკანერში ჯერ უნდა გაირეცხოს, ეს ძალიან ძვირი პროცესია, კინო ძვირად ღირებული ხელოვნებაა და მინიმალურ ფასად ვაკეთებთ საქართველოში. დააკვირდით, ხელოვნების რომელ დარგს გააქვს საქართველოს სახელი კონტინენტს გარეთ? მე ხელოვნების ყველა განხრა ძალიან მიყვარს და ვაფასებ მაგრამ თამამად ვიტყვი, რომ ქართული კინო საოცრებებს ჩადის.

ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, კინო ტურისტის მოზიდვის კარგი შესაძლებლობაა. რაც შეეხება სხვა სამომავლო გეგმებს, გვინდა ანიმაციის სტუდიის გაკეთება და ძალიან კარგი პროექტიც არსებობს. გვინდოდა პროფესიულ ტექნიკური სასწავლებლის , ეგრეთ წოდებული კოლეჯის, დაარსება და ეს პროექტიც დევს განათლების სამინისტროში, მაგრამ, ფატობრივად, უძრავი ქონება უნდა ჩაგვედო საფასურად და ამას არ და ვერ ვიზამდით. მოკლედ, ისეთი პირობები შეგვიქმნეს, რომ გვირჩევნია, უცხოური ფონდები ვეძებოთ. სხვათა შორის, ჩვენ უცხოელ კოლეგებსაც უკვირთ, როგორ ვარსებობთ სახელმწიფოს მხარდაჭერის გარეშე.

**— ახსენეთ, რომ ოთხი კვირა იყავით კულტურის მინისტრის მოადგილე, როგორ დაინიშნეთ ამ თანამდებობაზე?**

— პროფესიით პედიატრიც ვარ. 1990-იანი წლების ბოლოს წავედი გერმანიაში, ჩავაბარე სამხატვრო აკადემიაში. დავამთავრე თანამედროვე ხელოვნება, ქანდაკება-კერამიკის განხრით და როგორც ხელოვანი საკმაოდ წარმატებით ვმუშაობდი. ვაწყობდი საკუთარი ნამუშევრების გამოფენას, გახლდით გამოფენების კურატორი და მქონდა არაპროფესიონალ მხატვართა გალერეა. პარალელურად ვიღებდი ფილმებს, რომლებიც ნანახი ჰქონდა ბატონ მერაბ კოკოჩაშვილს და დავით გუჯაბიძეს და ერთ წელსაც მათ სახელოსნოში ჩავაბარე კინორეჟისურის ფაკულტეტზე, შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში- დავამთავრე მაგისტრატურა. გერმანიაში ქართულ პროექტებს ვხელმძღვანელობდი. როგორც გავიგე, სწორედ ჩემი იქაური ამბების გამო შესთავაზეს ჩემი თავი ბატონ გურამ ოდიშარიას აღნიშნულ თანამდებობაზე. ჩემთვის სრულიად მოულოდნელი იყო ეს შემოთავაზება, თუმცა ამ საკითხზე ბევრს არ ვისაუბრებ, რადგან ვაპირებ, ფილმი გადავიღო და ახლა ამ სცენარის წერის პროცესში ვარ, ოღონდ არ გეგონოთ, ფილმს ოდნავ მაინც პოლიტიკური ხასიათი ექნება, არა, ეს იქნება იუმორით დანახული ის ამბები, რაც ჩემს თავს ხდებოდა და დამიჯერეთ, საოცარად აბსურდული ამბები ხდებოდა და ამას ფილმში იხილავთ.

ესაუბრა **ქეთი აბაშიძე**

დაზარალებული მხარის, მისი ადვოკატების, წალკის რაიონის მოსახლეობის, საქართველოს პარლამენტის იურიდიული, აგრეთვე, ადამიანის დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტების თავმჯდომარეების, ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მიერ მთავარი პროკურორის სახელზე გაგზავნილ ყველა განცხადებას, საჩივარს, მიმართვას, შეკითხვას აღნიშნულ საქმეში ქვემო ქართლის სამხარეო პროკურატურის მიერ დაშვებული შესაძლო დარღვევების თაობაზე მთავარი პროკურატურა უგზავნის... საჩივრის ადრესატს — ქვემო ქართლის სამხარეო პროკურატურას, რაც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 97-ე მუხლის მიხედვით არის უხეში დარღვევა.

რეპლიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# როდემდე იბოგინებს უსამართლობა, როდის შეცვლით სააკაშვილის მმართველობის პერიოდში ხალხის ასაწიოკებლად შეთითხნილ კანონებს?

**ამა წლის 3 ნოემბერს ქალაქ რუსთავის სასამართლომ გაამართლა წალკის საკრებულოს ყოფილი დეპუტატი სამსონ თამარიანი. შეგახსენებთ, თამარიანმა 2016 წლის 30 ივლისს თავისი „მერსედესი“ დააჯახა საქართველოს პარლამენტის ყოფილი წევრის — აიკ მალტონიანის არასრულწლოვან შვილს — მერგელ მელტონიანს და ფეხი მოსტეხა; ხოლო 20-25 წუთის შემდეგ მისმა შვილმა ანდრანიკ თამარიანმა დაურეგისტრირებელი თოფიდან გასროლით სიცოცხლეს გამოასალმა აიკ მელტონიანის ძმისშვილი, იმედისმომცემი სპორტსმენი, მძლეოსანი, საქართველოს ჩემპიონი, 23 წლის ანდრანიკ მელტონიანი.**

**ვიმედოვნებთ, მთავარი პროკურორი ირაკლი შოთაძე, მიუხედავად მეგობრობისა ქვემო ქართლის სამხარეო პროკურორთან, დაავალებს მთავარი პროკურატურის გენინსპექციას, დაიწყოს გამოძიება ქვემო ქართლის სამხარეო პროკურორის სამსახურეობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და სავარაუდო კორუფციული გარიგების ფაქტების დადგენის მიზნით**

რაოდენ საკვირველიც უნდა იყოს მკითხველისთვის, რომელიც ყურადღებით თვალს ადევნებს ამ საქმესთან დაკავშირებულ პუბლიკაციებს, მე სრულიად ვეთანხმები მოსამართლე **ქეთევან ლუაშვილის** გადაწყვეტილებას, რადგან ბრალდებულ სამსონ თამარიანს არ ჩაუდენია სსკ-ის 124-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული. ერთ-ერთ წერილში ვწერდი: **„მიუხედავად თვითმხილველთა ჩვენებებისა, რომ სამსონ თამარიანმა განზრახ დააჯახა თავისი „მერსედესი“ არასრულწლოვან მერგელ მელტონიანს, ფეხი მოსტეხა და სცადა მეორედ დაჯახება, სამხარეო პროკურატურამ სამსონ თამარიანის მიმართ საქმე აღძრა სსკ-ის 124-ე მუხლით, რომელიც ითვალისწინებს სხეულის დაზიანებას გაუფრთხილებლობით და ისჯება მხოლოდ ფულადი ჯარიმით, რაც ყოვლად უსამართლოა და აბსურდული“.** გამოძიების მასალების გაცნობის, თვითმხილველ მოწმეებთან არაერთი საუბრისა და სასამართლო სხდომებზე დასწრების შემდეგ, ჩამომიყალიბდა აზრი, რომ სამსონ თამარიანი უნდა გასამართლებულიყო სსკ-ის **19.109**-ე მუხლით (არასრულწლოვანის განზრახ მკვლელობის მცდელობა), რომელიც ითვალისწინებს 14 წლიდან ზემოთ ან უვადოდ თავისუფლების აღკვეთას. პროკურატურის მიერ სამსონ თამარიანისთვის წაყენებულ 124-ე მუხლს, ფაქტობრივად, არ ეთანხმება მოსამართლე ქეთევან ლუაშვილიც. განაჩენში, მის მიერ ბრალდების მხარის მტკიცებულებების შეფასებაში, ვკითხულობთ (გვ.13): **„სასამართლო განმარტავს, რომ სამსონ თამარიანის მიმართ საქართველოს სსკ-ის 124-ე მუხლით ბრალდების კვალიფიკაციისთვის ბრალდების მხარეს არ დაუდასტურებია, გაუფრთხილებლობის რა სახე დაარღვია ბრალდებულმა; თუ ბრალდების მხარე მიიჩნევს, რომ წინდახედულობის ნორმა დაარღვია სამსონ თამარიანმა და ჩაიდინა გაუფრთხილებელი დანაშაული, ამ შემთხვევაშიც კი არ იქნებოდა მის მიმართ წარდგენილი ბრალდების კვალიფიკაცია სწორი, ვინაიდან გაუფრთხილებელი ქმედების ჩადენისას, ზოგადთან ერთად, არსებობს, ასევე, სპეციალური უსაფრთხოების ნორმა** („საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონი), **რომლის დაცვაც მოეთხოვება იმ პირს, რომელიც სატრანსპორტო საშუალებას მართავს და მისი დარღვევის შემთხვევაში, დაზიანების ხარისხიდან გამომდინარე, პასუხისმგებლობა დგება საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლით“.** ანუ, მოსამართლემ არაორაზროვნად მიუთითა ქვემო ქართლის პროკურატურას შეცდომაზე, რადგან სსკ-ის 124-ე მუხლი არ ითვალისწინებს ავტომანქანით დაჯახებას. არადა, მერგელ მელტონიანისთვის, როგორც სასამართლომ დაადგინა, სიცოცხლისთვის სახიფათო დაზიანება მიყენებულია სწორედ ავტომანქანით და არა ლოდით, უროთი ან სხვა საგნით. შეკრებილი მტკიცებულებებით დადასტურებულია, რა ვითარებაში და როგორ მიაყენა სხეულის მძიმე დაზიანება სამსონ თამარიანმა არასრულწლოვან მერგელ მელტონიანს. მოწმეთა ჩვენებებიდან ასევე იკვეთება, რომ წალკის საკრებულოს ყოფილმა საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ არ იკმარა თავისი „მერსედესის“ 16 წლის ბიჭისთვის დაჯახება და შეეცადა, ავტომობილით გადაეარა მისთვის. სამსონ თამარიანის მიზნის განხორციელებას ხელი შეუშალა იქვე მყოფმა მერგელის ბიძაშვილმა **გაიკ მელტონიანმა**, რომელმაც მერგელი მიწაზე გათრევით განარიდა უბედურებას. სამსონ თამარიანი მანქანიდან გადმოუსვლელად დაემუქრა მათ, რომ დაბრუნდებოდა და გაუსწორდებოდა, შემდეგ კი გაიქცა თავისი სახლის მიმართულებით. მერგელ მელტონიანის ჩვენება დადასტურებულია არა მხოლოდ გაიკ მელტონიანის, არამედ ნეიტრალური მოწმის — **სარო აივაზიანის** მიერ. ასევე, მერგელ მელტონიანის ჩვენება დადასტურებულია სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით და ბრალდების მიერ დანაშაულის ადგილზე ჩატარებული საგამოძიებო ექსპერიმენტით. მტკიცებულება იმისა, რომ სამსონ თამარიანს დანაშაული არ ჩაუდენია, საქმეში ვერ მოვიძიე, რადგან ასეთი მტკიცებულება, ეტყობა, ბუნებაში არ არსებობს. მეტიც, სასამართლო პროცესზე დაკითხულმა მოწმემ, სოფელ ნარდევანის იმჟამინდელმა რწმუნებულმა, ახლა კი წალკის საკრებულოს წევრმა, სამსონ თამარიანის ახლო მეგობარმა **ანტარამ მელტონიანმა** მომხდარი დაადასტურა და განმარტა, რომ მას მობილურით დაუკავშირდა სამსონ თამარიანი და აცნობა, რომ ის ავტომანქანით დაეჯახა მერგელ მელტონიანს, შემდეგ კი სთხოვა, მომხდარზე შეეტყობინებინა პოლიციისთვის, რაც ქალბატონმა ანტარამმა შეასრულა კიდეც. დადგენილია, რომ ავტოსაგზაო შემთხვევის შემდეგ ბატონმა სამსონმა თავისთან, სახლში მოუხმო ძმას — **სამველ თამარიანს,** შვილს — ანდრანიკ თამარიანს და მოუყვა მომხდარზე. ასევე, დადგენილია, რომ დანაშაულის ჩადენის იარაღი — ვინჩესტერის ტიპის თოფი, თანაც დაურეგისტრირებელი, ინახებოდა ბატონი სამსონის სახლში; მანქანა (სატვირთო „ფორდ-ტრანზიტი“), რომლითაც სამველ თამარიანმა ანდრანიკ თამარიანი, სავარაუდოდ, მიზანმიმართულად მიიყვანა მკვლელობის ადგილზე, სამსონ თამარიანს ეკუთვნის, რაც სასამართლო პროცესზე დაადასტურა მაშინ ჯერ კიდევ ბრალდებულმა ანდრანიკ თამარიანმა... ქვემო ქართლის სამხარეო პროკურატურამ კატეგორიული უარი განუცხადა მელტონიანების ადვოკატებს — **თემურ** და **დიანა გვიშიანებს** — აიკ მელტონიანის, ანდრანიკ თამარიანისა და სამსონ თამარიანის სისხლის სამართლის საქმეების გაერთიანებაზე და ეს მაშინ, როცა ბრალდებამ, კერძოდ, პროკურორმა **გიორგი ლონდაძემ** სასამართლო სხდომაზე დაადასტურა, რომ მერგელ მელტონიანისთვის დაზიანების მიყენება პირდაპირ ეხება რამდენიმე წუთში იმავე ადგილზე ანდრანიკ მელტონიანის მკვლელობის საქმეს. პროფესიონალ სამართალმცოდნეებთან კონსულტაციების შემდეგ მივედი დასკვნამდე, რომ ორი საქმის გაერთიანებაზე კატეგორიული უარის თქმა, სავარაუდოდ, ქვემო ქართლის სამხარეო პროკურორის — **ლევან გეგეჭკორის** მითითებით მოხდა, რათა ხელი შეეშალა სამსონ თამარიანის მიერ ჩადენილი მძიმე დანაშაულის მტკიცებულებების გამოკვლევისთვის და ბრალის დამტკიცებისთვის. სამსონ თამარიანის ქმედება ქვემო ქართლის სამხარეო პროკურატურას უნდა განეხილა არა 124-ე მუხლით, არამედ 19.109-ე მუხლით; დამატებით, სამსონ თამარიანი პროკურატურას უნდა ეცნო, როგორც ანდრანიკ მელტონიანის მკვლელობის ორგანიზატორი, რადგან სასამართლოზე დამტკიცდა, რომ ანდრანიკ და სამველ თამარიანები სამსონის სახლიდან დაიძრნენ მკვლელობის ჩადენის ადგილისკენ, ხოლო მკვლელობის შემდეგ, ორივენი დაბრუნდნენ იმავე სახლში. ვიმედოვნებთ, მთავარი პროკურორი **ირაკლი შოთაძე, მიუხედავად მეგობრობისა ქვემო ქართლის სამხარეო პროკურორთან, დაავალებს მთავარი პროკურატურის გენინსპექციას, დაიწყოს გამოძიება ქვემო ქართლის სამხარეო პროკურორის სამსახურეობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და სავარაუდო კორუფციული გარიგების ფაქტების დადგენის მიზნით.**

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩნდება კითხვა: **თუ პროკურატურამ ასეთი მძიმე შეცდომები დაუშვა, დანაშაულს არასწორი კვალიფიკაცია მისცა, მაშინ რას აკეთებდა სასამართლო და, კერძოდ, მოსამართლე ლუაშვილი?**

ბოლო პერიოდში ჩვენ მკაცრად ვაკრიტიკებთ მოსამართლეებს, მაგრამ ღმერთმა დაგვიფაროს, რომ არ გვყავდეს კარგი მსაჯულები. მაგალითად, ქალაქ რუსთავის სასამართლოს მოსამართლე ქეთევან ლუაშვილი უმაღლესი რანგის პროფესიონალია, აქვს დიპლომატიური ნიჭი და გასაოცარი მეხსიერება. მკაცრიც არის და ლმობიერიც. არის ძლიერი ნების მქონე. ჩანასახშივე ახშობს არეულობის მცდელობებს სასამართლო დარბაზში. მიუხედავად ამისა, ამ რანგის მოსართლეც კი შეზღუდულია ჩვენი გაუკუღმართებული, ადამიანის საწინააღმდეგოდ შექმნილი კანონმდებლობით. დღეს მოსამართლეები, ფაქტობრივად, იძულებულნი არიან, პროკურატურის დაკრულზე იცეკვონ... უწინ კი, საქმის სასამართლოში გაგზავნის შემდეგ, მოსამართლეს ჰქონდა უფლებები: სასამართლოში საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე, თუ არ ეთანხმებოდა ბრალდების კვალიფიკაციას, ძიებაში დაებრუნებინა საქმე; ჯერ მოსამართლე სვამდა შეკითხვებს და შემდეგ — მხარეები; განაჩენით დაემძიმებინა ბრალდების კვალიფიკაცია. ამჟამად კი, ბრალდების რომელი მუხლითაც შევა პროკურორი სასამართლოში, მოსამართლე ვალდებულია, განიხილოს ეს მუხლი და არ დაამძიმოს ბრალი; მოსამართლე არ ერევა საქმის განხილვაში, მხოლოდ ისმენს; შეკითხვის დასმის ნებართვას მხარეებისგან იღებს... არც დაზარალებულს სწყალობს ჩვენი კანონმდებლობა. ადრე დაზარალებული იჯდა პროკურორის გვერდით, აძლევდა შეკითხვებს ბრალდებულს, მოწმეებს; ჰქონდა ყველა გადაწყვეტილების, განაჩენის ქსეროასლის გადაღების უფლება. დღეს დაზარალებული არ არის მხარე, ზის დარბაზში, საქმის მასალებს ვერ იღებს ქსეროქსზე, მხოლოდ ეცნობა მათ, ვერ სვამს შეკითხვებს, ვერ ასაჩივრებს განაჩენს, აქვს მხოლოდ მოწმის სტატუსი. ყველა ამ უკუღმართობის ავტორია სახელმწიფო ბოროტმოქმედ **მიხეილ სააკაშვილის** პირსისხლიანი რეჟიმი. **სანდრო გირგვლიანის** გახმაურებული საქმის შემდეგ ნაცების ხელისუფლებამ ჩამოართვა, როგორც სასამართლოს, ისე დაზარალებულ მხარეს ძირითადი უფლებები და გადასცა ბრალდებას — პროკურატურას. ეს დანაშაულებრივი რეჟიმის პირობებში ხელშემწყობ გარემოს ქმნის უდანაშაულო ადამიანებისთვის არარსებული ბრალის დასამტკიცებლად, რაც სააკაშვილ-ადეიშვილის ფრთების ქვეშ გამოზრდილმა პროკურორმა **ლევან გეგეჭკორმა** და მოსამართლე **ეკატერინე პართენიშვილმა** წარმატებით გამოიყენეს აიკ მელტონიანისა და მისი ოჯახის წინააღმდეგ. დამაფიქრებელი ფაქტი — აიკ მელტონიანისა და ანდრანიკ თამარიანის სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილ განაჩენში მოსამართლე პართენიშვილმა სიტყვასიტყვით, თავისი მძიმეებითა და წერტილებით გადაწერა აიკ მელტონიანის მიმართ პროკურატურის მიერ წაყენებული ბრალის დადგენილება (!). მივმართავ პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე **ეკატერინე ბესელიას**: ქალბატონო ეკატერინე! 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს „ქართული ოცნების“ მიტინგებზე თქვენ ყვირილით (ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით) იწყებდით და ფალცეტით ამთავრებდით თქვენს ყველა გამოსვლას, რომელშიც სამართლიანად აკრიტიკებდით სააკაშვილის კაცთმოძულე რეჟიმს და მას მართლმსაჯულების გაუკუღმართებაში ადანაშაულებდით. მეც ხელისგულების გაწითლებამდე არ ვიშურებდი თქვენთვის აპლოდისმენტებს... სააკაშვილის ხელისუფლება, უკვე მეექვსე წელია, განისვენებს პოლიტიკურ ნაგავსაყრელზე, მაგრამ მისი მმართველობის პერიოდში ფეხქვეშ გათელილი და შერყვნილი კანონმდებლობა დღემდე „ყვავის“. მიჩნდება კითხვა: როდემდე იბოგინებს უსამართლობა? როდის შეცვლით სააკაშვილის მმართველობის პერიოდში ხალხის ასაწიოკებლად შეთითხნილ კანონებს? თუ ხელს გაძლევთ ნაცების სამარცხვინო დანატოვარი?..

დაზარალებული მხარის, მისი ადვოკატების, წალკის რაიონის მოსახლეობის, საქართველოს პარლამენტის იურიდიული, აგრეთვე, ადამიანის დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტების თავმჯდომარეების, ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მიერ მთავარი პროკურორის სახელზე გაგზავნილ ყველა განცხადებას, საჩივარს, მიმართვას, შეკითხვას აღნიშნულ საქმეში ქვემო ქართლის სამხარეო პროკურატურის მიერ დაშვებული შესაძლო დარღვევების თაობაზე მთავარი პროკურატურა უგზავნის... საჩივრის ადრესატს — ქვემო ქართლის სამხარეო პროკურატურას, რაც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 97-ე მუხლის მიხედვით არის უხეში დარღვევა. ამ ქმედებით მთავარი პროკურატურა აშკარად გამოხატავს უპატივცემულობას კანონმდებლობისა და საქართველოს პარლამენტის მიმართ.

**გიორგი კორძაძე**

# ბანკებისა და მიკროსაფინანსოების მიერ დასაკუთრებული ქონება 210,7 მლნ ლარს შეადგენს

## საქართველოში ნახევარ მილიონზე მეტ ადამიანს აქვს ვადაგადაცილებული სესხი

**2017 წლის 6 თვეში კომერციული ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ დასაკუთრებული უძრავ-მოძრავი ქონების მოცულობა 210 762 191 ლარია, ამ თანხის 92% კომერციულ ბანკებზე მოდის.**



საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდზე გამოქვეყნებული კომერციული ბანკების ანგარიშგებების მიხედვით, 2017 წლის 3 კვარტალის მონაცემებით, დასაკუთრებული ქონების მოცულობამ 194 016 280 ლარი შეადგინა. ყველაზე დიდი ღირებულების ქონება **„საქართველოს ბანკის“** ანგარიშზე ირიცხება. 2017 წლის 3 კვარტლის მონაცემებით, ამ ბანკის მიერ დასაკუთრებული ქონების მოცულობა 77,1 მლნ ლარს შეადგენს; მეორე ადგილზე 58,8 მლნ ლარით არის „თი-ბი-სი ბანკი“; მესამეა **„ბანკი ქართუ“,** რომლის ანგარიშზეც 35,8 მლნ ლარის დასაკუთრებული უძრავი და მოძრავი ქონება ირიცხება.

კომერციული ბანკების ათეული დასაკუთრებული უძრავ-მოძრავი ქონების მაჩვენებლით (წყარო: ეროვნული ბანკი):

**„საქართველოს ბანკი“** — 77 194 566 ლარი
**„თიბისი ბანკი“** — 58 879 290 ლარი
**„ბანკი ქართუ“** — 35 803 077 ლარი
**„ტერა ბანკი“** — 10 287 807 ლარი
**„ვი-თი-ბი ბანკი“** — 5 286 392 ლარი
**„ბაზის ბანკი“** — 4 709 516 ლარი
**„აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი — საქართველო“** — 600 000 ლარი
**„ხალიკ-ბანკი საქართველო“** — 454 317 ლარი
**„სილქ როუდ ბანკი“** — 339 125 ლარი
**„ბანკი კრედი“** — 335 841 ლარი.

რაც შეეხება მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს, 2017 წლის მე-3 კვარტლის მონაცემებით, დასაკუთრებული ქონება 16 745 911 ლარს შეადგენს, რაც 3,6 მილიონი ლარით მეტია წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით. საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცმებით, დღეს ბაზარზე 16 კომერციული ბანკი და 79 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მოქმედებს.

ალსანიშნავია ისიც, რომ, ეროვნული ბანკის მონაცემებით, ვადაგადაცილებული დავალიანება საქართველოში ნახევარმილიონზე მეტ ადამიანს აქვს. სესხის ოდენობა კი ათ მილიარდ ლარს შეადგენს.




# გერმანიაში «მინი-სახრჩობელების» გაყიდვის ნება დართეს

**Die Zeit-ი იუწყება, რომ გერმანიის ფედერალური მიწის საქსონიის სასამართლომ ვერ იპოვა დანაშაულის ნიშნები „მინი-სახრჩობელების“ გაყიდვაში, რომლებსაც მიწერილი ჰქონდათ ანგელა მერკელისა და ზიგმარ გაბრიელის სახელები.**

ლაპარაკია მინიატურულ სუვენირებზე, წარწერებით „შენახულია დედუნა მერკელისთვის“ და „შენახულია გარეწარ ზიგმარ გაბრიელისთვის“. ერთი ასეთი მინიატურა 15 ევროდ იყიდება.

სასამართლომ დაადგინა, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში კანონსაწინააღმდეგო არაფერი იკვეთება: წარწერები მოკვლით დამუქრებად კი არ უნდა აღვიქვათ, არამედ „როგორც პოლიტიკური სიკვდილის სიმბოლურ გამოხატვად“, ამიტომ ამ „სიმბოლოების“ ვერც კონფისკაცია შეძლეს და ვერც გაყიდვა აკრძალეს.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ვერდიქტი ვრცელდება ამ კონკრეტულ შემთხვევაზე და გამორიცხული არ არის, რომ სხვა ანალოგიურ შემთხვევებშიც არ აღმოჩნდება დანაშაულის ნიშნები.

# 2050 წლისთვის ევროპაში მუსლიმების რაოდენობა რამდენიმე მილიონით მოიმატებს



**ორგანიზაცია Pew Research Centre-ის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, ევროპაში იმიგრაციის სრულიად შეწყვეტის შემთხვევაშიც კი 2050 წლისთვის მუსლიმების რაოდენობა დღეს არსებული 24 მილიონიდან 30 მილიონამდე მოიმატებს და ევროპის მოსახლეობის 7,4% იქნება.**

იმიგრაციის საშუალო ოდენობის შემთხვევაში, 2050 წლისთვის ევროპაში მუსლიმების რაოდენობა 58,8 მილიონს მიაღწევს, რაც ევროპის მოსახლეობის 11,2%-ია. ხოლო იმიგრაციის მაღალი დონის შემთხვევაში 2050 წლისთვის მუსლიმების რაოდენობა 75 მილიონამდე გაიზრდება, რაც ევროპის მოსახლეობის 14% იქნება.

აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში მუსლიმების რაოდენობა მინიმალურად შეიცვლება — მატება დასავლეთ ევროპის ქვეყნების ხარჯზე მოხდება.

მაგალითად, იმიგრაციის მაღალი ოდენობის შემთხვევაში, **შვედეთში** მუსლიმების რაოდენობა მოსახლეობის 30%-ს შეადგენს, ხოლო **გერმანიაში** — 20%-ს.

# კადაფის ყოფილმა მრჩეველმა ლიბიის ყოფილი ლიდერის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულების ორგანიზატორები დაასახელა



**ბაშარ სალეჰ ბაშირმა — 2011 წელს მოკლული ლიბიის ლიდერის, მუამარ კადაფის, მრჩეველმა — ტელეარხ Russia Today-სთვის მიცემულ ინტერვიუში სახელმწიფოს ყოფილი მეთაურის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულების ორგანიზატორებსა და მიზეზებზე ისაუბრა.**

ბაშარმა აღნიშნა, რომ მუამარ კადაფი მოკლეს არა რევოლუციის, არამედ დაგეგმილი შეთქმულების შედეგად. **„ეს არ იყო რევოლუცია. ეს იყო ბევრი ქვეყნის შეთქმულება კადაფის წინააღმდეგ — კარგად მოფიქრებული და შესრულებული გეგმა ლიბიისა და სხვა ქვეყნების, მაგალითად, ეგვიპტისა და ტუნისის — პრეზიდენტების დასამხობად“,** — განაცხადა ბაშარმა.

შეთქმულების მიზანი იყო ის, რომ ისლამი რელიგიიდან გადაქცეულიყო კულტურულ მოვლენად.

**„ჩვენ გვჭირდება ისლამი, რომელმაც მსოფლიოს აჩუქა ომარ ხაიამი და სხვა მეცნიერები, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს თანამედროვე ცივილიზაციის განვითარებაში“,** — მოიყვანა აშშ-ის ექსპრეზიდენტ **რიჩარდ ნიქსონის** ციტატა ბაშარმა და დასძინა, რომ კადაფის წინააღმდეგ შეთქმულება ორგანიზებული იყო აშშ-ის მიერ, რომელსაც მხარი დაუჭირა 40 ქვეყანამ.

2011 წლის 20 ოქტომბერს ლიბიის იმჟამინდელი ლიდერი მოკლეს ნატოს მიერ მხარდაჭერილმა ამბოხებულებმა. კადაფის სიკვდილის შემდეგ, ერთ დროს აყვავებული ქვეყანა რამდენიმე ნაწილად დაიშალა.

**ირაკლი თოდუა და გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ რედაქცია ღრმა მწუხარებას გამოხატავს და თანაუგრძნობს კოლეგებსა და მეგობრებს — ნანა დევდარიანსა და მაია ჩუბინიშვილს მეუღლისა და მამის**

**ნიკოლოზ (კოკა) ჩუბინიშვილის**

**გარდაცვალების გამო.**
**პანაშვიდი 13 დეკემბერს, ოთხშაბათს, 17 საათზე;**
**დაკრძალვა 14 დეკემბერს, ხუთშაბათს, 14 საათზე;**
**მისამართი: თბილისი, მიცკევიჩის ქ. №7**

**ირაკლი თოდუა მწუხარებას გამოთქვამს**

**ანზორ ქაძანაიას**

**გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს გარდაცვლილის ოჯახს.**
**დაკრძალვა შაბათს, 16 დეკემბერს, ზუგდიდში, სოფ. ნარაზენში.**


## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**

საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია


http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894